

<b>ა</b>	<b>უდიტი</b>
<b>ა</b>	<b>ღრიცხვა</b>
<b>ფ</b>	<b>ინანსები</b>
<b>i</b>	<b>ინფო კონსულტანტი</b>

კლუს

დამოუკიდებელი გამოცემა


იკითხეთ „ააფის“ ფურცლებზე – ირაკლი დოდონაძე:  
ფინანსების მართვის პრობლემები მცირე და  
საშუალო ბიზნესში და მათი გადაჭრის გზები

ჟურნალის პარტნიორი –



გამომცემელი შპს „ააფ-მენეჯმენტი“

PUBLISHER "AAF-MANAGEMENT" LTD



# შ ი ნ ა ა რ ს ი

## მარიამ აფრასიძე

საგადასახადო და საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეები: ნოემბერი-2025 3

## ირაკლი დოღონაძე

ფინანსების მართვის პრობლემები მცირე და საშუალო ბიზნესში და მათი გადაჭრის გზები 9

## ეკა ხარაზი

იმპორტირებულ სიგარეტზე აქციზი იზრდება, ადგილობრივის გარკვეულ რაოდენობაზე კი მცირდება 15

## ქეთო ვოგონია

ფიზიკური პირების ქონების გადასახადის საშეღავათო ზღვარი მოძველებული და არარელევანტურია 18

## თემურ იობაშვილი

პარლამენტმა 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დაამტკიცა 21

## კითხვა-პასუხი

30

## შრომის ბირჟა ფინანსისტებისათვის

38

## ფრიდონ კერვალიშვილი

ერდოღანის დიდი თურანი – მითი თუ რეალობა 40

## ფრიდონ კერვალიშვილი

ნობელის პრემია ეკონომიკაში წელსაც სამმა მეცნიერმა მიიღო 46

## უცხოური ვალუტის კურსები

51

გენერალური დირექტორი: ფრიდონ ალშიბაია.

მთავარი რედაქტორი: გიორგი ცერცვაძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ სარედაქციო კოლეგია: თემურ იობაშვილი (მთ. რედაქტორის მოადგილე), მარიამ აფრასიძე, ფრიდონ კერვალიშვილი (ელექტრონული ვერსიის რედაქტორი), ეკა ხარაზი.

„კითხვა-პასუხის“ განხილვის საბჭო: ფრიდონ ალშიბაია (საბჭოს თავმჯდომარე), ლევან ასანიძე, ნონა ბერძენიშვილი, ბექა დოღონაძე, ნიკოლოზ ედიბერიძე, ნათია უჩანეიშვილი, გოგა ფარასტაშვილი, ფარნაოზ ნულაია.

იურისტ-კონსულტანტი: გიორგი ბოჭორიშვილი.

გამომცემელი: შპს „ააფ-მენეჯმენტი“, რეგისტრირებულია 06.09.1999 წ. საიდენტიფიკაციო კოდი 211390074. ა/ა № GE59PC0133400100000050 „პროკრედიტ ბანკში“, ბ/კოდი MIBGGE22.

მისამართი: ქ. თბილისი, 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, III და IV სართული.

ტელ.: 239-33-50, 239-33-47, 239-33-69, 239-57-26.

სარეკლამო სამსახური: (599) 111-001. რეალიზაციის სამსახური: (593) 32-27-05, (597) 69-57-57.

ელ. ფოსტა: [info@aaf.ge](mailto:info@aaf.ge)

ვებგვერდი: [www.aaf.ge](http://www.aaf.ge)

„ამგვარად, შევახსენებ ყველა ვაჭარს და ვურჩევ მას, ჩათვალოს სიამოვნებად წიგნების სწორი და კარგი წარმოება, ხოლო ვისაც არ აქვს ამის უნარი, მან, დაე, ისწავლოს, ანდა აიყვანოს თავისთვის ნამდვილად ყოჩაღი და პრაქტიკული ახალგაზრდა ბუღალტერი, ვინაიდან სხვაგვარად შენი საქმენი იქცევიან ქაოსად და ბაბილონის გოდლოდ, რასაც შენ, თუ სახელი და ქონება შენთვის ძვირფასია, უნდა უფროთხოდე“.

ბენედეტო კოტრული, „სავაჭრო ბუღალტერიის შესახებ“. 1573 წ.

### „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ მკითხველთა საყურადღებოდ!

დაიწყო ჩვენი ჟურნალის 2026 წლის გამოწერის კამპანია!

„აფის“ 12 თვით ხელმოწერის ღირებულებაა:

**96 ლარი.**

თანხა შეგიძლიათ ჩარიცხოთ მითითებულ რეკვიზიტებზე და შემდეგ დაუკავშირდეთ ჩვენს მენეჯერს, რომელიც მოგაწვდით ინვოისსა და გამოწერის დამადასტურებელ ბლანკს.

ჩვენი საბანკო რეკვიზიტებია:

შპს „ააფ-მენეჯმენტი“, საიდენტიფიკაციო № 211390074,

ა/ა № GE59PC0133400100000050 „პროკრედიტ ბანკში“,

ბ/კოდი MIBGGE22.

დაგვირეკეთ: **239-33-47** (რეალიზაციის სამსახური თბილისში);

(593) 32-27-05; (597) 69-57-57; (599) 11-10-01; (599) 13-72-19.

**27-10-93, (595) 55-87-83** (ბათუმი); **(579) 31-02-02** (ქუთაისი)

რეალიზაციის სამსახური: ელზა ოთიაშვილი (სამს. უფროსი), მამუკა ელგენდარაშვილი, ნათელა ჯანიაშვილი, ბაქარ ბასილაშვილი (ბათუმი), ბექა დოლონაძე (ქუთაისი).

დამკაბადონებელი: ლადო ლომსაძე.

საავტორო უფლებები დაცულია. სტატიების გადაბეჭდვა შესაძლებელია მხოლოდ ჟურნალის რედაქციასთან შეთანხმებით. მიღებული მასალები არ რეცენზირდება. რედაქცია შეიძლება არ ეთანხმებოდეს ავტორის აზრს. სტატიებსა და რეკლამებს განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები და რეკლამის განმთავსებლები.

იურიდიული პირების განცხადებები ქვეყნდება მხოლოდ სარეკლამო საწყისებზე. ჟურნალის უფასოდ გადაცემა ხდება მხოლოდ სარეკლამო მიზნით. შპს „ააფ-მენეჯმენტი“ იტოვებს უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ, არ გამოაქვეყნოს ზოგიერთი პირის რეკლამები ან/და განცხადებები.

ფასი – 8.75 ლარი.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.12.2025 წ.

ჟურნალის ტირაჟის ნაწილი 2022 წლიდან ვრცელდება ციფრული ვერსიის სახით (ელექტრონულად).

**საკანონმდებლო სიხსლევების მიმოხილვა**

საკანონმდებლო სიხსლევების მიმოხილვა – ამ რუბრიკას, რომლის დანიშნულება სახელწოდებიდანაც გასაგებია, ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი მარიამ აფრასიძე წარმოგიდგენთ.

**საბადასახადო და საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიხსლევები: ნომერი-2025**

საქართველოს საბადასახადო  
კანონმდებლობაში შეტანილი  
ცვლილებები

**ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში**  
– 12.11.2025-ში მიღებული №1061-IVმს-XIმპ

კანონით ცვლილება შევიდა საგადასახადო კოდექსში, რომელიც ამოქმედდება 2026 წლის 1 იანვრიდან.

ცვლილება ეხება ცალკეულ საგადასახადო შეღავათების ვადას, რომელმაც გადაიწია 2028 წლის 1 იანვრამდე, კერძოდ კი:

– 2028 წლის 1 იანვრამდე გაგრძელდა საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულებისგან გათავისუფლება ფიზიკური პირისთვის, რომელიც არ იყენებს დაქირავებული პირის შრომას და ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას ბაზრის ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილიდან, მათ შორის, დახლიდან, გარდა ფიზიკური პირისა, რომელსაც მიწიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი ან რომელიც დარეგისტრირებულია ან ვალდებულია დარეგისტრირდეს დღ-ის გადამხდელად საგადასახადო კოდექსის შესაბამისად;

– 2028 წლის 1 იანვრამდე გაგრძელდება ფიზიკური პირის მიერ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემით მიღებული შემოსავლის ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის შესაძლებლობა;

– ასევე 2028 წლის პირველ იანვრამდე გაგრძელდა შეღავათების მოქმედება ფასიან ქალაქებთან დაკავშირებით და თამბაქოს ნედლეულის იმპორტთან დაკავშირებით;

– სასოფლო-სამეურნეო სფეროში 2026 წლის 1 იანვრამდე მოქმედი დებულებების მოქმედება გაგრძელდა 2028 წლის 1 იანვრამდე.

– ასევე, ცვლილების შედეგად დღ-სგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლდა საინვესტიციო ოქროს მიწოდება და იმპორტი და საგადასახადო კოდექსს დაემატა 157-ე მუხლის „წ“ ქვეპუნქტი, რომლითაც განისაზღვრა საინვესტიციო ოქროს ცნება:

**საინვესტიციო ოქრო** – არანაკლებ 995/1000 სინჯის ოქროს ზოდი ან ფირფიტა, აგრეთვე არანაკლებ 900/1000 სინჯის ოქროსგან დამზადებული ოქროს მონეტა, რომელიც გამოშვებულია 1800 წლის

შემდეგ და გამოშვების ქვეყანაში ფულად-საგადახდო საშუალებად გამოიყენება/გამოიყენებოდა.

შენიშვნა: საინვესტიციო ოქროს სტატუსის დადგენის დამატებითი კრიტერიუმები და წესი, აგრეთვე იმ ოქროს მონეტების სია, რომლებიც აკმაყოფილებს საინვესტიციო ოქროს კრიტერიუმებს, განისაზღვრება ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

– უქმდება სპეციალური სავაჭრო ზონის (სსკ-ის 26-ე მუხლი) და ბაზრობის ორგანიზების (სსკ-ის 262-ე მუხლი) მარეგულირებელი დებულებები.

ცვლილება განხორციელდა სსკ-ის 70<sup>1</sup> მუხლის პირველ ნაწილში, სსკ-ს დებულების „ქვეყნების მიხედვით ანგარიშების გაცვლის შესახებ კომპეტენტური ორგანოების მრავალმხრივ შეთანხმებასთან“ (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 ივნისის №1233 განკარგულება) შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ცვლილება შეეხო მულტინაციონალური საწარმოთა ჯგუფის საბოლოო მშობელი საქართველოს რეზიდენტი საწარმოს ანგარიშის წარდგენის ვადას და ნაცვლად საანგარიშო წლის მომდევნო წლის 31 დეკემბრამდე ვადისა, საწარმო ვალდებულია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ქვეყნების მიხედვით ანგარიში საანგარიშო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 12 კალენდარული თვისა.

– 309-ე მუხლის 99<sup>1</sup> ნაწილის შემდეგ დაემატა 99<sup>2</sup> ნაწილი, რომლის მიხედვითაც რეზიდენტი საწარმოს მიერ გადახდილი დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდის მიმღები პირის ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება, თუ ეს დივიდენდი რეზიდენტ საწარმოს მიღებული აქვს ამ მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებული პირის მიერ 2023 წლის ან ამავე წლის შემდგომი პერიოდების კუთვნილი მოგების განაწილების შედეგად.

– 11.11.2025-ში მიღებული №1024-IVმს-XIმპ კანონის საფუძველზე დაკორექტირდა საგადასახადო კოდექსის რამდენიმე მუხლი.

კერძოდ:

– 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა ქონების (გარდა სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მძიმე

ქონებისა) პრივატიზების წესით (მათ შორის, უსასყიდლოდ) მიღების შედეგად, ასევე მიწისძვრითა და სხვა სტიქიური მოვლენებით დაზარალებულთა მიერ დაზიანებული ბინების სანაცვლოდ იმავე დასახლებულ პუნქტში ან ეკომიგრანტთა მიერ სხვა დასახლებულ პუნქტში ბინების უსასყიდლოდ მიღების შედეგად წარმოშობილი სარგებელი.

– 171-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულია სახელმწიფო ქონების (გარდა სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონებისა) მიწოდება პრივატიზაციის პროგრამის მიხედვით.

– 190<sup>1</sup> მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის თანახმად სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული აქციზური საქონლის პრივატიზება იბეგრება ამ მუხლის შესაბამისად.

– 192-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის მიხედვით სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ალკოჰოლიანი სასმლის პრივატიზების შემთხვევაში აქციზური საქონლის აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებს ახორციელებს აქციზური საქონლის შემენი ან/და მიმღები პირი ამ საქონლის შესაბამისი ორგანოდან დასაწყობების ადგილამდე ტრანსპორტირების დასრულებისთანავე.

საგადასახადო/საბაჟო ორგანოები განახორციელებენ აქციზური მარკის გარეშე, წესების დარღვევით შემოტანილი ან გასაყიდად მიღებული აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებისადმი დაქვემდებარებული საქონლის ჩამორთმევას. ჩამორთმევის მომენტიდან საქონელი სახელმწიფო საკუთრებად ითვლება და მისი პრივატიზება ან განადგურება მოხდება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

**ცვლილება „დებიტორული დავალიანების შესახებ“ მეთოდურ მითითებაში**

– შემოსავლების სამსახურის მიერ 04.11.2025-ში მიღებული №24351 ბრძანებით ცვლილება შევიდა „ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ 2019 წლის 8 ივლისის №22708 ბრძანების დანართ №11-ში (მეთოდური მითითება „დებიტორული დავალიანების შესახებ“).

მეთოდური მითითების განახლებული რედაქცია არეგულირებს საგადასახადო შემოწმების ფარგლებში საგადასახადო ვალდებულების მიერ არარეზიდენტი პირისთვის საქონლის მიწოდებიდან თუ მომსახურების გაწევიდან წარმოშობილ დებიტორულ დავალიანებებთან ან გადახდილ ავანსებთან დაკავშირებით შესაძლო საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრას. ამოუღებელი დებიტორული დავალიანებებისა და გადახდილი ავანსების დაბეგრის ნაწილში შემოსავლების სამსახურის მიდგომები ნაწილობრივ

იცვლება.

მეთოდურ მითითებაში აღარ იძებნება ჩანაწერი რეზიდენტ პირებთან მიმართებაში არსებული (მაგ. რეზიდენტი შპს და ი/მ) დებიტორული დავალიანების ამოღებულად მიჩნევის შესახებ.

საწარმოს მიერ არარეზიდენტი პირისთვის საქონლის მიწოდებით/მომსახურების გაწევით წარმოქმნილი დებიტორული დავალიანება ჩათვლება, როგორც ანაზღაურებული მოთხოვნა და შესამოწმებელი პერიოდის ბოლოსთვის დაკვალიფიცირდება, როგორც ამავე საწარმოს დირექტორზე (თუ არ არსებობს სხვა იდენტიფიცირებადი პასუხისმგებელი პირი) გაცემული ხელფასი, თუ კმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:

ა) დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია გონივრული ვადა.

ბ) საგადასახადო შემოწმების დანიშნვის თარიღამდე არ დასტურდება დებიტორული დავალიანების ანაზღაურება.

გ) იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებულია საქონელი, საგადასახადო შემოწმების დასრულებამდე არ დასტურდება ამავე საქონლის უკან დაბრუნება.

რაც ნიშნავს, რომ საქონლის/მომსახურების დებიტორული დავალიანების გონივრულ ვადაში არ ამოღების შემთხვევაში, ასევე გადახდილი ავანსის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების გონივრულ ვადაში არ მიწოდების შემთხვევაში თანხების ხელფასად განხილვა და საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრა მოხდება მხოლოდ არარეზიდენტ პირებთან მიმართებაში.

მითითების მიხედვით:

– თუ საგადასახადო ვალდებულებას შედგენს დაბეგრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისთვის გადახდილი ავანსი დაბეგრილი აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98<sup>2</sup> მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხოლო საგადასახადო შემოწმების ფარგლებში, აღნიშნული ავანსი დაექვემდებარება ამ მეთოდური მითითების შესაბამისად საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას, საგადასახადო ვალდებულების მიერ დეკლარირებული ამ ოპერაციის შესაბამისი მოგების გადასახადის თანხა საგადასახადო შემოწმების ფარგლებში დაექვემდებარება ჩათვლას იმ საანგარიშო პერიოდში, რომელ პერიოდშიც დაიბეგრება ხელფასის სახით გაცემულად გადაკვალიფიცირებული თანხები.

– ამ მეთოდური მითითების შესაბამისად საშემოსავლო გადასახადით დაბეგრილი თანხების (ოპერაციების) მიმართ შემდგომში არ წარმოიშობა საგადასახადო ვალდებულებები.

– თუ შემოწმებით დადგინდა, რომ დებიტორულ დავალიანებად/გადახდილ ავანსად/უიმიედო ვალად აღრიცხული თანხები ანაზღაურებულია, აღნიშნული თანხები განხილულ იქნება საწარმოს დირექტორზე (თუ არ არსებობს სხვა იდენტიფიცირებადი პასუხისმგებელი პირი) ანაზღაურების თარიღში გაცემულ ხელფასად.

**აქციონის განაკვეთების ცვლილება  
თამბაქოს ნაწარმზე**

– 26.11.2025-ში მიღებული №1114-IVმს-XIმპ კანონის საფუძველზე ცვლილება განხორციელდა საგადასახადო კოდექსში, რომელიც ამოქმედდება 2026 წლის 1 იანვრიდან.

ცვლილება შეეხო 188-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ აქციონის განაკვეთებს თამბაქოს ნაწარმზე, კერძოდ კი:

– 2402 20 კოდში მითითებული ადგილობრივი წარმოების სიგარეტები ყოველწლიურად 35 მილიონ კოლოფამდე/შეფუთვამდე იბეგრება 20 ლერზე 1.3 ლარის ოდენობის აქციონის განაკვეთით (1,9 ლარის ნაცვლად).

– 35 მილიონ კოლოფზე/შეფუთვაზე მეტი ადგილობრივი წარმოების სიგარეტები, ასევე იმპორტირებული სიგარეტები იბეგრება 20 ლერზე 2.75 ლარის ოდენობის აქციონის განაკვეთით (1,9 ლარის ნაცვლად).

– სეს ესნ 2404 11 000 00 კოდში მითითებულ საქონლისათვის აქციონის განაკვეთი განისაზღვრა 20 ლერზე/ცალზე 2,70 ლარით (1,85 ლარის ნაცვლად).

სეს ესნ 2402 20 კოდში მითითებული ყოველწლიურად 35 მილიონ კოლოფამდე/შეფუთვამდე ადგილობრივი წარმოების სიგარეტებისათვის, 20 ლერზე აქციონის განაკვეთი იქნება 188-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციონის განაკვეთისა და ამ საქონლის

საცალო სარეალიზაციო ფასის 15 პროცენტის ჯამი.

ხოლო ყოველწლიურად 35 მილიონ კოლოფზე/შეფუთვაზე მეტი ადგილობრივი წარმოების სიგარეტებისათვის, ასევე იმპორტირებული სიგარეტისთვის, 20 ლერზე აქციონის განაკვეთი იქნება 188-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციონის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 20 პროცენტის ჯამი. ასევე, სეს ესნ 2404 11 000 00 კოდში მითითებული საქონლისათვის აქციონის განაკვეთი შეადგენს 188-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციონის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 20 პროცენტის ჯამს.

**ბადასახადების ადმინისტრირების  
შესახებ**

– ფინანსთა მინისტრის მიერ 13.11.2025-ში მიღებული №296 ბრძანებით, განხორციელდა ცვლილება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციაში, რომელიც ამოქმედდება 2026 წლის 1 იანვრიდან.

2026 წლის პირველი იანვრიდან იცვლება საგადასახადო მოთხოვნის და საგადასახადო დავის განმზილველი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ განცხადების შევსების და ამის საფუძველზე გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე თანხების მოძრაობის წესი. კერძოდ,

თამბაქო, თამბაქოს ნაწარმი			
2401	თამბაქოს ნედლეული, თამბაქოს ნარჩენები	1 კგ	30
2402 10 000 01	– – სიგარები, სიგარები წაჭრილი ბოლოებით, თამბაქოს შემცველობით	1 ლერი	2.1
2402 10 000 02	– – სიგარილები (წვრილი სიგარები), თამბაქოს შემცველობით	20 ლერი	2.4
2402 20	სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით	20 ლერი	2.75
	ადგილობრივი წარმოების სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით, ყოველწლიურად 35 მილიონ კოლოფამდე/შეფუთვამდე	20 ლერი	1.3
3 2403 11 000 00	ჩილიმით მოსაწევი თამბაქო, ამ ჯგუფის სუბპოზიციისთვის 1-ელი შენიშვნის შესაბამისად	1 კგ	30
2403 19	დანარჩენი	1 კგ	30
2403 91 000 00	ჰომოგენიზებული ან აღდგენილი თამბაქო	1 კგ	30
2403 99 100 00	საღეჭი ან საყნოსი (ბურნუთი) თამბაქო	1 კგ	30
2404 11 000 00	– – თამბაქოს ან აღდგენილი თამბაქოს შემცველობით	20 ცალი/ ლერი	2.70
2404 12 000 00	– – დანარჩენი, ნიკოტინის შემცველობით	1 მლ	1.2
2404 19 900 00	– – – დანარჩენი	1 მლ	1.2

გადასახადის გადამხდელს მიეცემა შესაძლებლობა „საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ“ განცხადება წარმოდგინოს ელექტრონული ფორმით, რაც დაზოგავს გადასახადის გადამხდელის დროით და შრომით რესურსს. გარდა ამისა, ცვლილების თანახმად, საგადასახადო ორგანოსათვის განისაზღვრება გადასახადის გადამხდელის დროებითი აღრიცხვის ბარათიდან გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე თანხის გადატანის განსხვავებული ვადები, იმის მიხედვით, თუ რა არის განცხადების წარმოდგენის მიზნობრიობა. მაგალითად, გარდა სტანდარტული სამდღიანი ვადისა, პროექტის თანახმად, შემოსავლების სამსახურის უფროსს ენიჭება უფლებამოსილება, ცალკეულ შემთხვევაში დაადგინოს პირადი აღრიცხვის ბარათზე თანხის ასახვის განსხვავებული ვადები.

იმ შემთხვევაში, თუ განცხადება არ აკმაყოფილებს გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემოსავლების სამსახური პირს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 10 (ათი) კალენდარულ დღეს, რის თაობაზეც პირს ეცნობება წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით.

განცხადების მატერიალური ფორმით წარდგენის შემთხვევაში განცხადება ხელმოწერილი უნდა იყოს პირის ან მისი წარმომადგენლის მიერ. ამასთან, თუ განცხადება ხელმოწერილია წარმომადგენლის მიერ, განცხადებას უნდა დაერთოს წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც პირდაპირ უნდა იყოს მითითებული საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის უფლებამოსილება.

შემოსავლების სამსახური განიხილავს წარმოდგენილ განცხადებას და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პირის პირადი აღრიცხვის დროებით ბარათზე აღრიცხულ შესაბამის თანხებს, განცხადების რეგისტრაციის დღიდან არაუგვიანეს მესამე სამუშაო დღისა, ასახავს (გადაიტანს) ამავე პირის პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე.

**ბანახელმძღვანელი შიდა ინსტრუქცია  
„გადასახადის გადამხდელისთვის  
სიდიდის შესაბამისი კატიმპორის  
ბანახელმძღვანელის, გაუქმებისა და აღრიცხვის  
ფუნქციის შესახებ“**

– შემოსავლების სამსახურის მიერ 14.11.2025-ში მიღებული №25093 ბრძანების თანახმად დამტკიცდა განახლებული შიდა ინსტრუქცია „გადასახადის გადამხდელისთვის სიდიდის შესაბამისი კატიმპორის განსაზღვრის, გაუქმებისა და აღრიცხვის წესის შესახებ“.

მოცემული ინსტრუქცია არეგულირებს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ფინანსთა

მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 6<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ გადასახადის გადამხდელთა სიდიდის შესაბამისი კატიმპორების განსაზღვრასთან, ასევე, განსაზღვრული კატიმპორების გაუქმებასა და აღრიცხვასთან დაკავშირებულ საკითხებს. დაკორექტირებული შიდა ინსტრუქციით განახლებულად ჩამოყალიბდა მსხვილ გადამხდელთა კატიმპორის განსაზღვრელი კრიტერიუმები.

მსხვილი გადამხდელია პირი, რომელიც აკმაყოფილებს ქვემოთ გათვალისწინებულ არანაკლებ ორ კრიტერიუმს ერთდროულად:

ა) პირი, რომლის მიერ შესაბამისი კატიმპორის განსაზღვრის თვის წინა 12 კალენდარული თვის სავალო თარიღების მიხედვით დეკლარირებული დღე-ის ბრუნვები, ჯამურად, ტოლია ან მეტია 100 000 000 ლარზე.

ბ) პირი, რომლის მიერ შესაბამისი კატიმპორის განსაზღვრის თვის წინა 12 კალენდარული თვის განმავლობაში ექსპორტის/რეექსპორტის პროცენტურაში მოქცეული საქონლის საბაჟო ღირებულება, ჯამურად, ტოლია ან მეტია 50 000 000 ლარზე.

გ) პირი, რომლის მიერ შესაბამისი კატიმპორის განსაზღვრის წლის წინა კალენდარული წლის მიხედვით დეკლარირებული ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის (გარდა მიწისა) ღირებულება ტოლია ან მეტია 200 000 000 ლარზე.

დ) პირი, რომელიც ეწევა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ლიცენზირებულ „საბანკო“ ან „მიკრობანკის“ საქმიანობას.


ე) პირი, რომელიც ეწევა „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით დარეგულირებულ საქმიანობას (გარდა წამახალისებელი, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობისა).

ვ) პირი, რომლის მიერ შესაბამისი კატიმპორის განსაზღვრის თვის წინა 12 კალენდარული თვის სავალო თარიღების მიხედვით საგადასახადო დეკლარაცი(ებ)ის საფუძველზე გადასახდელად დარიცხული გადასახადების თანხების ჯამსა და საბაჟო დეკლარაცი(ებ)ის საფუძველზე გადასახდელად დარიცხული გადასახადების თანხების ჯამს შორის უმაღლესი ტოლია ან მეტია 25 000 000 ლარზე.

ზ) პირი, რომლის მიერ შესაბამისი კატიმპორის განსაზღვრის თვის წინა 12 კალენდარული თვის სავალო თარიღების მიხედვით წარმოდგენილ გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციების შესაბამისად, დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირების საშუალო რაოდენობა ტოლია ან მეტია 1 300-ზე.

თ) პირი, რომლის მიერ შესაბამისი კატიმპორის განსაზღვრის თვის წინა 12 კალენდარული თვის მიხედვით გადახდილი ან უკან დაბრუნებული

**შპს „ცოდნისა“-ს შვილობილმა კომპანიამ – შპს „იბერ-ინფომ“ 11,5-წლიანი სასამართლო დავა (საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერთან“ დაკავშირებით) გამარჯვებით დაასრულა!**



2024 წლის 16 მაისს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება (საქმე № 330210013162326) დავაზე, რომელიც წარმოებდა საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერთან“ დაკავშირებით შპს „იბერ-ინფოს“ სარჩელზე შპს „ეფემჯი სოფტის“ და შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ წინააღმდეგ.

ვინაიდან უზენაესმა სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში ეს სარჩელი, ამით მან ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც შპს „იბერ-ინფოს“ სარჩელი ცნობილი იქნა სამართლიანად (ვინაიდან ძალაში დარჩა მანამდე მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება) და მოწინააღმდეგე მხარეს, შპს „იბერ-ინფოსთვის“ გადასახდელად დაეკისრა დიდი ოდენობის ჯარიმა მის მიერ 2010-2012 წლებში განხორციელებული ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფისა და საავტორო უფლებების დარღვევის გამო (აღნიშნული გადაწყვეტილების დასკვნითი ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად).

ამით ეს დავა, რომელიც 2012 წლის დეკემბერში დაიწყო და შესაბამისად, უპრეცედენტოდ დიდხანს – 11,5 წლის განმავლობაში გაგრძელდა, დასრულდა შპს „იბერ-ინფოს“ გამარჯვებით!

შპს „იბერ-ინფომ“ არის შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს ერთ-ერთი შვილობილი კომპანია, რომელიც 1997 წლის ნოემბერშია დაფუძნებული და მას შემდეგ საქართველოში ავრცელებს საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერს“. დღეისათვის, ეს საქართველოში ფართოდ გავრცელებული და პოპულარული პროგრამაა.

გადასახადის თანხა ტოლია ან მეტია 1 000 000 ლარზე.

გადასახადის გადამხდელს მსხვილი კატეგორია განესაზღვრება ყოველ 2 წელიწადში ერთხელ პირველიდან 15 ნომბრამდე პერიოდში და რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილ პირს, რეორგანიზაციის დასრულებისთანავე, თუ რეორგანიზაციის დაწყებამდე რეორგანიზაციის სულ მცირე ერთი მხარე იყო მსხვილი გადამხდელი.

საშუალო გადამხდელია პირი, რომლის მიერ შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის თვის წინა 12 კალენდარული თვის სავადო თარიღების მიხედვით დეკლარირებული დღგ-ის ბრუნვები, ჯამურად, ტოლია ან მეტია 1 000 000 ლარზე.

ამ კრიტერიუმის გარდა საშუალო გადამხდელი შეიძლება იყოს:

ა) პირი, რომლის მიერ შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის თვის წინა 12 კალენდარული თვის განმავლობაში ექსპორტის/რეექსპორტის პროცედურაში მოქცეული საქონლის საბაჟო ღირებულება, ჯამურად, ტოლია ან მეტია 100 000 ლარზე.

ბ) პირი, რომლის მიერ შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის თვის წინა 12 კალენდარული თვის

სავადო თარიღების მიხედვით სავადასახადო დეკლარაცი(ებ)ის საფუძველზე გადასახდელად დარიცხული გადასახადების თანხების ჯამსა და საბაჟო დეკლარაცი(ებ)ის საფუძველზე გადასახდელად დარიცხული გადასახადების თანხების ჯამს შორის უმაღლესი ტოლია ან მეტია 100 000 ლარზე.

გადასახადის გადამხდელს საშუალო კატეგორია განესაზღვრება ყოველი კალენდარული თვის პირველიდან 15 რიცხვამდე, თუ იგი აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე ერთ-ერთ კრიტერიუმს და, ამავდროულად, მას არ განესაზღვრა მსხვილი გადამხდელის კატეგორია.

მცირე გადამხდელია პირი, რომელსაც არ განესაზღვრა მსხვილი ან საშუალო გადამხდელის კატეგორია. გადასახადის გადამხდელს მცირე კატეგორია განესაზღვრება შემდეგი წესით:

ა) ახლად დარეგისტრირებულ პირს – რეგისტრაციისთანავე;

ბ) რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილ პირს, რეორგანიზაციის დასრულებისთანავე, გარდა ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

გ) წელიწადში ერთხელ, პირველიდან 15 იანვრამდე

პერიოდში, თუ მას უუქმდება საშუალო გადამხდელის კატეგორია და არ განესაზღვრება მსხვილი გადამხდელის კატეგორია;

დ) ყოველ 2 წელიწადში ერთხელ, პირველ იანვარს, თუ მას უუქმდება მსხვილი გადამხდელის კატეგორია და არ განესაზღვრება საშუალო გადამხდელის კატეგორია.

**2026-2028 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები**

– საქართველოს პარლამენტის 25.11.2025-ის №1092-IVმს-XIმპ დადგენილებით, დამტკიცდა 2026–2028 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც წარმოდგენილია შემდეგი სახით:

– ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 2026-2028 წლებისთვის შეადგენს 3 პროცენტს.

– საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის შენარჩუნების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2026-2028 წლების განმავლობაში ძირითადად გამოყენებული იქნება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (რეფინანსირების განაკვეთი), რომლის ცვლილება ეკონომიკას გადაეცემა მონეტარული პოლიტიკის შემდეგი ინსტრუმენტებით: რეფინანსირების სესხები, ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტი, მუდმივმოქმედი ინსტრუმენტები, სადებოზიტო სერტიფიკატები, მეორადი ბაზრის ოპერაციები მთავრობის ფასიანი ქაღალდებით, სავალუტო ინტერვენციები, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები და სხვა ინსტრუმენტები.

– 2026-2028 წლების განმავლობაში სამომხმარებლო ფასების მოსალოდნელ დინამიკაზე გარეგანი ფაქტორებიდან მოქმედი შესაძლო რისკებია მსოფლიო სასაქონლო ბაზრებზე ენერგორესურსების, ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ფასების ცვლილება, გეოპოლიტიკური რისკების გამწვავება, რეგულირებადი ფასების ცვლილება, გლობალური ეკონომიკური ფრაგმენტაცია და სხვა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა არ მოახდენს რეაგირებას გარეგანი ფაქტორების შედეგად

ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან დროებითი გადახრისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადახრა იმდენად ძლიერია, რომ გავლენას ახდენს ინფლაციაზე მოქმედ ფუნდამენტურ ფაქტორებზე.

**იხილეთ ასევე:**

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 25.11.2025-ის №266/04 ბრძანება „ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 13 ივნისის №94/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

– 28.11.2025-ის მთავრობის №522 დადგენილება, „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაკუუმის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“ 2007 წლის 6 თებერვლის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

– 27.11.2025-ის საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის №32 დადგენილება, „ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 17 აპრილის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

– 11.11.2025-ის პარლამენტის №1039-IVმს-XIმპ დადგენილება, „საქართველოს მთავრობასა და ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს მთავრობას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“ 2007 წლის 15 ოქტომბერს ქ. ლუქსემბურგში ხელმოწერილ შეთანხმებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ოქმის რატიფიცირების შესახებ.

**მარიამ აფრასიძე**

**დაგროვებითი პენსიით 25,814-მა მოქალაქემ ისარგებლა – მათ 118 მლნ ლარი მიიღეს**

საქართველოს საპენსიო ფონდის ინფორმაციით, დაგროვებითი პენსიით ამ დროისთვის უკვე 25,814-მა მოქალაქემ ისარგებლა. მათ საერთო ჯამში 118 მილიონი ლარი მიიღეს. საშუალოდ ერთ ბენეფიციარზე ეს გაცემულ 4,571 ლარს შეადგენს.

დაგროვებითი საპენსიო სისტემით მოქალაქეები საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ სარგებლობენ. ქალებისთვის საპენსიო ასაკი 60 წელი, მამაკაცებისთვის კი 65 წელია. ეს მოქალაქეები საპენსიო ასაკის მიღწევისას იღებენ იმ დაზოგილ თანხას, რაც მათ დაგროვებითი საპენსიო სისტემის ფარგლებში დაეზოგათ.

არსებული მდგომარეობით, საქართველოს საპენსიო ფონდის აქტივების მოცულობა 8.06 მილიარდ ლარს შეადგენს, რაც 1,501,278 მოქალაქის საპენსიო დანაზოგს წარმოადგენს. ფონდში ეს თანხა 2019 წლის 1 იანვრიდან, ანუ დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონის ამოქმედებიდან გროვდება.

საპენსიო სისტემის ერთი მონაწილის საშუალო დანაზოგის მოცულობა ამჟამად 5,372 ლარს შეადგენს.

რუბრიკის სპონსორი -



**სპეციალისტის კომენტარი**

სპეციალისტის კომენტარი - ამ რუბრიკით ჩვენს ჟურნალში ქვეყნდება პრაქტიკოსი სპეციალისტების კომენტარები სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებისა და სხვადასხვა სახსრების შესახებ. ჟურნალში გაუკეთდება კომენტარები როგორც ახლად გამოქვეყნებულ ნორმატიულ დოკუმენტებს, ასევე ადრე მიღებულ იმ კანონებსა და დებულებებს, რომლებიც დღეს აქტუალურია.

# ფინანსების მართვის პრობლემები მცირე და საშუალო ბიზნესში და მათი გადაჭრის გზები

## პრობლემის არსი

მცირე და საშუალო ბიზნესი აქტიურად ვითარდება როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში. ერთიანი მიდგომა, თუ როგორ განისაზღვრება მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) სტატუსი, არ არსებობს. მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებსა თუ რეგიონებში განსხვავებული მიდგომები გვხვდება. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში SME სექტორი მთლიანი ბიზნესის 90%-ზე მეტს წარმოადგენს.

საქართველოში განვილი წლებში აქტიური ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით აღრიცხვა-ანგარიშგების მოწესრიგების კუთხით. საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის 8 ივნისს მიიღო კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, რომელმაც დაყო საწარმოები ზომითი კატეგორიის მიხედვით და რომლის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით დადგინდა: „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის დადგენილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS for SMEs) არის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ დამტკიცებული, მეორე და მესამე კატეგორიების საწარმოებისთვის დადგენილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS for SMEs)“.

მიუხედავად SME სეგმენტის აქტიური განვითარებისა, პრობლემები, რომლებიც მის განვითარებას თან ახლავს, მაინც საკმაოდ ბევრია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფინანსების მართვის ნაწილში არსებული პრობლემები, რომლებიც ბიზნესს მძიმე ტვირთად აწევს. მცირე და საშუალო ბიზნესში ფინანსების მართვასთან დაკავშირებული სირთულეები შეგვიძლია შემდეგ საკითხებად დავყოთ:

- ბუღალტრული აღრიცხვის სისუსტე ან მისი არარსებობა;
- რეპორტირების სისტემის გაუმართაობა ან

არარსებობა;

- ფინანსური ანალიზის არარსებობა;
- ფინანსური მოდელირების, ბიუჯეტირებისა და პროგნოზირების სისტემების გაუმართაობა ან არარსებობა;
- საბრუნავი კაპიტალის არასწორად მართვა;
- ინვესტიციების არასწორად მართვა;
- დაფინანსების წყაროებისა და დივიდენდური პოლიტიკის არასწორად მართვა.
- ფინანსური რისკების უგულებელყოფა.
- ფინანსური მენეჯმენტის ცალკეული საკითხების არასწორი დელეგირება.

მიუხედავად ამ მიმართულებით წინგადადგმული ნაბიჯებისა, მაინც პრობლემური რჩება მცირე და საშუალო ბიზნესში ბუღალტრული აღრიცხვის პროცესების სწორად მართვა. ბუღალტერიის სფერო მეწარმეთა დიდი ნაწილისთვის სამწუხაროდ მხოლოდ გადასახადების სწორად გამოთვლასთან და დეკლარირებასთან ასოცირდება, რის გამოც მცირდება მეწარმეთა ინტერესი იმისა, რომ უზრუნველყონ თავიანთ ბიზნესში ბუღალტრული აღრიცხვის გამართული ფუნქციონირება. მოწესრიგებული ბუღალტრული აღრიცხვა როგორც ფინანსების, ისე მთლიანად ბიზნესის წარმატებულად მართვის საწინდარია. ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით შეიმჩნევა ტენდენცია, რომ იზრდება როგორც ბუღალტრული მომსახურების აუტსორსინგზე მოთხოვნა, ისე ამ სერვისების მიმწოდებელი ბუღალტრული კომპანიების რაოდენობაც, რაც ბაზრის ზრდის მანიშნებელია.

მომდევნო არანაკლებ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესში რეპორტირების სისტემის გაუმართაობა ან უარეს შემთხვევა საერთოდ არარსებობაც კი. მეწარმეთა დიდი ნაწილი არ ცდილობს რომ მონიტორინგი განახორციელონ თავიანთი ბიზნესის საქმიანობის შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. აქ პრობლემების მიზეზი ორგანოა.

ერთი მხრივ, კომპანიაში არსებული ფინანსური დეპარტამენტის მიერ ხშირ შემთხვევაში არ ხდება აღრიცხვის კონტროლი, თვის დროული დახურვა და რეპორტების მომზადება, რაც უშუალოდ შემთხვევაში გამოწვეულია ბუღალტრის დატვირთული რეჟიმით ან/და ფინანსისტი არარსებობით კომპანიაში, რის გამოც დიდი სამუშაო ზეწოლა მოდის ბუღალტრებზე. უამრავი საქმის გამო ბუღალტერთა დიდი ნაწილი იმდენად არის ჩაძირული ყოველდღიურ რუტინაში, რომ ვერ ახერხებენ „ზემოდან“ შეხედონ ბუღალტრული აღრიცხვის პროცესს, იქნება ეს ანგარიშთა გეგმა, ბრუნვითი უწყისი, ჭადრაკული უწყისი თუ სხვა.

მეორე მხრივ მეწარმე/დამფუძნებლები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში კომპანიის დირექტორებიც არიან და აქტიურად არიან ჩართულნი ბიზნესის ყოველდღიურ მართვაში, არ თვლიან საჭიროდ, რომ გაეცნონ ყოველთვიურ, ყოველკვარტალურ და ხშირ შემთხვევაში ყოველწლიურ ანგარიშგებებსაც კი, რაც ძირითადად მათი (მეწარმეთა) კომპეტენციის სისუსტეზე მიუთითებს. ცხადია, ძნელია მეწარმეთა კომპეტენციაზე საუბარი იმ პირობებში, როდესაც მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ფულს და მოგებას ვერ ასხვავებს და ხშირად უჩნდებათ კითხვები, რომ თუ მაქვს მოგება, რატომ არ მაქვს ფული და პირიქით, თუ ფული მაქვს, რატომ არ მქონდა მოგება? სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ დამფუძნებლები არ თვლიან საჭიროდ ფინანსისტი (იქნება ეს ფინანსური მენეჯერი თუ ფინანსური დირექტორი) არსებობის აუცილებლობას თავიანთ კომპანიაში. მეწარმეთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ თავისი ბიზნესის ფინანსები ყველაზე კარგად თვითონ იცის, თუმცა პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ისინი ხშირ შემთხვევაში ძალიან შორს არიან რეალობის სწორად შეფასებისგან, რასაც ხშირად სავალალო შედეგებამდე მიჰყავს მათი ბიზნესი.

საქართველოში, მცირე და საშუალო ბიზნესში ფინანსების მართვისას მომდევნო დიდ სირთულეს წარმოადგენს ფინანსური ანალიზის არარსებობა, რასაც ხშირ შემთხვევაში გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვება ხოლმე. ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების საფუძველზე ფინანსური ანალიზი გვეხმარება სწორად წავიკითხოთ ინფორმაცია საქმიანობის შედეგებსა და მდგომარეობაზე, ასევე სწორად შევაფასოთ ბიზნეს ტენდენციები (როგორც დარგთან მიმართებაში, ისე დინამიკაში წარსულ შედეგებთან მიმართებაში), დროულად გამოავლინოთ არსებული პრობლემები და შევიძულოთ გადაჭრის გზები.

**ფინანსური ანალიზის აუცილებლობა**

ფინანსური ანალიზისთვის ძირითად იყენებენ „Ratio analysis“ (კოეფიციენტების ანალიზი) და ასევე Common-size analysis (როგორც ვერტიკალურს, ისე ჰორიზონტალურს).

კოეფიციენტები შეგვიძლია დავყოთ რამდენიმე ჯგუფად, ესენია: ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობის,

მომგებიანობის და ეფექტიანობის კოეფიციენტები.

ლიკვიდურობა წარმოადგენს ბიზნესის მნიშვნელოვან უნარს დაფაროს მოკლევადიანი ვალდებულებები. ბიზნესი შეიძლება იყოს მომგებიანი, მაგრამ არ იყოს ლიკვიდური, რის გამოც მოკლევადიან პერიოდში ვერ შეძლოს ვალდებულებების გასტუმრება, რამაც სავალალო შედეგებამდეც კი შეიძლება მიიყვანოს იგი. განასხვავებენ ლიკვიდურობის შემდეგ კოეფიციენტებს: current ratio, quick ratio და cash ratio. აღნიშნული კოეფიციენტების შეფასება როგორც წარსულ მონაცემებთან შედარებით დინამიკაში, ისე დარგის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით, გვიჩვენებს თუ რამდენად უძვობესდება ან უარესდება ლიკვიდურობა ბიზნესში და თუ რამდენად უსწრებს ან ჩამორჩება იგი დარგის ტენდენციებს.

გადახდისუნარიანობა წარმოადგენს ბიზნესის უნარს უზრუნველყოს მთლიანი ვალდებულებების დაფარვა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია შეფასდეს ის ტენდენციები და ე.წ. „წითელი ნიშნულები“, რომლებმაც შეიძლება მიიყვანოს ბიზნესი ვაკოტრებად.

გადახდისუნარიანობის შესაფასებლად გამოყოფენ შემდეგ კოეფიციენტებს: Debt to Equity და Debt to Assets, რომლებიც წარმოადგენს ერთ შემთხვევაში ვალის თანაფარდობას კაპიტალთან და მეორე შემთხვევაში ვალის თანაფარდობას აქტივებთან. აღნიშნული კოეფიციენტები გვიჩვენებს ბიზნესში ვალდებულებებით დატვირთვის სიმძიმეს და მათი დაფარვის შესაძლებლობას საკუთარი რესურსებით. დინამიკაში ამ კოეფიციენტების გაუარესება გადახდისუნარიანობის პრობლემების დაწყებაზე მიგვანიშნებს.

გადახდისუნარიანობის შესაფასებლად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე Interest Coverage კოეფიციენტს, რომელიც გვიჩვენებს საოპერაციო მოგებისა (EBIT – მოგება საპროცენტო ხარჯებამდე და გადასახდებამდე) და საპროცენტო ხარჯების თანაფარდობას (EBIT/Interest Expense) ანუ იმას, თუ რამდენად ფარავს/ემსახურება ბიზნესის საოპერაციო მოგება საპროცენტო ხარჯებს. აღნიშნული კოეფიციენტის გაუარესება ერთ-ერთი მძაფრი სიგნალია ბიზნესში გადახდისუნარიანობის პრობლემების დაწყებისა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე Debt to EBITDA კოეფიციენტი, რომელიც წარმოადგენს ვალის თანაფარდობას მომგებიანობის EBITDA (მოგება საპროცენტო ხარჯებამდე, გადასახდებამდე და ცვეთა/ამორტიზაციამდე) მაჩვენებელთან და გვიჩვენებს მომგებიანობისა და ვალის დამოკიდებულებას მოცემულ ბიზნესში. აღნიშნული კოეფიციენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომერციული ბანკებისთვის, დაკრედიტების პროცესში ბიზნესის გადახდისუნარიანობის ანალიზისთვის.

ფინანსური ანალიზისთვის გამოსაყენებელი კოეფიციენტების მომდევნო ჯგუფს (მომგებიანობის კოეფიციენტები) მიეკუთვნება Gross Profit Margin, რომელიც გვიჩვენებს შემოსავლების რა ნაწილს

წარმოადგენს საერთო მოგება (Gross Profit). აღნიშნული კოეფიციენტის გაუარესება ხშირად გამოწვეულია არასწორი საფასო პოლიტიკით ან/და თვითღირებულების მექანიზმის არასწორი მართვით, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს მომწოდებლებთან გრძელვადიანი კონტრაქტების არარსებობასთან, ნედლეულის გაძვირებასთან, წარმოებული პროდუქციის ხარისხის კონტროლის არარსებობასთან და ა.შ.

თავის მხრივ, საერთო მოგების მარჟის შემცირება, თუ იგი არ დაბალანსდა საოპერაციო ხარჯების კლებით (opex to revenue წილობრივი მაჩვენებლის კლებით), მაშინ კომპანიაში სახეზე გვექნება მოგების მკვეთრი ვარდნა და უარეს შემთხვევაში ზარალიც კი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია EBIT Margin კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს შემოსავლებიდან რა ნაწილს აგენერირებს ბიზნესი საოპერაციო მოგების სახით. თუ საერთო მოგების მარჟები (Gross Profit Margin) სტაბილურია და არ ჩამოუვარდება დარგის საშუალო მაჩვენებლებს, მაშინ EBIT Margin-ის კლება (ან/და ჩამორჩენა დარგის საშუალოსთან) პირდაპირ მიგვანიშნებს საოპერაციო ხარჯების არაეფექტიან მართვაზე ჩვენს ბიზნესში, რამაც შესაძლოა ოპტიმიზაციის აუცილებლობაზე დაგვაფიქროს.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე წმინდა მოგების მარჟას (Net income Margin), რომელიც გვიჩვენებს შემოსავლის რა ნაწილი რჩება კომპანიას წმინდა

მოგების სახით. აღნიშნული სიდიდე წარმოადგენს საბოლოო მიზნობრივ შედეგს, რასაც უყურებენ ძირითად ბიზნესის მფლობელები.

გარდა ზემოაღნიშნული კოეფიციენტებისა, მომგებიანობის შესაფასებლად გამოიყენებენ აქტივებზე უკუგებისა და კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტებსაც (ROA და ROE). შესაძლოა ერთ კომპანიას ჰქონდეს მაღალი წმინდა მოგება მეორე კომპანიასთან შედარებით, მაგრამ მეორე კომპანიას ეს მოგება მიღებული ჰქონდეს უფრო მცირე რაოდენობის აქტივების გამოყენებით, რის გამოც აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი მას უფრო მაღალი ჰქონდეს, ვიდრე პირველ კომპანიას. ამიტომ მომგებიანობის შესაფასებლად, მნიშვნელოვანია ვაჩვენოთ თუ რა ოდენობის აქტივებით და რა ოდენობის კაპიტალით შევძელით მოცემული მოგების მიღება და რა იყო უკუგება ერთ ერთეულ აქტივზე და ერთ ერთეულ კაპიტალზე.

ფინანსური ანალიზის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ეფექტიანობის კოეფიციენტების შეფასებას. Receivables Turnover (გვიჩვენებს დებიტორული დავალიანების ბრუნვადობას), Inventory Turnover (გვიჩვენებს მარაგების ბრუნვადობას), Payables turnover (გვიჩვენებს სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვადობას), Working Capital turnover (გვიჩვენებს სამუშაო კაპიტალის ბრუნვადობას), Fixed Asset turnover (გვიჩვენებს ძირითადი საშუალებების

შპს XYZ	2024	2023	2022	2021
შემოსავლები	100%	100%	100%	100%
თვითღირებულება COGS	-54.2%	-57.0%	-60.8%	-65.8%
საერთო მოგება	45.8%	43.0%	39.2%	34.2%
მიწოდების, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (SG&A)	-32.6%	-27.4%	-19.7%	-14.2%
. მარკეტინგის ხარჯები	-2.0%	-2.0%	-1.9%	-1.7%
. იჯარის ხარჯები	-0.8%	-0.9%	-1.0%	-1.0%
. შრომის ანაზღაურება	-29.3%	-23.9%	-16.2%	-10.8%
. კომუნალური ხარჯები	-0.3%	-0.4%	-0.4%	-0.5%
. საკონსულტაციო ხარჯები	-0.2%	-0.2%	-0.2%	-0.2%
EBITDA	13.2%	15.6%	19.5%	20.0%
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯები	-6.6%	-6.8%	-7.0%	-7.1%
საოპერაციო მოგება (EBIT)	6.6%	8.8%	12.5%	12.9%
საპროცენტო ხარჯები	-1.4%	-1.9%	-2.4%	-3.1%
მოგება გადასახადამდე TAX (EBT)	5.2%	6.9%	10.1%	9.8%
მოგების გადასახადის ხარჯი	-2.1%	-1.2%	-0.8%	-1.3%
წმინდა მოგება - Net Income	3.1%	5.7%	9.3%	8.5%

ბრუნვალობას) და Total Asset turnover (გვიჩვენებს მთლიანი აქტივების ბრუნვალობას) კოეფიციენტები. თითოეულის მაღალი სიდიდე მიუთითებს რესურსების ეფექტიანად გამოყენების მაღალ უნარზე, თუმცა ზედმეტად მაღალი დონე ასევე შეიძლება მიუთითებდეს რესურსების დეფიციტზეც.

კოეფიციენტების ანალიზის გარდა (ratio analysis), მნიშვნელოვანია გამოყენებულ იქნეს ე.წ. common-size analysis მიდგომა, განსაკუთრებით კი ვერტიკალური მეთოდი, რომელიც გვიჩვენებს მოგება-ზარალის და ბალანსის ჩაწერას არა აბსოლუტურ სიდიდეებში, არამედ პროცენტულად, სადაც თითოეული მუხლი წარმოდგენილია შემოსავლების წილის (მოგება-ზარალის შემთხვევაში) და მთლიანი აქტივების წილის (ბალანსის შემთხვევაში) მიხედვით. აღნიშნული ფორმით მოგება-ზარალის ანალიზი მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ დავინახოთ რამდენად სწრაფად იზრდება რომელიმე ხარჯი შემოსავლების ზრდასთან ერთად. ხომ არ უსწრებს შემოსავლების ზრდის ტემპს რომელიმე ხარჯის ან ხარჯების ზრდის ტემპი? თუ ეს ასეა, მაშინ შეიძლება მივიღოთ სურათი, რომ ბიზნესში იზრდება გაყიდვები/შემოსავლები, მაგრამ ბიზნესი მაინც წამგებიანია ან მალე გახდება წამგებიანი.

ზემოთ მოცემულ ცხრილზე ნათლად ჩანს, რომ მიუხედავად საერთო მოგების მარჯების ზრდისა (Gross profit margin), რაც თვითღირებულების კლების შედეგად იყო გამოწვეული, ადგილი ჰქონდა ასევე საოპერაციო ხარჯების ფარდობით ზრდასაც შემოსავლებთან მიმართებაში, რის გამოც მომგებიანობის მაჩვენებლები შემცირდა. თუ უფრო ჩაუღრმავდებით საოპერაციო ხარჯებს, ვნახავთ, რომ მაგალითად ხელფასების ხარჯი უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე შემოსავლები, რამაც შთანთქა საერთო მოგების მარჯების ზრდის ეფექტი და შედეგად მივიღეთ წმინდა მოგების შემცირებული მაჩვენებლები (მარჯები). Common-size მიდგომის გამოყენება ძალიან სასარგებლო და აუცილებელიც კია ფინანსური ანალიზის პროცესში.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესში ფინანსების მართვის პროცესში დიდ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ სამწუხაროდ ხშირად არ ხდება ფინანსური მოდელირება, ბიუჯეტირება და საპროგნოზო cash-flow შედგენა.

ფინანსური მოდელირება ბიზნესს ეხმარება არსებული რეალობის გათვალისწინებით მოსალოდნელი სცენარების დანახვაში, ბიუჯეტირების პროცესის სწორად წარმართვაში და ფულადი სახსრების საპროგნოზო მოძრაობის დაგეგმვაში. ზოგადად, განასხვავებენ ფინანსური მოდელირების რამდენიმე მიდგომას, ესენია: 3-Statement Modeling, FP&A Modeling და DCF Valuation Modeling. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის უფრო სასარგებლოა 3-Statement Modeling მიდგომა, რომელიც ანგარიშების სამივე ფორმაში გვაძლევს ბიზნესის შესახებ ინფორმაციას.

მოდელირების გარდა მნიშვნელოვანია ბიუჯეტირების სისტემების დანერგვა, მხარჯავი ცენტრების იდენტიფიცირება, თითოეულთან აქტიური კომუნიკაციის საფუძველზე ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის დაგეგმვა და შემდგომში მისი აქტიური მონიტორინგი და გადახრების ანალიზი. შემოსავლების ნაწილში მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს შემოსავლების ნორმალიზება, ერთჯერადი და შეწყვეტილი ოპერაციების არ გათვალისწინება ბიუჯეტირებისას, რათა თავიდან იქნას აცილებული შემოსავლების ჭარბი დაგეგმვა. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სცენარების ანალიზს, რათა ბიზნესი მომზადებული შეხვდეს სხვადასხვა სცენარებით განვითარების შედეგებს.

მცირე და საშუალო ბიზნესისთვის არანაკლებ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს საბრუნავი კაპიტალის მართვა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში სწორედ საბრუნავი კაპიტალის არასწორად მართვა არის პრობლემების (კერძოდ კი, ლიკვიდურობის პრობლემის) წარმოშობის ძირითადი მიზეზი. ამ მხრივ აუცილებელია პერიოდული დაკვირვება განხორციელდეს ფულის მთლიან საოპერაციო ციკლზე, კონკრეტულად კი ისეთ მაჩვენებლებზე, როგორიცაა: Days of Sales outstandings (365/ Receivables turnover), Days of inventory on hand (365 / inventory turnover), Number of days of payables (365 / payables turnover ratio).

მაგალითად, თუ ბიზნესს დებიტორული დავალიანების ამოღების საშუალო მაჩვენებელი აქვს 40 დღე, მარაგების გაყიდვებამდე პერიოდი აქვს 30 დღე, ხოლო მომწოდებლებთან ანგარიშსწორების საშუალო ვადაა 30 დღე, მივიღებთ სურათს, სადაც ნედლეულის შექმნიდან მომწოდებლებისთვის ბიზნესს თანხა გადასახდელი ექნება 30 დღეში, ხოლო ამ ნედლეულიდან წარმოების გავლით გაყიდვებამდე და შემდეგ მყიდველიდან თანხის მიღებამდე ჯამში იქნება 70 დღე (40+30). სხვაობა იქნება 40 დღე (70-30), რაც დიდ წნეს წარმოქმნის ბიზნესის ფულად სახსრებზე და მის ლიკვიდურობაზე, რის გამოც ხშირად მოკლევადიანი დაფინანსების წყაროების არსებობაც გახდეს საჭირო. ამის თავიდან ასარიდებლად მნიშვნელოვანია სწორად იმართოს ზემოაღნიშნული „ფულის საოპერაციო ციკლი“. მოხდეს მომწოდებლებთან აქტიური კომუნიკაცია და ანგარიშსწორების ვადების დაოპტიმიზირება, ასევე დებიტორებთან აქტიური კომუნიკაცია და თანხების დროული მიღება (რისთვისაც ბიზნესი უნდა ახდენდეს ე.წ. „ვადაგადაცილების რეპორტის“ პერიოდულ მომზადებას და მონიტორინგს). გარდა ამისა მნიშვნელოვანია ნედლეულის შესყიდვებისა და წარმოების პროცესის სრული მონიტორინგი, რათა ადგილი არ ჰქონდეს მარაგების ჭარბ დაგროვებას და წარმოების პროცესის გაჭიანურებას.

გარდა საბრუნავი კაპიტალის მართვისა, მნიშვნელოვანია აგრეთვე საინვესტიციო პოლიტიკის ოპტიმალურად შემუშავება და საინვესტიციო

**შპს „ლევერიჯ კონსალტინგი“ გთავაზობთ ფინანსურ სერვისებს თქვენი ბიზნესისთვის!**

**ჩვენი სერვისებია:**

**ფინანსური მენეჯერის/დირექტორის (CFO) აუტოსორსინგი**

- თვის დახურვის კონტროლი და ფინანსური რეპორტების მომზადება (ბალანსი, მოგება-ზარალი, Cash-Flow);
- ფინანსური ანგარიშგების ანალიზი (კოეფიციენტების ანალიზი; ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი);
- ფინანსური მოდელირება და სცენარების ანალიზი;
- წლიური, კვარტალური და ყოველთვიური ბიუჯეტირება და გადახრების ანალიზი;
- საბრუნავი კაპიტალის მართვა;
- ფულადი სახსრების და ფულის საოპერაციო ციკლის მართვა, ფულადი სახსრების პროგნოზირება და გადახრების ანალიზი;
- მხარდაჭერა ინვესტორებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან კომუნიკაციაში და რესურსების მოზიდვაში;
- საინვესტიციო პროექტების შეფასებები და რეკომენდაციები.



**ფინანსური ანალიზი და დიაგნოსტიკა**

- კომპანიის ბიზნეს-პროცესების შესწავლა და ფინანსური მართვის სისუსტეების გამოვლენა;
- ფინანსური რეპორტების მომზადება (ბალანსი, მოგება-ზარალი, Cash-Flow);
- ფინანსური ანგარიშგების ანალიზი (კოეფიციენტების ანალიზი; ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი);
- კომპანიის საინვესტიციო და საოპერაციო ხარჯების ანალიზი;
- ბიზნესის ფინანსური შეფასება მომგებიანობის, ლიკვიდურობის, ეფექტიანობის, გადახდისუნარიანობის მიმართულებით;
- კომპანიის ზუსტი ფინანსური დიაგნოსტიკა და სტრატეგიის დაგეგმა მენეჯმენტთან ერთად.

**ფინანსური მართვის პროცესების სრული მონესრიგება**

- სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, ბუღალტრული აღრიცხვის პროცესების მონესრიგება და რეპორტირების სისტემის გამართვა/ჩამოყალიბება;
- ფინანსური მოდელირება და სტრატეგიული დაგეგმვა;
- ბიუჯეტირების პროცესის დანერგვა და კონტროლი;
- საოპერაციო ხარჯების მართვა და ოპტიმიზაცია;
- ფინანსური დეპარტამენტის მართვის პროცესების და KPI სისტემების დანერგვა;
- თვის დახურვის კონტროლი და ფინანსური რეპორტების მომზადება (ბალანსი, მოგება-ზარალი, Cash-Flow);
- ფინანსური ანგარიშგების ანალიზი (კოეფიციენტების ანალიზი; ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი);
- საბრუნავი კაპიტალის მართვა;
- ფულადი სახსრების და ფულის საოპერაციო ციკლის მართვა, ფულადი სახსრების პროგნოზირება და გადახრების ანალიზი;
- მხარდაჭერა ინვესტორებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან კომუნიკაციაში;
- საინვესტიციო პროექტების შეფასებები და რეკომენდაციები;
- კომპანიის ლიკვიდურობისა და მომგებიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესება.

დაგვიკავშირდით: მობ.: 579 30 71 71 // 598 55 53 15  
info@levco.ge

პროექტების სწორად მართვაც. ხშირად მცირე და საშუალო მეწარმეები, ინტუიციურად იღებენ გადაწყვეტილებებს, თუ სად და რა მოცულობის თანხების ინვესტირება მოახდინონ. არ ხდება პროექტების წინასწარი შეფასება, რასაც უმეტეს შემთხვევაში სავალალო შედეგებამდე მიჰყავს ბიზნესი. მეწარმეები ხშირად იწყებენ პროექტებს, შემდეგ კი ან შუა პროცესში აღმოაჩენენ, რომ რესურსები არ ჰყოფნით დაფინანსების გასაგრძელებლად, ან/და ბოლოს აღმოაჩენენ რომ პროექტმა მოგება არ დააგენერირა, რაც სწორედ რომ თავდაპირველ ეტაპზე

არასწორად მიღებული გადაწყვეტილების შედეგია. ამ კუთხით მნიშვნელოვანია შეფასდეს პროექტის NPV, დათვილი იქნას IRR, უკუგების პერიოდი და სხვა მაჩვენებლები, რომელთა საფუძველზეც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება. ამ მაჩვენებლების დათვლა საკმაოდ ტექნიკური და ვრცელი პროცესია, რაც სწორედ რომ პროფესიონალი ფინანსისტების საქმეა. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ბიზნესისთვის დაფინანსების წყაროებისა და დივიდენდური პოლიტიკის მართვის საკითხებს. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესში, განსაკუთრებით იქ, სადაც

დამფუძნებლები იმავე დროს მენეჯმენტშიც არიან წარმოდგენილები (მაგალითად, საოჯახო ბიზნესი), არასწორად ხდება დივიდენდების პოლიტიკის მართვა. დამფუძნებლებს უნდა იქნებოდათ იმის ცდუნება, რომ ვერ გამოიჯნონ პირადი და ბიზნესფინანსები, რის გამოც ხარჯების კონტროლი ფაქტობრივად არ არსებობს. შედეგად ვიღებთ სურათს, სადაც საოპერაციო ხარჯები (იქნება ეს ხელფასები, საწვავის ხარჯები თუ სხვ.) იმაზე მეტად გაზრდილია, ვიდრე ეს უნდა იყოს. ამ მხრივ აუცილებელია, რომ საოპერაციო ხარჯები გონივრულ საზღვრებში ბიუჯეტირდეს და დივიდენდები გაცემულ იქნას რეალური ფინანსური შედეგების საფუძველზე. გარდა დივიდენდებისა, მნიშვნელოვანია აგრეთვე დაფინანსების წყაროების და მათი საჭიროების ზუსტი იდენტიფიცირება. როგორ აპირებს ბიზნესი რესურსების მოზიდვას, კაპიტალის შევსებით თუ დაკრედიტებით? ხშირად მეწარმეები საკუთარი ბიზნესის კრედიტორის როლშიც გვევლინებიან, რის გამოც თავიანთი ბიზნესის ფინანსური შედეგებისა და მდგომარეობის ზუსტი შეფასება უჭირთ.

გარდა ზემოაღნიშნული პრობლემებისა, მცირე და საშუალო ბიზნესში ხშირად არ ხდება ფინანსური რისკების მართვა. ამ მხრივ აუცილებელია გამოვყოთ სავალუტო რისკები და საბაზრო რისკები. თუკი ბიზნესს შემოსავლები აქვს სხვა ვალუტაში (მაგალითად ეროვნულ ვალუტაში), ხოლო კრედიტი აქვს მეორე ვალუტაში (მაგალითად აშშ დოლარში), მაშინ გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტმა (აშშ დოლარის გამყარება ლართან მიმართებით) შეიძლება დიდი ფინანსური დარტყმა მიაყენოს ბიზნესს. ასეთ მოცემულობას სავალუტო პოზიციის გახსნა ჰქვია, რომლის საპირწონედაც მეწარმე უნდა ცდილობდეს, რომ ყოველთვის ჰქონდეს დახურული სავალუტო პოზიცია, რათა თავიდან აიცილოს სავალუტო რისკები. აგრეთვე მნიშვნელოვანი ე.წ. ფორვარდული გარიგებების არსებობაც, რომლებიც ბიზნესს დაეხმარება ამ რისკების მართვაში.

გარდა სავალუტო რისკებისა, მნიშვნელოვანია საბაზრო რისკების მართვაც. მაგალითად, ნედლეულის ფასის ზრდა დიდი სტრესია ბიზნესისთვის, რადგანაც არსებული მაღალი კონკურენციის პირობებში ვერ ხდება საფასო პოლიტიკის გადახედვა (ფასების ზრდის კუთხით), რის გამოც მცირდება საერთო მოგების მარჟები (gross profit margin), რაც თავის მხრივ ზეწოლას ახდენს ბიზნესის საოპერაციო ხარჯებზე, ოპტიმიზაციის აუცილებლობის მიმართულებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გრძელვადიანი კონტრაქტების ფორმირება მომწოდებლებთან, რათა ბიზნესმა თავი დაიზღვიოს ფასების ცვლილების უარყოფითი ეფექტებისგან.

ყოველივე ზემოაღნიშნული სირთულეების გამოძწვევი მთავარი მიზეზი შეგვიძლია ერთ პრობლემაში გადაერთიანოთ: ეს არის ფინანსისტი (იქნება ეს ფინანსური მენეჯერი თუ ფინანსური დირექტორი)

არარსებობა მცირე და საშუალო ბიზნესში. მეწარმეთა უდიდეს ნაწილს უჭირს იმის გააზრება, თუ რისთვის სჭირდება საერთოდ ფინანსისტი. მიაჩნიათ, თითქოს ბუღალტრის არსებობა ამ მიმართულებით საკმარისია. რეალურად კი ბუღალტრის და ფინანსისტი პროფესიები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან და ბუღალტრებისთვის დამატებით ფუნქციების შეთავსება ვერც დროითი რესურსის კუთხით და ვერც კომპეტენციის კუთხით ვერანაირად ვერ იქნება გამართლებული. მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი ამ ნაწილში ისაა, რომ ზოგიერთ კომპანიაში შეიძლება არსებობდეს ფინანსისტის თანამდებობრივი პოზიცია, თუმცა მეწარმე იმდენად აქტიურად იყოს ჩართული ფინანსური მენეჯმენტის პროცესში, რომ სივრცეს უზღუდავდეს ფინანსურ მენეჯერს ან/და არ ითვალისწინებდეს მის პოზიციებს. ეს ყველაფერი კი მნიშვნელოვნად აზარალებს მის ბიზნესს.

მეწარმეთა დიდი ნაწილი შეიძლება თვლიდეს, რომ ფინანსური მენეჯერის მომსახურება ძვირი სიამოვნებაა. შეიძლება ეს ასეა, მაგრამ იმავდროულად ბაზარზე აქტიურად პოზიციონირებენ ფინანსური საკონსულტაციო კომპანიები, რომლებიც მცირე და საშუალო ბიზნესებს სთავაზობენ ფინანსური მენეჯმენტის სერვისებს (იქნება ეს ფინანსური მენეჯერის CFO აუთსორსინგი, თუ ფინანსური ანალიზისა და დიაგნოსტიკების სერვისები). ასეთი საკონსულტაციო კომპანიების სერვისები ბევრად უფრო ხელმისაწვდომია ფასის, კომპეტენციისა და თანამშრომლობის ფორმატის გათვალისწინებით, ვიდრე სრულ საშტატო განაკვეთზე ფინანსური მენეჯერის დაქირავება. ჩვენი რეკომენდაციაა, საწარმოებმა ფინანსური მენეჯმენტის საკითხების მოსაწესრიგებლად, პირველ რიგში სწორედ ამ კომპანიებს მიმართონ.

P.S. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ასევე სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ზრდის ჰაბების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის საკონსულტაციო სერვისების დაფინანსებას, არაუმეტეს 10,000 ლარისა. ნებისმიერ კომპანიას, რომელიც დარეგისტრირებულია ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, აქვს 30,000 ლარზე მეტი და 10,000,000 ლარზე ნაკლები წლიური ბრუნვა, არ აქვს საგადასახადო დავალიანება და არ იმყოფება მოვალეთა რეესტრში, შეუძლია მიმართოს „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს და დიაგნოსტიკების ეტაპის გავლის შემდეგ ისარგებლოს სააგენტოს მიერ შერჩეული კომპანიების საკონსულტაციო სერვისებით, იქნება ეს ფინანსები ბუღალტრია თუ გადასახადები. დეტალები ამის შესახებ შეგიძლიათ დააზუსტოთ სტატიის ავტორთან, რომელთანაც დაკავშირება შესაძლებელია ჟურნალის რედაქციის საშუალებით.

**ირაკლი დოლონაძე**  
**შპს „ლეგენდო კონსალტინგი“-ს**  
**მმართველი პარტნიორი**

# იმპორტირებულ სიგარეტზე აქციზი იზრდება, აღგილობრივის გარკვეულ რაოდენობაზე კი მცირდება

საკანონმდებლო ორგანომ საქართველოს საგადასახადო კოდექსში მორიგი ცვლილებები შეიტანა. თამბაქოზე დაწესებული აქციზის განაკვეთები შეიცვალა. სიგარეტზე მოთხოვნის შემცირების მიზნით, თამბაქოზე აქციზი, ეტაპობრივად, უკვე რამდენიმე წელია იზრდება. ამჯერად, ყველასთვის მოულოდნელად ხელისუფლებამ სრულიად განსხვავებული ცვლილებები დაგეგმა. იმპორტირებულ სიგარეტზე აქციზი იზრდება, ხოლო ადგილობრივი წარმოების სიგარეტის, გარკვეულ რაოდენობაზე მცირდება. ეს გადაწყვეტილება ხელისუფლებამ ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობით ასხსნა.

26 ნოემბერს, პარლამენტმა 85 ხმით „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტი დაჩქარებული წესით მიიღო. განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ დაბეგვრის ახალი წესი აქციზის განაკვეთების ცვლილების გარდა, სიგარეტის ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობასაც ითვალისწინებს. კანონში ახალი ჩანაწერით, იმპორტირებულ სიგარეტზე აქციზის განაკვეთი ამჟამად არსებული 1.90 ლარიდან 2.75 ლარამდე გაიზარდა, ხოლო ადგილობრივი წარმოების – 30%-დან 20%-მდე შემცირდა. ადგილობრივი წარმოების 35 მილიონ კოლოფამდე სიგარეტზე აქციზი 1.3 ლარი გახდა, ნაცვლად 1,9 ლარისა და 15%-იანი ადგილობრივი აქციზის გადასახადი დაწესდა. იმ შემთხვევაში, თუკი წარმოება 35 მილიონ კოლოფს გადააჭარბებს, აქციზის გადასახადი 2,75 ლარი იქნება. მთავრობაში ფიქრობენ, რომ ამ გადაწყვეტილებით, ბაზარზე უფრო ჯანსაღი კონკურენტული გარემო შეიქმნება და ადგილობრივი თამბაქოს წარმოებაც უფრო მეტად განვითარდება.

„ადგილობრივი წარმოების სიგარეტების (2402 20 კოდით აღნიშნული თამბაქოს ნაწარმის სახეობაზე, ყოველწლიურად 35 მილიონ კოლოფამდე/შეფუთვამდე) აქციზის განაკვეთის შემცირებას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება როგორც ბაზრის სტრუქტურაზე, ისე კონკურენტულ გარემოზე. შედეგად, ჩამოყალიბდება ჯანსაღი კონკურენტული გარემო და ბაზარზე გაიზრდება ადგილობრივი წარმოების წილი. აღნიშნული ხელსაყრელ პირობებს შექმნის, როგორც ეკონომიკური აქტივობის გაძლიერებისთვის, ისე საბიუჯეტო შემოსავლების სტაბილიზაციისთვის. გარდა ამისა, 35 მილიონ კოლოფზე/შეფუთვაზე მეტი ადგილობრივი წარმოების სიგარეტების და იმპორტირებული სიგარეტების აქციზის განაკვეთის ცვლილების შედეგად მოსალოდნელია სიგარეტზე არსებული აქციზის პოლიტიკის ფარგლებში ფისკალური და საზოგადოებრივი მიზნების მიღწევა“;

– აღნიშნულია განმარტებით ბარათში. მაღალტექნოლოგიურ საწარმოებში გამოშვებული იმპორტირებული თამბაქო რომ ადგილობრივს „ჩაგრავს“, ეს ცვლილებების ავტორებმა დოკუმენტში დეტალურად აღწერეს. კერძოდ, ის. რომ დარგის განვითარება დგას გარკვეული პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე, როგორცაა გადაშენების რთული და ძვირადღირებული ტექნოლოგია, კვალიფიციური კადრების და ლაბორატორიების არ არსებობა, ადგილობრივად წარმოებული პროდუქტის არაკონკურენტუნარიანობა. საქართველოში მეთამბაქოება, ძირითადად, მაღალმთიან აჭარაში, მარნეულსა და ლაგოდეხშია გავრცელებული. წინა წლების მონაცემებით, მაღალმთიან აჭარაში თამბაქო გაშენებული იყო 140 ჰექტარზე, მიღებულმა მოსავალმა 314 ტონა შეადგინა და მეთამბაქოებით დაკავებული იყო 1000-მდე საოჯახო მეურნეობა.

ამასთან, დოკუმენტის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ სიგარეტის ბაზრის მოცულობა ყოველწლიურად იზრდება, ადგილობრივი წარმოების წილი მთლიანი ბაზრის მოცულობაში მხოლოდ 5-6%-ს შეადგენს, რაც საკმაოდ შეზღუდულ მოცულობას წარმოადგენს. შესაბამისად, კანონის ავტორები ფიქრობენ, რომ 35 მილიონ კოლოფამდე ადგილობრივ სიგარეტზე აქციზის შემცირება და იმპორტირებული სიგარეტების აქციზის განაკვეთის გაზრდა, სრულად შეასრულებს თავის მიზნებს – ხელს შეუწყობს ამ დარგის გაძლიერებას.

„ადგილობრივი წარმოების წილი ყოველწლიურად მცირდება და დღეისათვის სიგარეტის ბაზრის მხოლოდ 5-6%-ს შეადგენს. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საქართველოში მეთამბაქოებას 1000-მდე საოჯახო მეურნეობა ეწევა. დამატებით, საწარმოო პროცესში ასევე ჩართულია 1000-მდე ჩვენი მოქალაქე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თანაბარი საგადასახადო ტვირთის პირობებში ადგილობრივ წარმოებას არ აქვს შესაბამისი რესურსი, რომ კონკურენტია გაუწიოს იმპორტირებულ პროდუქციას. შედეგობრივად მოსალოდნელია ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის წილის კიდევ უფრო შემცირება, რაც საბოლოო ჯამში, იმით დასრულდება, რომ იმპორტირებული პროდუქცია სრულად ჩაანაცვლებს ადგილობრივს. ეს კი ნიშნავს 1000-მდე საოჯახო მეურნეობის შემოსავლების და 1000 სამუშაო ადგილის დაკარგვას“, – აღნიშნა პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე შოთა ბერეკაშვილმა.

ცვლილებების ინიციატორების განმარტებით, ადგილობრივად წარმოებული სიგარეტებისთვის, აქციზის განაკვეთის შემცირება, ერთი მხრივ, დროებით შეამცირებს ამ მიმართულებით დაგეგმილ საბიუჯეტო შემოსავალს,

თუმცა, მეორეს მხრივ, მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ცვლილება დადებით გავლენას მოახდენს მთლიანი ბაზრის სტრუქტურასა და კონკურენტულ გარემოზე. კერძოდ, კანონში ცვლილებების ინიციატორები ფიქრობენ, რომ შემცირებული საგადასახადო ტვირთი შექმნის წინაპირობებს ადგილობრივი მწარმოებლებისთვის პროდუქტის ფასის შემცირებისა და ბაზარზე უფრო კონკურენტუნარიანი პოზიციის დაკავებისთვის. შედეგად აქციზიდან მიღებულ შემოსავალთან ერთად გაიზრდება სხვა სახის გადასახადებიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები, მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადებიდან, საშემოსავლო და მოგების გადასახადებიდან.

„აღნიშნული ზრდა შეძლებს იმ დანაკარგის კომპენსაციას, რაც აქციზის შემცირებას მოჰყვება. ამასთან, ყოველწლიურად 35 მილიონ კოლოფზე/შეფუთვაზე მეტი ადგილობრივი წარმოების სიგარეტებისთვის და იმპორტირებული სიგარეტებისთვის აქციზის განაკვეთი იზრდება 2.75 ლარამდე (ნაცვლად 1.9 ლარისა) და აქციზის განაკვეთი იქნება 2.75 ლარისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 20 პროცენტის (ნაცვლად 30 პროცენტის) ჯამი. შედეგად, გრძელვადიან პერსპექტივაში კანონპროექტის მიღებას ექნება დადებითი ფისკალური ეფექტი. ფიქსირებული აქციზის განაკვეთის ზრდა 85 თეთრით ნიშნავს თითოეულ გაცემულ აქციზზე 85 თეთრ დამატებით საბიუჯეტო შემოსავალს, ხოლო ადვალური გადასახადის 20%-მდე შემცირება დააბალანსებს, ერთი მხრივ, ინფლაციურ წნეხს, მეორე მხრივ, შეამცირებს მწარმოებლების და იმპორტიორების მიერ გადასახდელ სააქციზო განაკვეთს საშუალოდ 65 თეთრით. აღნიშნული ცვლილებებით, სახელმწიფო ბიუჯეტი ყოველ გაცემულ აქციზზე დამატებით 20 თეთრს მიიღებს“, – განაცხადა შოთა ბერეკაშვილმა.

„ბიზნეს მედიასთან“ თამბაქოს მწარმოებელ საერთაშორისო კომპანია „JTI კავკასიაში“ აცხადებენ, რომ იმპორტირებული და ადგილობრივი ინდუსტრიის დიფერენცირებული დაბეგვრის რეჟიმი აქციზის განაკვეთის ნაწილში, საქართველოს მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს ეწინააღმდეგება. კომპანიის საქართველოს კორპორაციული ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დირექტორის, ალექსანდრე ავაზაშვილის განმარტებით, გასული წლების მსგავსად, თამბაქოზე აქციზის განაკვეთის ზრდის მოლოდინი წელსაც არსებობდა. თუმცა ამ შემთხვევაში შემუშავებული პროექტი საქართველოს მიერ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან წინააღმდეგობაში მოდის.

„საქართველოში ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტისთვის აქციზის განაკვეთები გათანაბრებულია 2010 წლის პირველი იანვრიდან, ანუ უკვე 15 წელია რაც ასეა. მიუხედავად იმისა, რომ განმარტებით ბარათში წერია, თითქოს კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება

ევროკავშირის სამართალს და არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, შემიძლია ვითხრათ, რომ ევროკავშირის არცერთ ქვეყანაში არ არის აქციზი ადგილობრივი მწარმოებლებისთვის უფრო დაბალი, ვიდრე იმპორტისთვის. ამას ემატება ისიც, რომ ჯერ კიდევ 1999 წელს, როცა საქართველო წევრიანდებოდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, ქვეყანამ აიღო ვალდებულება რომ აქციზები ადგილობრივი მწარმოებლებისთვის და იმპორტიორებისთვის იქნებოდა გათანაბრებული და არ იქნებოდა პრეფერენციული მიდგომა. ამას შემიძლია კიდევ ის დავამატო, რომ საქართველოს გაფორმებული აქვს მრავალ ქვეყანასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, სადაც წერია, რომ არცერთი მხარე არ დააწესებს ადგილობრივ გადასახადებს ან მოსაკრებლებს, პირდაპირ ან ირიბად, რომელიც აღემატება შესაბამის გადასახადებს ან მოსაკრებლებს ანალოგიურ, ადგილობრივად წარმოებულ საქონელზე, ადგილობრივ პროდუქტიაზე“, – განაცხადა ალექსანდრე ავაზაშვილმა.

„თამბაქოს კონტროლის ალიანსში“ განმარტავენ, რომ თამბაქოს პროდუქტებზე გადასახადების მატებას, როგორც წესი, რეალური შედეგები მართლაც აქვს და მოხმარება განსაკუთრებით ბავშვებისა და მოზარდების ხარჯზე იკლებს. თუმცა მთავრობის ამ გადაწყვეტილებით ორგანიზაციის წევრებიც იმედგაცრუებულები დარჩნენ, ისინი კანონმდებლობის კიდევ უფრო გამკაცრებას ელოდნენ. ალიანსის თავმჯდომარის გიორგი მაღრაძის განცხადებით, აღნიშნულ სიახლეს თამბაქოს არა გაძვირება, არამედ, პირიქით, შეიძლება გაიაფებაც კი მოჰყვეს.

„ეს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინტერესებს არანაირად ემსახურება, რისთვისაც თამბაქოზე აქციზური გადასახადი დაწესებული. ეს გადასახადი იმისთვის არის შემოღებული, რომ თამბაქო განსხვავებული პროდუქტია. ეს არის პროდუქტი, რომლის მოხმარება იწვევს დაავადებებსა და სიკვდილს. შესაბამისად, ყველა ქვეყანა ცდილობს, რომ ეტაპობრივად, აქციზი გაზარდოს და ამით თამბაქოს მოხმარება შეამციროს. არ შეიძლება, გადასახადების თვალსაზრისით, თამბაქოს რომელიმე ნაწარმს უპირატესობა მიენიჭოს და ამით ხელი შეეწყოს ადამიანის ერთი პროდუქტიდან მეორეზე გადასაცვლელს. ნუ გამოვლენ მოწინააღმდეგეები და ნუ იტყვიან, ეს ხალხი მაინც ეწვეა და რა მნიშვნელობა აქვს. პირიქით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ეტაპობრივად და მუდმივად უნდა იმატებდეს ფასი“, – ამბობს გიორგი მაღრაძე.

საქართველოში, ადგილობრივი სიგარეტის, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი მწარმოებელია – კომპანია „თბილისის თამბაქო“, რომელის მთავარი ბრენდებია – „პირველი“, „არგო“ და „Indian Strong“. რაც შეეხება იმპორტირებულ სიგარეტს, რა მოცულობით გაიზრდება მისი ღირებულება აქციზის მატების შემდეგ, იმპორტიორებს ამ საკითხზე ჯერჯერობთ კონკრეტული

პასუხი არ აქვთ.

„რა თქმა უნდა, აქციზის განაკვეთი აისახება ჩვენი პროდუქციის ფასზე. თუმცა აქციზი არის მხოლოდ ერთი კომპონენტი იმიტომ, რომ თამბაქოს ბაზარზე არიან სხვა კომპანიებიც, რომლებიც ერთმანეთს უყურებენ. ანუ, აქციზი არის ერთ-ერთი კომპონენტი, მაგრამ არა ერთადერთი, რომელიც მოქმედებს ფასებზე. თუმცა, ამას თუ დავუმატებთ კიდევ დამატებითი ღირებულების გადასახადს, გამოდის 70%-ზე მეტი, რომელიც თითო სიგარეტის კოლოფის ფასიდან სახელმწიფოს გადასახადების სახით მიაქვს“, – აღნიშნა ალექსანდრე ავაზაშვილმა.

არსებული მდგომარეობით, საქართველოში ძირითადად იმპორტირებულ სიგარეტებს მოიხმარენ. 2024 წლის განმავლობაში ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა სულ 355 მილიონი აქციზური მარკა გასცა, აქედან 330 იმპორტირებული სიგარეტის მარკა იყო, 25 მილიონი კი ადგილობრივი წარმოების სიგარეტის აქციზური მარკა. რაც შეეხება შემოსავლების სტატისტიკას, 2024 წლის მონაცემებით, ადგილობრივი წარმოების სიგარეტებზე, თამბაქოს შემცველობით (2402 20 კოდით აღნიშნული თამბაქოს ნაწარმის სახეობა) დარიცხული აქციზის ოდენობამ დაახლოებით 62.7 მლნ ლარი შეადგინა, იმპორტირებულ სიგარეტზე (2402 20 კოდით) კი – 1,15 მილიარდი ლარი.

2026 წლიდან აქციზის განაკვეთი, შეიძლება, გასახურებელი თამბაქოს პროდუქტებზეც გაიზარდოს,

პარლამენტში ინიცირებულია კიდევ ერთი კანონპროექტი, რომელიც ამ კუთხით საგადასახადო კოდექსში ცვლილებებს ითვალისწინებს. დაავადებათა კონტროლის მონაცემებით, ბოლო ხუთ წელიწადში 15-16 წლის ბავშვებს შორის, ე.წ. ვეიპების მოხმარება გაორმაგებულია. ელექტრო სიგარეტის პოპულარობა მზარდია შედარებით უმცროს ასაკშიც. „ვეიპების“ მაგნე ზეგავლენის გათვალისწინებით, სპეციალისტები „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონის კიდევ უფრო გამკაცრებას ითხოვენ. რეკომენდაციებს შორისაა პროდუქციის რეალიზატორთა მკაცრი ლიცენზირებაც. საქართველოსთან ერთად ე.წ. ვეიპებზე მოთხოვნა მკვეთრად არის მომატებული მსოფლიოშიც.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში „თამბაქოს კონტროლის“ კანონი 2018 წლიდან მოქმედებს. ამ კანონის მიხედვით, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში მოწვევა იკრძალება. ასევე აკრძალულია ამ პროდუქციის რეკლამა, კიდევ ერთი რეგულაციით თამბაქოს პროდუქტი მხოლოდ სადა შეფუთვით იყიდება.

პარლამენტის მიერ მიღებული მორიგი ცვლილებები 2026 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდება. კანონპროექტის ავტორები და ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: შოთა ბერეკაშვილი, გიორგი ბარვენაშვილი, ლევან მაჭავარიანი და თორნიკე ბერეკაშვილი. როგორ შეიცვლება სიგარეტის ფასები, ეს მწვევლებისთვის იანვრიდან გახდება ცნობილი.

**ეკა ხარაზი**

### საქართველოს რკინიგზაში 1 მლრდ-ის ინვესტირებას ვგეგმავთ – მარიამ ქვრივიშვილი

მომდევნო წლებში დაახლოებით 1 მლრდ ლარის ინვესტირებას განვახორციელებთ „საქართველოს რკინიგზაში“, – ამის შესახებ ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრმა მარიამ ქვრივიშვილმა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში განაცხადა.

მისი თქმით, ხელისუფლებამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება რესურსები მიმართოს სარკინიგზო გადაზიდვების განვითარებაში.

„ვხედავთ, რომ გლობალურად ტვირთბრუნვა და ტვირთნაკადები მზარდია. ჩვენი ქვეყნის ამოცანაა, რომ ჩვენი ტრანზიტული როლი კიდევ უფრო მეტად გამყარდეს, საქართველომ განაგრძოს იყოს კონკურენტუნარიანი ქვეყანა და კარგი პარტნიორი, რომელიც უზრუნველყოფს ტვირთების სწრაფად, მაღალი ხარისხით გადაზიდვას. აქედან გამომდინარე მივიღეთ გადაწყვეტილება მომდევნო წლებში ასევე 1 მლრდ ლარის ინვესტირება მოხდეს „საქართველოს რკინიგზაში“, მოხდება განვითარება და დამატება მათ შორის ლოკომოტივების პარკის“, – განაცხადა ქვრივიშვილმა. მისი თქმით, უკვე დასრულებულია რკინიგზის მოდერნიზების პროექტი, რომლის ფარგლებშიც „საქართველოს რკინიგზის“ გამტარუნარიანობა გაორმაგდა.

მარიამ ქვრივიშვილმა ასევე დააანონსა, რომ უახლოეს პერიოდში მოხდება „ბაქო-თბილისი-ყარსის“ რკინიგზის გახსნაც.

„ვფიქრობთ, ძალიან მალე, მთელი რეგიონი – აზერბაიჯანი, საქართველო და თურქეთი ვიზეიმებთ ბაქო-თბილისი-ყარსის ისტორიული პროექტის გახსნას, რომელსაც ექნება უმნიშვნელოვანესი როლი, როგორც საქართველოსთვის, ისე რეგიონისთვის“, – თქვა ქვრივიშვილმა.

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს რკინიგზა“ ამჟამად გეგმავს სავაგონო პარკს 120 ნახევარვაგონი დაამატოს, რისთვისაც 20 მლნ ლარის ტენდერი აქვს გამოცხადებული.

ამასთან, როგორც BMG-მ 12 დეკემბერს დაწერა, 2026 წლის ბიუჯეტის პროექტით, რკინიგზის სექტორის რეფორმის პროგრამის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკიდან (ADB) და მსოფლიო ბანკიდან საქართველო 162.5 მლნ – 162.5 მლნ ლარის საკრედიტო ხაზების მიღებას გეგმავს.

# ფიზიკური პირების ქონების გადასახადის საშეღავათო ზღვარი მოკვეთილი და არარეალისტური

## როგორ უნდა შეიცვალოს საგადასახადო კანონმდებლობა?

წლებულს, ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაციის წარდგენამ მოსახლეობაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. აქტიურად განახლდა მსჯელობა, რომ ქონების გადასახადი უნდა გადაიხედოს და საშეღავათო ზღვარი ახლებურად განისაზღვროს, რათა გადასახადი ოჯახის შემოსავალზე არ იყოს მიბმული. როგორც სპეციალისტები განმარტავენ, ოპტიმალური გზა უნდა გამოიყოს, ე.წ. „ოქროს შუალედი“, რათა თანხის ოდენობა ტვირთად არ დააწვეს ოჯახს და არც ბიუჯეტი დაზარალდეს.

ცნობისთვის: ფიზიკური პირების ქონების გადასახადის წლიური დეკლარაციის წარდგენის ბოლო ვადა 1 ნოემბერია, გადახდის კი – 15 ნოემბერი. საქართველოში ქონების გადასახადი შემოსავალზეა მიბმული. კერძოდ, თუ თქვენი და თქვენი ოჯახის წლიური შემოსავალი 2024 წელს, ჯამურად, 40 000 ლარს აღემატებოდა და ამასთანავე, გაქვთ სახლი ან მიწა ან კიდევ გყავთ ავტომობილი, თქვენ ვალდებული ხართ ბიუჯეტში ქონების გადასახადი გადაიხადოთ.

ამ მონაცემის შესაბამისად, ფაქტობრივად ყოველ მეორე ოჯახს, თუ არა მეტს, ეს გადასახადი გადასახდელი აქვს. როდესაც ეს ზღვარი შემოვიდა, მაშინ მოსახლეობის 95%-ს არ უწევდა მისი გადახდა.

2024 წელს ქონების გადასახადის სახით იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა ჯამში, დაახლოებით, 698 მილიონი ლარი გადაიხადეს, საიდანაც უშუალოდ მოქალაქეების მიერ ქონებასა და მიწაზე გადახდილი გადასახადი 93 მილიონი იყო.

ამგვარად, ქონების გადასახადის გადახდა მოუწია ყველა პირს, რომლის ოჯახის ანაზღაურება 2024 წლის 1-ლი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, 40 000 ლარზე მეტი იყო. ქონების წლიური გადასახადის დეკლარაცია უნდა შეივსოს მაშინ, თუკი ოჯახის გასული წლის შემოსავალი აჭარბებს ამ თანხას. დეკლარირების ვალდებულება ვრცელდება ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებულ პირებზეც. წლიურ შემოსავალში შედის ხელფასიც და სხვა შემოსავლებიც. ამასთან, ხელფასში იგულისხმება არა მხოლოდ ის თანხა, რომელიც თქვენს საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხა, არამედ ბიუჯეტში გადახდილი თანხაც – ხელფასის 20% საშემოსავლო გადასახადი და საპენსიო დაზღვევის შენატანი 2%-ის ოდენობით.

ფინანსთა სამინისტრო უკვე რამდენიმე წელია ქონების გადასახადის რეფორმაზე მუშაობს. უწყებაში ამბობენ, რომ რეფორმის მიზანია როგორც ფიზიკური პირების, ასევე საწარმოების ქონების გადასახადის პრინციპის ცვლილება იმგვარად, რომ ის აღარ იყოს

დამოკიდებული შემოსავლებზე. თუმცა, ჯერჯერობით ვერაინ აკონკრეტებს, როდის შეიძლება ამ მიმართულებით რეფორმა გატარდეს.

ქონების გადასახადის მოსახლეობისთვის დაკისრება იმ ფორმით, რასაც დღეს კანონმდებლობა გვთავაზობს, როგორც მოქალაქეებისთვის, ასევე აუდიტორთა დიდი ნაწილისთვის მიუღებელია. 40 000-ლარიანი საშეღავათო ზღვარი სპეციალისტებს კანონმდებლობის ნაკლად მიაჩნიათ და მთავრობას გადასახადთან დაკავშირებული პირობების შეცვლისკენ მოუწოდებენ. საერთოდ, საკითხის ამგვარ დაყენებას საქართველოსთვის არარეალისტურად მიიჩნევენ და ფიქრობენ, რომ მიღებულ უნდა იქნეს მოდელები, რომელიც საქართველოსთან უფრო ახლოსაა. ამასთან, აუცილებელია დივერსიფიცირება სოციალურ ფენებს შორის, რათა მოსახლეობა არ დაიჩაგროს, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა პარალელურად ხარჯები იზრდება.

„გამოდის, რომ თუ პირს შემოსავალი აქვს, უნდა იხადოს გადასახადი, რაც ქონების შეძენის დემოტივატორია. ხელისუფლებას რაც უნდა, იმას აკეთებს და არ ითვალისწინებს შესაძლებლობებს, რაც კანონთან, ადამიანის უფლებებთან და კონსტიტუციასთან შეიძლება იყოს თანხვედრაში. ეს მოდელები დარჩა, როგორც იყო და დღემდე ადამიანის უფლებების დარღვევით მოქმედებს. საგადასახადო კოდექსი ქონების გადასახადს ითვალისწინებს ფიზიკური პირისთვის, მაგრამ გადასახადის დაანგარიშებას ოჯახზე აკეთებს. აღმოჩნდა, რომ თურმე შემოსავალი შეიძლება ჰქონდეს ოჯახის რომელიმე წევრს, ხოლო ფიზიკურ პირს, რომელსაც შემოსავალი არ აქვს, მაგრამ ქონებას ფლობს, ბევრავს. ქონების გადასახადის სახით გადაიდგა არაწამახალისებელი ნაბიჯები, ჯარიმები და სხვა, რაც ამ კანონის უარყოფითი, სუსტი მხარეებია.

თავისი შინაარსით, თავის დროზე არასწორი კანონი იქნა მიღებული. ადამიანი, რომელიც ხედავს, რომ მისი შემოსავალი ამდენი არ არის და ქონების გადასახადის დეკლარაციის შევსება უწევს, სვამს კითხვებს. კანონმა უზარმაზარი აჟიოტაჟი გამოიწვია. სხვადასხვა პერიოდში მთავრობის წარმომადგენლები გვპირდებოდნენ, რომ მოახდენდნენ კანონის კორექტირებას, მაგრამ პირობა ვერ შესრულდა. რეალურად არანაირი ცვლილება არ მომხდარა კანონში. 2005 წლიდან ვიხდით და ვახორციელებთ ანგარიშსწორებას, რაც თავისი შინაარსით არაკონსტიტუციური, არასამართლიანი და არასწორია“, – განაცხადა ბიზნესის სამართლის წამყვანმა სპეციალისტმა, იურისტმა აკაკი ჩარგვიშვილმა ჩვენთან საუბრისას.

რაც შეეხება მოდელს, თუ როგორი უნდა იყოს

სინამდვილეში ქონების გადასახადი, ჩარგეიშვილი ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია დივერსიფიცირება მოხდეს და სამართლიანად იყოს გადაწყვეტილი, არის თუ არა დაბეგვრის შესაძლებლობა.

„ქონების გადასახადი დაერქვა, მაგრამ უფრო მაინც სიმდიდრეს უკავშირდება, რადგან შემოსავლის ოდენობასთან განისაზღვრა. კანონი 2004 წელს დამტკიცდა, როცა პარლამენტარის ხელფასი 50 ლარი იყო და 20 წლის შემდეგ 11 000 ლარია. მსყიდველუნარიანობა რომ შევადაროთ, 40 000-იან ზღვართან მიმართებაშიც დიდი უკანონობაა. მთავრობა გვეუბნება, რომ ფიზიკური პირების გადასახადია, მაგრამ ადამიანს შეიძლება არ ჰქონდეს არც ქონება, არც შემოსავალი, მაგრამ თუ ოჯახის სხვა წევრს აქვს, მაშინ ერთიანად ეკისრებათ ვალდებულება. კანონის ეს უკანონობა დოკუმენტურად არის მოცემული.

საბოლოოდ მივიღეთ უკანონო დადგენილება საკუთარი მოქალაქეების მიმართ, ამიტომ იმსახურებს ასეთ კრიტიკას, ანუ არ არის გამოჩნული, ეს არის მდიდრების გადასახადი თუ ქონების გადასახადი. მიწის გადასახადს ისედაც ყველა იხდის, რა შემოსავალიც არ უნდა ჰქონდეს, გამონაკლისების გარდა.

რაც შეეხება ცვლილებას, პირველ რიგში, ოჯახის ცნება უნდა მოიხსნას. ვინაიდან გადასახადის გადამხდელი ერთი სუბიექტია, ერთზე ვრცელდება, ორსა და მეტ პირზე ვერ გავრცელდება. ეს არ არის შპს, არც კომერციული ორგანიზაცია და არ საჭიროებს ამგვარ ადმინისტრირებას. შესაბამისად, ქონების გადასახადი მხოლოდ ფიზიკურ პირზე უნდა ვრცელდებოდეს და ოჯახის ცნებას არ უნდა უკავშირდებოდეს. მისი მიზანი გადასახადის გადამხდელია და არა ოჯახი. ეს არის შეუსაბამობა მოქმედ კანონთან, კონსტიტუციასთან და ადამიანის უფლებებთან“, – აღნიშნა ჩვენთან საუბრისას აკაკი ჩარგეიშვილმა.

რაც შეეხება სანქციას ურჩი გადამხდელების მიმართ, როგორც იურისტი განმარტავს, ჯარიმები არის ორგანიზაციის ერთი არის დეკლარაციების წარუდგენლობაზე და მეორე – გადასახადის გადაუხდელობაზე. მაგალითად, თუ დეკლარაცია საერთოდ არ წარვადგინეთ, რაც უნდა გადაგვეხადა, თანხას ემატება ჯარიმის სახით ამ თანხის 5%. დეკლარირების ორ თვეზე მეტი ვადაგადაცილების შემთხვევაში, ჯარიმის მოცულობა 10%-მდე იზრდება.

გარდა ამისა, თუკი გადასახადის გადახდის ვადად განსაზღვრულია კონკრეტული თარიღი და გვიან იქნა გადახდილი, ყოველ დაგვიანებულ დღეზე ემატება დეკლარაციით გადასახდელი თანხის 0.05% და ეს საურავი დაეკისრება იმ პერიოდის განმავლობაში, რამდენი ხნითაც გადახდა დააგვიანებს.

2023 წლიდან, ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ ქონების გადასახადის რეფორმის ახალ მოდელზე მუშაობენ და რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტიც მზად აქვთ, მაგრამ ამ დრომდე ინიციატივას კანონპროექტის სახე არ მიუღია, არც პარლამენტში შეუტანიათ განსახილველად და არც პროფესიულ ჯგუფებში დაუწყიათ განხილვები.

ფინანსთა მინისტრმა ლაშა ხუციშვილმა პარლამენტში საბიუჯეტო განხილვის დროს მხოლოდ ის დაადასტურა, რომ ქონების გადასახადთან მიმართებით სამინისტრო მუშაობს შესაბამის რეფორმაზე, თუმცა მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე, ჯერჯერობით რეგიონებს შორის გარკვეული დისბალანსების გასწორება ვერ ხერხდება.

„თქვენ იცით, რომ ქონების გადასახადთან მიმართებით ფინანსთა სამინისტრო მუშაობს რეფორმაზე, რომელიც ბევრად ფართოა, ვიდრე მხოლოდ ფიზიკური პირის ქონების გადასახადი. ამ პერიოდში ჩვენ მოვამზადეთ გარკვეულწილად, რეგულირების ზეგავლენის დოკუმენტი, შესაბამისი ანალიზი გაკეთდა, ამან, ბუნებრივია, დაიკავა ძალიან დიდი დრო. იქიდან გამომდინარე, რომ ეს გადასახადი სრულად, 100%-ით ადგილობრივი გადასახადია და არა მხოლოდ ერთი კონკრეტული გადასახადის ჭრილში ხდება ამის შეფასება, თითოეული მუნიციპალიტეტის ჭრილში ვახდა საჭირო ამის შეფასება.

ამ ეტაპზე, რა შედეგებიც ამ კვლევამ დადო, იყო ის, რომ მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში შეუძლებელია იმ დისბალანსის გასწორება, რომელსაც ზოგ მუნიციპალიტეტთან მიმართებით იწვევს აღნიშნული რეფორმა. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ზღვართან დაკავშირებით შესაძლებელია, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვიმსჯელოთ, სანამ შესაძლებელი იქნება უფრო დიდი და ფართო მასშტაბის რეფორმის განხორციელება და იმ დისბალანსების აღმოფხვრა რეგიონების მიხედვით, რომელსაც, შესაძლებელია, ჰქონდეს ადგილი ამ რეფორმის განხორციელების პირობებში“, – განაცხადა ხუციშვილმა.

ფინანსისტები ნაწილი კი დაბეგვრის „ესტონურ მოდელს“ ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევენ და ოპტიმალურ ვარიანტად განიხილავენ. როგორც აუდიტორმა ირაკლი შავიშვილმა განმარტა, ყველაზე მეტად საქართველოსთვის მისაღები სწორედ ე.წ. „ესტონური მოდელია“, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ მიწა იბეგრება და ადამიანებს ზედმეტი ხარჯის გაღება არ უწევთ.

„ჩემი აზრით, ქონების გადასახადი მიმდინარე რეალობასთან მიმართებით არარელევანტურია. იგი იმ ფორმით, რასაც სახელმწიფო გვთავაზობს, მიუღებელია. საქართველოსთვის ყველაზე ახლოს არის ე.წ. ესტონური მოდელი, იბეგრება მარტო მიწა, შენობებზე, ნაგებობებსა და სხვა ტიპის ქონებაზე გადასახადი არ ვრცელდება. თუკი მიწა არ გაქვს საკუთრებაში, ე.ი. ქონების გადასახადს არ იხდი. ის, ფაქტობრივად, უფრო საშემოსავლო ტიპის გადასახადია, ვიდრე ქონებისა...

მარტო თანხის ოდენობაზე არ არის საუბარი, საერთოდ, მოდელი უნდა შეიცვალოს. 2-3 წლის წინ მთავრობა დაგვიპირდა, რომ ესტონურ მოდელს დაამუშავებდა ქონების გადასახადში და აქამდე ვერ გაკეთდა. საკმაოდ მარტივი მოდელია, იბეგრება მხოლოდ მიწა, გადასახადის გადამხდელი არის როგორც კერძო პირი, ასევე სახელმწიფო, ცენტრალური ბიუჯეტიდან გადასახადი სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ვრცელდება, სულ ესაა. მე პირადად ესტონურ

მოდელს ვანიჭებ უპირატესობას, ქართულ რეალობასთან ყველაზე მეტად მოდის შესაბამისობაში“, – აღნიშნა ირაკლი შავიშვილმა ჩვენთან საუბრისას.

ფინანსთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, იურიდიული კომპანია Tax & Legal Solutions-ის დამფუძნებელი ზურაბ ძნელაშვილიც ინფორმირებულია, რომ ამჟამად ფინანსთა სამინისტრო რამდენიმე ვარიანტს განიხილავს და მათ შორის არის „ესტონური მოდელი“, რაც ნიშნავს ქონების გადასახადის მიწის ღირებულების მიხედვით გადახდას, თუმცა არც ამ და არც სხვა ალტერნატივაზე საჯარო განხილვა არ მიმდინარეობს.

„მითხრეს, რომ არის რამდენიმე ვარიანტი და ვინაიდან ჯერ არ არის გადაწყვეტილი, რომელს მიეცემა მსვლელობა, ამიტომ არცერთს არ ასაჯაროვებენ. ვფიქრობ, რომ ეს არ არის სწორი დამოკიდებულება“, – განაცხადა ძნელაშვილმა.

ესტონური მოდელის არსი ის არის, რომ იბეგრება მხოლოდ მიწა და არა შენობა-ნაგებობები, განსხვავებით არსებული პრაქტიკისგან და ახალი მოდელის შემთხვევაში გადასახადი განისაზღვრება საკადასტრო ღირებულების მიხედვით, რომელიც სახელმწიფოს მიერ დადგინდება.

ძნელაშვილის თქმით, ეს სისტემა ადმინისტრირებას ამარტივებს, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტებისთვის პროგნოზირებად და სტაბილურ შემოსავალს, თუმცა მთავარი რისკი საკადასტრო ღირებულების სიზუსტეა.

„მნიშვნელოვანია, რა მეთოდოლოგიით მოხდება ღირებულების დადგენა და რამდენად ხშირად გადაიხედება. ესტონეთში ეს 5-10 წელიწადში ერთხელ ხდება, მაგრამ საქართველოში ასეთი იშვიათი გადახედვა რეალობას ვერ ასახავს“, – აღნიშნა კომპანია Tax & Legal Solutions-ის დამფუძნებელმა.

აუდიტორული კომპანია „ნექსია ჯორჯიას“ მმართველი პარტნიორი დავით მამრიკიშვილიც პირდაპირ ამბობს, რომ ქონების გადასახადისთვის დადგენილი 40 000-ლარიანი საშელავათო ზღვარი უკვე არარელევანტურია. ამის შესახებ მან „საქმის კურსთან“ ინტერვიუში განაცხადა, სადაც აღნიშნა, რომ 2005 წელს, როცა ეს ზღვარი დადგინდა, 40 000-ლარიანი წლიური შემოსავალი მაღალ შემოსავლად ითვლებოდა, მაგრამ დღეს – აღარ. შესაბამისად, ზღვრის გადახედვა აუცილებელია.

„მგონი, ამ საკითხთან დაკავშირებით ყველა ვთანხმდებით, რომ ეს ზღვარი, მიმდინარე რეალობასთან მიმართებით არარელევანტურია. დღეის მდგომარეობით, თუ პირს და მის მეუღლეს ხელზე ასაღები ხელფასის სახით აქვს, დაახლოებით, 1350 ლარი, უკვე ითვლება, რომ მათი შემოსავლები გადააჭარბებს 40 000-ლარიან ზღვარს და დამეთანხმებით, რომ ეს საშუალო ხელფასზე ნაკლებია. რა თქმა უნდა, ეს ზღვარი არარელევანტურია, გადასახედია და სწორედ ამიტომაც მუშაობა მიმდინარეობს. ვფიქრობ, ქონების გადასახადის გადახდის წესი ძირეულად უნდა შეიცვალოს.“

ჩემი აზრით, თუ ადამიანი ფლობს ქონებას, მან უნდა გადაიხადოს გადასახადი. ოღონდ, აქაც უნდა იყოს გარკვეული შეღავათი, თუ პირს ერთი სახლი აქვს,

პირობითად, სადაც თავად ცხოვრობს, შესაძლებელია, რომ ასეთი კატეგორიის პირები განთავისუფლდეს გადასახადისაგან, მაგრამ თუ პირს რამდენიმე ბინა აქვს, რომელსაც იყენებს ეკონომიკურ საქმიანობაში, აქირავებს და ან შემოსავალს იღებს, ასეთ შემთხვევაში ვფიქრობ, შემოსავლის ოდენობა არ უნდა იყოს გადაამწყვეტი და თუ პირი რამდენიმე ქონებას ფლობს, მას მაინც უნდა გააჩნდეს ქონების გადასახადის გადახდის ვალდებულება.

თუ კანონმდებლის მიზანი იქნება, რომ დაბევროს მაღალშემოსავლიანი პირები და მათ მოსთხოვოს გადასახადი, აქაც ზღვარი გონივრულობის ფარგლებში უნდა დაწესდეს“, – განაცხადა დავით მამრიკიშვილმა.

არიან სპეციალისტები, რომლებიც ქონების გადასახადის საერთოდ გაუქმებას უჭერენ მხარს. მაგალითისთვის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საგადასახადო ექსპერტი გონერ ურიდია ჯერ კიდევ 2014 წელს მასთან ჩაწერილ ინტერვიუში (იხ. „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“, №12(180), 2014 წ.) ამბობდა:

„წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით მე ვასაბუთებ, რომ ქონების გადასახადი გასაუქმებელია. ეს არის დრომოჭმული, ფეოდალური რუდიმენტი, რომელიც ბიზნესს „სისხლს სწოვს“ და ახლავს გეტყვით, რატომ. გადასახადი რაზე უნდა იყოს დაწესებული? გადასახადი უნდა იყოს დაწესებული ეკონომიკურ აქტიურობაზე, ანუ გადასახადი უნდა იყოს შემოსავალზე, სიძნელეზე, ახალ ღირებულებაზე. ჩვენ გვაქვს დამატებული ღირებულების გადასახადი, მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი, აქციზი, ქონების გადასახადი და იმპორტის გადასახადი. ყველა დანარჩენი ახალ ღირებულებაზე დაწესებული გადასახადია, ქონების გადასახადის გარდა. ქონების გადასახადი არის წარსულში შექმნილი შრომის შედეგად მიღებული ღირებულების გადასახადი. წარსულში რომ ღირებულება შეიქმნა, ის დაბევრილია უკვე მოგების გადასახადით, საშემოსავლო გადასახადით და ყველა გადასახადით. ან თუ დაბევრილი არ არის მაშინ რეინვესტიციაა და ეკონომიკას ზრდის. ამიტომ ქონების გადასახადი არის დრომოჭმული გადასახადი; ის აფერხებს ეკონომიკის განვითარებას, ტვირთად აწევს ბიზნესს. ქონების გადასახადი უნდა გაუქმდეს, იმიტომ, რომ ბიზნესს ამუხრუჭებს. შეიძლება რეეოლუციურ ნაბიჯად ჩანს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს არის გასაკეთებელი.“

ამგვარად, ქონების გადასახადთან დაკავშირებით ჯერჯერობით ბევრი ბუნდოვანებაა. მოსახლეობა ზღვართან დაკავშირებით პირობების გადახედვას ითხოვს და სპეციალისტებიც ამ მოსაზრებას იზიარებენ. დასმულ კითხვებზე ხელისუფლების მხრიდან ფუნდამენტური პასუხი ჯერჯერობით არ გაცემულა. შესაბამისად უცნობია, როდის დაიწყება რეფორმაზე მუშაობა. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, უამრავი სხვადასხვა გზაა, რომ ქონების გადასახადის პრინციპი სწრაფად შეიცვალოს – ამისთვის, შეიძლება გადასახადი დაიწიოს, შეიძლება ზღვარი აიწიოს ან საერთოდ, მიწის ღირებულებასთან იყოს კავშირში.

**ეკონომიკა და პოლიტიკა**

**ეკონომიკა და პოლიტიკა** – ამ რუბრიკით გამოქვეყნებულ სტატიებში განხილულია საქართველოში მიმდინარე ის მოვლენები და პროცესები, რომლებიც კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებასთან; აგრეთვე, შევეხებით სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას მსგავს სიტუაციებში.

# პარლამენტმა 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დაამტკიცა

## რა პრიორიტეტები გამოიკვეთა „ქართული ოცნების“ მოწონებულ მთავარ საფინანსო დოკუმენტში

პარლამენტმა 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი დაამტკიცა. „ქართული ოცნებისა“ და პარტია „საქართველოსთვის“ დეპუტატებს ბიუჯეტის პროექტი ფინანსთა მინისტრმა ლაშა ხუციშვილმა წარუდგინა.

მისი თქმით, 2026 წელს რეალური ეკონომიკური ზრდა დაგეგმილია 5%-ის ოდენობით, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5.3%-ს შეადგენს. საშუალო ინფლაციის პროგნოზი 2026 წელს 3.3%-ს შეადგენს, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში მიზნობრივი მაჩვენებლის ფარგლებშია (3%). ნომინალური მშპ-ის პროგნოზი განსაზღვრულია 114.1

მილიარდ ლარის ოდენობით.

ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვრება 27.4 მილიარდი ლარის ოდენობით, ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის 2.5%-ს შეადგენს, ხოლო მთავრობის ვალის მაჩვენებელი მომდევნო წელს 33.5%-მდე შემცირდება. 2026 წლის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილი ჯამურად 36.285 მილიარდ ლარს შეადგენს, შემოსულობების ჯამური მაჩვენებელი კი 30.76 მილიარდი ლარის ოდენობით განისაზღვრება.

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლები ასახულია ცხრილში:

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი	მათ შორის	
				საბიუჯეტო სახსრები	დონორების დაფინანსება
შემოსულობები	25,755,258.7	27,560,759.0	30,759,400.0	29,400,000.0	1,359,400.0
შემოსავლები	21,848,836.1	23,434,909.0	24,996,300.0	24,910,000.0	86,300.0
არაფინანსური აქტივების კლება	301,301.7	300,000.0	200,000.0	200,000.0	0.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	344,558.4	400,000.0	500,000.0	500,000.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	3,260,562.5	3,425,850.0	5,063,100.0	3,790,000.0	1,273,100.0
<b>გადასახდელები</b>	<b>25,946,342.9</b>	<b>27,941,729.4</b>	<b>30,881,358.0</b>	<b>29,521,958.0</b>	<b>1,359,400.0</b>
ხარჯები	20,048,532.1	21,841,973.8	23,267,605.3	23,050,987.3	216,618.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,242,546.6	4,258,922.6	4,043,991.7	3,533,759.7	510,232.0
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	365,262.0	424,100.0	650,000.0	17,450.0	632,550.0
ვალდებულებების კლება	1,290,002.1	1,416,733.0	2,919,761.0	2,919,761.0	0.0
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>-191,084.2</b>	<b>-380,970.4</b>	<b>-121,958.0</b>	<b>-121,958.0</b>	<b>0.0</b>

ბიუჯეტის მიხედვით, მთავრობის ხარჯები მომდევნო წელს 2.9 მილიარდი ლარით, 30.9 მილიარდ ლარამდე იზრდება. ბიუჯეტის თითქმის ერთი მესამედი – 9.66 მილიარდი ლარი ჯანდაცვის სამინისტროზე დაიხარჯება, რომლის ბიუჯეტიც მომდევნო წელს 848.7 მილიონი ლარით იზრდება.

ამასთან, საჯარო სექტორში – სამინისტროებსა და სსიპებში დასაქმებული 117,000 მოხელის ანაზღაურება 400 მილიონი ლარით, 3.4 მილიარდ ლარამდე გაიზრდება. უწყებების მიხედვით, 160 მილიონი ლარით იზრდება თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი. შსს-ს დაფინანსება 152 მილიონი ლარით მოიმატებს, სუს-ის ბიუჯეტი 128.5 მილიონი ლარით გაიზრდება. იმავდროულად, 380 მილიონი ლარით მცირდება განათლების სამინისტროს ბიუჯეტი, ეკონომიკის სამინისტროს ბიუჯეტი კი 18.5 მილიონი ლარით დაიკლებს.

მომდევნო წლის ბიუჯეტი 5%-იან ეკონომიკურ ზრდაზე არის დაგეგმილი. საგადასახადო გეგმა კი ასე ნაწილდება:

2026 წლის განახლებული პროგნოზით ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 27 040,0 მლნ ლარს შეადგენს.

2026 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 9 050,0 მლნ ლარით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის წილი შეადგენს 8 221,0 მლნ ლარს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების წილი 829,0 მლნ ლარს;
  - მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 200,0 მლნ ლარით;
  - დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 10 930,0 მლნ ლარით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის წილი შეადგენს 8 744,0 მლნ ლარს, ხოლო მუნიციპალიტეტების წილი – 2 186,0 მლნ ლარს;
  - აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 700,0 მლნ ლარის ოდენობით;
  - იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 150,0 მლნ ლარით;
  - ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 825,0 მლნ ლარს;
  - სხვა გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 185,0 მლნ ლარით.
- ნაერთი ბიუჯეტის პრივატიზაციის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 350,0 მლნ ლარს.
- ვალდებულებების ზრდის სახით მისაღები სახსრები განისაზღვრა 5 063,1 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის:
- საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მისაღები სახსრები შეადგენს 1 800,0 მლნ ლარს;
  - საინვესტიციო კრედიტების მაჩვენებელი შეადგენს 1 273,1 მლნ ლარს;
  - საბიუჯეტო დახმარების სახით მისაღები კრედიტების მაჩვენებელი შეადგენს 640,0 მლნ ლარს;
  - ამასთან, 2026 წელს გათვალისწინებულია

2021 წელს გამოშვებული ევროობლიგაციების რეფინანსირება, რისთვისაც ვალდებულებების ზრდაში გათვალისწინებულია 1 350,0 მლნ ლარი.

იმავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 2 915,0 მლნ ლარის ოდენობით (მათ შორის, ევროობლიგაციები 1 350,0 მლნ ლარი), შესაბამისად ვალდებულებების წმინდა ზრდა 2 148,1 მლნ ლარს შეადგენს.

**რა მოცულობის დაფინანსებას მიიღებენ სსკადასსკვა უწყებები**

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, ქვეყნის მთავარი საფინანსო ლოკუმენტიდან დაფინანსებას ჯამში 117 170 თანამშრომელი მიიღებს, ვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეკუთვნის შრომის ანაზღაურება. აღსანიშნავია, რომ ასეთი ადამიანების რიცხვი კვლავ მატულობს. მაგალითად, 2020 წელს თუ მათი რიცხვი 112 214 იყო, 2024-ში 115 339 შეადგინა, 2025 წელს კი 117 004 დასაქმებულია.

ახლა კი ვნახოთ სახელმწიფო უწყებებზე როგორ ნაწილდება მომავალი წლის დაფინანსება.

**საქართველოს პარლამენტი** 91,544 მლნ ლარს მიიღებს, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 1,4125 მლნ ლარით ნაკლებია.

**საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია** 10,5 მლნ ლარს მიიღებს, მატება 0,5 მლნ ლარია;

**სსიპ – საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკისა და პერალდიკის დეპარტამენტი** 930 000 ლარით დაფინანსდება, მატება 185 000 ლარია;

**საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია** 30 მლნ ლარს მიიღებს, მატება 1 მლნ ლარია;

**სახელმწიფო აუდიტის სამსახური** 40,69 მლნ-ით დაფინანსდება, მატება 15,411 მლნ-ია;

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია** 46,240 მლნ-ს მიიღებს, რაც წინა წელთან შედარებით 82,878 მლნ ლარით ნაკლებია. წელს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები არ არის დაგეგმილი და ხარჯიც ნაკლებია;

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო** 7,86 მლნ ლარს მიიღებს, რაც 1,060 მლნ-ით მეტია წინა წელთან შედარებით;

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს** დაფინანსება 22,3 მლნ ლარია, ზრდა 1,5 მლნ ლარს შეადგენს;

**საერთო სასამართლოები** ჯამურად 180,29 მლნ ლარით დაფინანსდება, რაც 15,79 მლნ ლარით ზრდას ნიშნავს;

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო** 13 მლნ ლარით დაფინანსდება, ზრდა 0,4 მლნ-ია;

**საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური** 380 მლნ ლარს მიიღებს, რაც 48,5 მლნ ლარით გაზრდილ დაფინანსებას ნიშნავს;

**საქართველოს პროკურატურა** 98,7 მლნ-ით დაფინანსდება, ზრდა 27,95 მლნ ლარია;

რაც შეეხება სამინისტროების დაფინანსებას, ის ასახულია ცხრილში:

სამინისტრო	დაფინანსება 2026 წელს (ლარებში)	ცვლილება 2025 წელთან შედარებით (ლარებში)
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	5,200,000	500,000
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	130,000,000	9,000,000
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	928,550,000	-18,459,000
საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო	3,113,650,000	-11,350,000
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	443,235,000	1,235,000
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	9,668,640,000	848,640,000
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	225,000,000	10,000,000
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1,890,000,000	160,000,000
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1,547,000,000	152,000,000
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	808,161,000	61,000
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2,702,198,000	-380,312,000
საქართველოს კულტურის სამინისტრო	364,835,000	48,568,700
საქართველოს სპორტის სამინისტრო	325,310,000	26,959,500
საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო	132,900,000	132,900,000

როდესაც ქვეყნის ტერიტორიის 20% ოკუპირებულია და ოკუპანტისგან ყოველდღიურად კვლავ მოსალოდნელია ახალი აგრესია, ცხადია მნიშვნელოვანია საქართველოს შეიარაღებული ძალების მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ მხრივ, 160 მლნ ლარით თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის ზრდა კარგია, მაგრამ დიდი ვერაფერი იმედია იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს რეგიონში ყველაზე მწირი დაფინანსება გვაქვს... მაგალითად, აზერბაიჯანი თავდაცვის სამინისტროს 2026 წელს დაახლოებით 4,6 მლრდ ევროთი აფინანსებს, რაც წინა წელთან შედარებით 21%-ით მეტია; სომხეთის თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 1,3 მლრდ ევრო იქნება, საქართველოს თავდაცვის ბიუჯეტი კი, დაახლოებით 660 მლნ ევროს შეესაბამება. მართალია,

წინა წელთან შედარებით დაახლოებით 5%-იანი ზრდაა, თუმცა, სახელმწიფო ბიუჯეტს თუ ჩავხედავთ, გაზრდილი 160 მლნ ლარიდან 87,669 მლნ ლარი (ნახევარზე მეტი) შრომის ანაზღაურებაზე მოდის. ასე რომ, თავდაცვისუნარიანობის რეალური გაუმჯობესების ზრდის მოლოდინი ასეთი დაფინანსების პირობებში არარეალურად გამოიყურება.

რაც შეეხება სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციებს, მათი დაფინანსება შემდეგი მოცულობის იქნება:

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში 1,5 მლნ ლარს მიიღებს,

ზრდა 50 000 ლარია;

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში 1.3 მლნ ლარით დაფინანსდება, ზრდა 80 000 ლარია;

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყეხულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 1.5 მლნ ლარს მიიღებს, ზრდა 50 000 ლარია;

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში 1.4 მლნ ლარს მიიღებს, ზრდა 150 000 ლარია;

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში 1,275 მლნ ლარს მიიღებს, ზრდა 95 000 ლარია;

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში 1,320 მლნ ლარით დაფინანსდება, ზრდა 85 000 ლარია;

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში 1,200 მლნ ლარს მიიღებს, ზრდა 80 000 ლარია;

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში 1,6 მლნ ლარით დაფინანსდება, ზრდა 50 000 ლარია;

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში 1,220 ლარი, ზრდა 70 000 ლარი;

ბიუჯეტიდან შემდეგ დაფინანსებას მიიღებენ სხვა უწყებები:

სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახური 18 მლნ ლარი, ზრდა 3,2 მლნ ლარი;

სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური 24,8 მლნ ლარი, ზრდა 3,3 მლნ ლარი;

სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური 7,1 მლნ-ს მიიღებს, ზრდა 2,1 მლნ ლარია;

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური 2,74 მლნ-ით დაფინანსდება, რაც იმას ნიშნავს, რომ უწყების დაფინანსებაში 6,26 მლნ-ით კლებს. უწყების ხარჯები 2025 წელთან შედარებით 8,9 მლნ-დან 2,728 მლნ ლარამდე მცირდება;

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური 126,5 მლნ ლარს მიიღებს, ზრდა 16,5 მლნ ლარია;

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი 11,15 მლნ ლარით დაფინანსდება, ზრდა 850 000 ლარია;

სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი წინა წლის მსგავსად 101,19 მლნ ლარით დაფინანსდება;

სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო 7 მლნ ლარს მიიღებს, ზრდა 500 000 ლარია;

სსიპ – ანტიკორუფციული ბიურო 4,3 ლარით დაფინანსდება, რაც 8,9 მლნ ლარით კლებს;

საქართველოს საპატრიარქო ბოლო წლებში უცვლელ დაფინანსებას, 25 მლნ ლარს მიიღებს;

სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო 21 მლნ ლარით დაფინანსდება, ზრდა 3 მლნ ლარია;

სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატის დაფინანსება 19 მლნ ლარია, კლება 7 მლნ ლარს უდრის;

სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია 6,7 მლნ ლარს მიიღებს, ზრდა 900 000 ლარია;

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა 2,45 მლნ ლარი, ზრდა 150 000 ლარია;

სსიპ – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო 7,7 ლარი, ზრდა 100 000 ლარი;

სსიპ – სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტო, რომელიც „ქართული ოცნების“ მთავრობამ წელს შექმნა და რომელმაც გრანტები უნდა გასცეს არასამთავრობო ორგანიზაციებს, 1,65 მლნ ლარით დაფინანსდება.

სსიპ – სახელმწიფო ენის დეპარტამენტი 1,2 მლნ ლარის დაფინანსებას მიიღებს, ზრდა 50 000 ლარია;


სსიპ – საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო წინა წლის მსგავსად 700 000 ლარს მიიღებს;

რაც შეეხება ბიუჯეტის გადასახდელს, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები 7,274,130,000 ლარია, რაც ნიშნავს, რომ ბიუჯეტს ვალების გასტუმრებაში 1,873,880,000 ლარით მეტის გადახდა მოუწევს 2025 წელთან შედარებით;

აღსანიშნავია, რომ 2026 წლიდან რამდენიმე უწყება აღარ იარსებებს, რომლებსაც წინა წლებში სახელმწიფო დაფინანსება ჰქონდა. ხელისუფლების ოპონენტები თუ ექსპერტები ამ ცვლილებებში ამკარა პოლიტიკურ ნიშანს ხედავენ – ლაპარაკია, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისთვის უფრო კომფორტული გარემოს შექმნაზე.

მაგალითად, 2026 წლიდან აღარ იარსებებს ბიზნესომბუდსმენის აპარატი, რომელიც 2025 წელს 950 000 ლარით დაფინანსდა. გასულ თვეში, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე შოთა ბერეკაშვილი განმარტა, ბიზნესომბუდსმენის აპარატის გაუქმების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ „დღევანდელ საქართველოში ბიზნესს არ სჭირდება დაცვა“.

2026 წლიდან აგრეთვე უქმდება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია – სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია, რომელიც მთავრობამ 2025 წელს 3,1 მლნ ლარით დააფინანსა. ამჟამად კი „დამოაჩინეს“, რომ თურმე



მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“ სააგენტოს „ანარმომე საქართველოში“ მიერ შერჩეულ იქნა ზრდის ჰაბების პროექტის ფარგლებში საკონსულტაციო სერვისების მიმწოდებლად. აუდიტორული კომპანია „ცოდნისა“, სააგენტოსთან „ანარმომე საქართველოში“ პარტნიორობით მცირე და საშუალო მენარმეებს სთავაზობს კარგ შესაძლებლობას ბიზნესის განსავითარებლად. სააგენტო „ანარმომე საქართველოში“-ს საკონსულტაციო ცენტრების (ზრდის ჰაბების) პროექტის ფარგლებში გთავაზობთ 10,000 ლარამდე დაფინანსებას ბიზნესის საკონსულტაციო სერვისებზე შემდეგი მიმართულებით:

**ფინანსები და ბუღალტერია;  
გადასახადები.**

თანადაფინანსების მიღება შეუძლია ნებისმიერ ბიზნესს, რომელსაც:

- აქვს მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება;
- უფიქსირდება წლიური ბრუნვა მინიმუმ 30,000 ლარი და მაქსიმუმ 10,000,000 ლარი;
- არ აქვს საგადასახადო დავალიანება.

რაც მოიცავს აღნიშნული საკონსულტაციო სერვისები?

- ფინანსები და ბუღალტერია;
- სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება;
- ფინანსური ანალიზი;
- ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების შემუშავება;
- ბიზნესისთვის დაფინანსების შესაძლო წყაროების იდენტიფიცირება.

გადასახადები:

- საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისობისა და დაბეგვრის ოპტიმიზაციის უზრუნველყოფა.

დეტალური ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით – ტელ.: 595 59 02 75; 579 30 71 71.

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №41, მე-4 სართული.

„ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებამ 2007 წლის ივნისში კონსტიტუციის დარღვევით შექმნა „დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია“. ყოველ შემთხვევაში, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა გაუქმების მიზეზად ეს დაასახელა.

მთავრობამ აგრეთვე გააუქმა საჯარო სამსახურის ბიურო, რომელიც საჯარო მოხელეების დეკლარაციების შევსება-გამოქვეყნებაზე იყო პასუხისმგებელი. თანამდებობის პირთა დეკლარაციების გამოქვეყნება 6 თვის მანძილზე იყო შეჩერებული, უწყების ბიუჯეტი 2025 წელს 2,7 მლნ ლარით იყო განსაზღვრული. ფუნქცია საქართველოს ანტიკორუფციულ ბიუროს გადასცეს.

პარლამენტმა გააუქმა სპეციალური საგამოძიებო სამსახურიც, რომელიც სხვადასხვა დანაშაულს, მათ შორის წამებას, დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, პოლიციელების მხრიდან ჩადენილ მძიმე დანაშაულებს, არჩევნებში მონაწილეებისთვის

ხელის შეშლას და არჩევნების დროს სხვა დარღვევებს, განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრების საქმეებს, სამსახურებრივ სიყალბეს და მსგავს დანაშაულებს იძიებდა. „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებით, აღნიშნულ დანაშაულებს 2026 წლიდან პროკურატურა გამოიძიებს.

2025 წლის სექტემბრიდან უკვე გაუქმებულია და შესაბამისად მომავალ წელს აღარ იქნება ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი. უწყების ბიუჯეტი 2025 წელს 5,1 მლნ ლარი იყო.

**2026 წლის ბიუჯეტის შიშვანებები**

ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ (TI) საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ანალიზი ჯერ კიდევ პარლამენტში საბოლოო დამტკიცებამდე გამოაქვეყნა, სადაც ძირითადი ყურადღება მაკროეკონომიკურ პარამეტრებსა და ბიუჯეტის სტრუქტურულ ასპექტებზე გაამახვილა.

TI ერთ-ერთ მნიშვნელოვანი რისკის შემცველ მანქანებლად გაზრდილ ვალს ასახელებს.

„2026 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებსაც მოიცავს, 2.9 მლრდ ლარი იქნება, რაც მშპ-ის 2.5%-ს შეადგენს. 2025 წელსაც 2.5%-ია დეფიციტი.

2026 წელს მთავრობა 5,1 მლრდ ლარის ვალს აიღებს, მაგრამ ამავე დროს 2.9 მლრდ ლარის ადრე აღებულ ვალს დაფარავს. შედეგად, მთავრობის ვალი 2.1 მლრდ ლარით გაიზრდება. ახალი 5,1 მლრდ ლარის ვალიდან 1,8 საშინაო ვალზე მოდის, ხოლო 3,3 მლრდ – საგარეო ვალზე. აქედან, 1,4 მლრდ ლარის საგარეო ვალი 2021 წელს გამოშვებული ევროობლიგაციების რეფინანსირებას მოხმარდება.

მთავრობა ახალი საგარეო ვალების აღებას ძირითადად დასავლური ფინანსური ინსტიტუტებისგან და მთავრობებისგან გეგმავს. 2026 წლის ბოლოსთვის მთავრობის ვალი 38,2 მლრდ ლარი იქნება, რაც პროგნოზირებული მშპ-ის 33,5%-ია. მთავრობის ვალის 65% საგარეო ვალია“, – დაწერა ორგანიზაციამ.

ორგანიზაციის მთავარი ეკონომისტი ბესო ნამჩავაძე გადაცემა „წერტილში“ საუბრისას ამბობს, რომ „ოცნება“ დღე და ღამე ლანძღავს დასავლეთს, თუმცა ფულს ისევ მათგან სესხულობს.

2026 წლის წლის ბიუჯეტის თანახმად, კრედიტორებს შორის აზიის განვითარების ბანკი (ADB) ლიდერობს, რომლისგანაც მისაღები თანხები მომდევნო წელს 500 მილიონ ლარს აჭარბებს. მეორე პოზიციაზეა მსოფლიო ბანკი, ასევე მნიშვნელოვან თანხებს მიიღებს მთავრობა KfW-სგან, EIB-დან და EBRD-ისგან.

„ფაქტია, რომ მთავრობა ახალი საგარეო ვალების აღებას, ძირითადად, დასავლური ფინანსური ინსტიტუტებისგან და მთავრობებისგან გეგმავს... კიდევ ერთი უცნაურობა ისაა, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერების მტკიცებით, თურმე გვაქვს ეკონომიკური აღმავლობა, აყვავება, ევროპაში კი, კრიზისიანო მაგრამ ისინი კი არ მოდიან ჩვენთან ფულის სასესხებლად, ჩვენ მივიღებთ და მათგან ვსესხულობთ ფულს... ამდენად, „ოცნების“ რიტორიკა „არ ლავდება“, მაგრამ, საჭიროა, ადამიანებს სწორი ინფორმაცია ჰქონდეთ და ნამდვილი ფაქტები რაღაცნაირად დაუკავშირონ ერთმანეთს“, – განაცხადა ბესო ნამჩავაძემ და თავისი შეფასების ერთ-

ერთ კონკრეტულ მაგალითად სებ-ის პრეზიდენტის და ფინანსთა მინისტრის აშშ-ში ვიზიტი დაასახელა.

საქმე ის არის, რომ 2026 წელს საქართველოს მიერ ევრობონდის რეფინანსირებისთვის მზადების სამუშაოების ფარგლებში, ნათია თურნავა და ლაშა ხუციშვილი JP MORGAN, Société General, CITI და ICBC ორგანიზებით, ნიუ-იორკსა და ბოსტონში ბაზირებულ 15-მდე საინვესტიციო კომპანიას შეხვდნენ.

ბესო ნამჩავაძე განმარტავს, რომ დასავლეთმა შეცვალა დამოკიდებულება საქართველოს მთავრობასთან მიმართებით და ამის მაგალითია სხვადასხვა შეწყვეტილი დონორული დაფინანსება, მათ შორის ევროკავშირიდან გრანტების განულება, მაგრამ ეს არ ნიშნავს სრულ გაჩერებას.

TI-ს მთავარი ეკონომისტის შეფასებით, დასავლეთის დონორები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას – ისინი წყვეტენ იმ გრანტებსა და დახმარებებს, რომლებიც პირდაპირ აძლიერებს მმართველ გუნდს ან მიბმულია კონკრეტულ რეფორმებზე, რაც არ ტარდება, თუმცა აგრძელებენ იმ ფინანსურ მხარდაჭერას, რომელიც უშუალოდ საქართველოს მოქალაქეების საჭიროებებსა და ეკონომიკურ განვითარებას ემსახურება. მაგალითად, ესენია: წყალმომარაგების და კანალიზაციის პროექტები, ენერგეტიკული პროექტები და საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის საჭირო კრედიტები და ა.შ.

### დასკვნის მაგივრად

ჩვენი მხრიდან, 2026 წლის ბიუჯეტს მარტივად შეგვიძლია „ქართული ოცნების“ შეხედულებებზე მორგებული ბიუჯეტი ვუწოდოთ. ამ ვარაუდის საფუძველად გაუქმებული უწყებები თუ განათლების სამინისტროს 380 მლნ ლარით დაფინანსების შემცირება და იმავდროულად, ძალიან სტრუქტურების – შსს-ს 152 მლნ ლარით და სუს-ის 48,5 მლნ ლარით დაფინანსების ზრდა გამოდგება. რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს დაფინანსების 160 მლნ ლარით გაზრდას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის აშკარად არასაკმარისია. სამწუხაროდ, დღევანდელი ხელისუფლება აშკარად პირადი შიდა რისკების შემცირებაზე უფრო ზრუნავს, ვიდრე ქვეყნისთვის რეალურად მომდინარე გამოწვევებზე.

### თეპურ იობაშვილი

## ვირტუალური აქტივების მომსახურების პროვაიდერებს სებ-ი გაუწევს რეგულირებას

პარლამენტმა დაამტკიცა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილება, რომელიც ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილების საკითხს ეხება. ცვლილება „ქართული ოცნების“ დეპუტატების მიერ არის მომზადებული და კანონპროექტით შემოდის ვირტუალური აქტივების მომსახურების პროვაიდერების (VAS) ანუ კრიპტოვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების რეგულირება.

თუკი აქამდე VASP-ების რეგულირება მათი რეესტრის წარმოებით და ლიცენზიების გაცემით შემოიფარგლებოდა, ახლა სებ-ს VASP-ების საქმიანობის უფრო ყოვლისმომცველი რეგულირება შეეძლება, რაც კლიენტთა მომსახურების საკითხებსაც დაარეგულირებს.

ახალი კანონით, ეროვნული ბანკი უფლებამოსილი იქნება ზედამხედველობის ფარგლებში მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია კრიპტოვალუტის მომსახურების მიმწოდებელი ბიზნესისაგან ადგილზე ან დისტანციურად, დაადგინოს მათთვის საზედამხედველო წესები და მოთხოვნები, მათ შორის, მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა და მისი გაანგარიშება, დაადგინოს კაპიტალის აქტივებისა და რისკების მართვის სტანდარტები, განსაზღვროს რისკების ჩარჩო და შემოიღოს სხვა დამატებითი მოთხოვნები. ასევე, ეროვნულ ბანკს ენიჭება უფლებამოსილება მათთვის დაადგინოს მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული წესები.

კანონის თანახმად, ეროვნულმა ბანკმა 2026 წლის პირველ სექტემბრამდე უნდა უზრუნველყოს ზედამხედველობასთან დაკავშირებულ საკითხებზე შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემა.

ეროვნულ ბანკს ენიჭება უფლებამოსილება ნორმატიული აქტით განსაზღვროს მომსახურების სახეები, რომელიც ასევე ჩაითვლება ვირტუალური აქტივის მომსახურებად.

### საქართველოს ევრობონდების მეშვეობით აღებული სესხი გაუძვირდება

ფინანსისტი ვასილ რევიშვილი ამბობს, რომ საქართველოს \$500 მილიონი დოლარის ევრობონდების რეფინანსირებისას განაკვეთი დაახლოებით 2%-ით გაეზრდება. ცნობილია, რომ მთავრობა \$500 მილიონის ახალ ფასიან ქალაქს საერთაშორისო ბაზარზე 2026 წლის აპრილში განათავსებს, მოზიდული სახსრებით კი 2021 წელს გამოშვებულ 5-წლიან ევრობონდისაგან დაფარავს. შესაბამისად სახელმწიფო ვალის რეფინანსირებას გეგმავს. 2021 წელს გამოშვებული ევრობონდის განაკვეთი 2.75% იყო.

ვასილ რევიშვილი აღნიშნავს, რომ 2021 წელთან შედარებით სპრედები გაზრდილია.

„სპრედები, ანუ განსხვავება ობლიგაციის ამონაგებსა და აშშ-ის იგივე ვადიანი სახაზინო ობლიგაციის ამონაგებს შორის გაზრდილია. თუ შევადარებთ გამოშვების დროს სპრედს, ბოლოს რომ გადავამოწმე გაორმაგებული იყო, რაც ნიშნავს დაახლოებით 1-1.5%-ით მეტს, ვიდრე გამოშვების დროს იყო. 2021 წელს კოვიდური პერიოდის ეფექტი იყო, რაც ნიშნავდა, რომ დაბალი საპროცენტო განაკვეთები იყო თვითონ აშშ-ში, თუმცა ამის საპირწონედ ვხედავთ, რომ აშშ უკლებს საპროცენტო განაკვეთებს“, – განაცხადა რევიშვილმა.

მისი თქმით, მოსალოდნელია რომ ჯერ დეკემბერში კიდევ 0.25 საბაზისო პუნქტით შემცირდება საპროცენტო განაკვეთი, 2026 წელს კიდევ დაიკლებს და ჯამში 3-3.5%-ის ფარგლებში შეიძლება დაფიქსირდეს.

„ამ ყველაფერს თუ შევაჯერებთ, დაახლოებით 2%-ით უნდა გაძვირდეს სპრედი, დაახლოებით 6.5%-დან 7%-მდე იქნება, რაც ძალიან საოცრად ძვირი არაა, თუმცა არასასიამოვნოა“, – განაცხადა ვასილ რევიშვილმა „ანალიტიკას“ ეთერში.

### აბონენტებმა, ვისაც არ ეკუთვნოდათ, გაზის €2.2 მილიონის სუბსიდია მიიღეს – სახელმწიფო აუდიტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ეკონომიკის სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი გამოაქვეყნა, რომელიც 2023 წელს მოიცავს.

დოკუმენტის თანახმად, კვლავ გამონწვევად რჩება გაზის სუბსიდიის ისეთ აბონენტებზე გაცემა, ვისაც არ ეკუთვნის. როგორც ირკვევა, ამ მიმართულებით 2023 წელს 2,223,326 ლარი დაიხარჯა.

აღსანიშნავია, რომ კანონის მიხედვით, ბუნებრივი აირის ღირებულება უნაზღაურდება ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან სოფლებში მუდმივად მცხოვრებ მოსახლეობას.

„აუდიტის მიმდინარეობისას 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით ანაზღაურებული თანხების სისწორის, სისრულისა და წარმოშობის დასადასტურებლად, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ყაზბეგის და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები პირების შესახებ.

მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ სამინისტროს აპარატის მიერ განეული 11,445,770 ლარის ხარჯიდან – 2,223,326 ლარი ანაზღაურებულია ისეთ აბონენტებზე, რომლებსაც სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მონოდებულ ბაზაში არ აქვთ მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრების სტატუსი.

„ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში სათანადო კონტროლის მექანიზმების არარსებობის პირობებში – ერთ პირზე, ერთზე მეტი ბუნებრივი აირის აბონენტის ნომრის არსებობა ზრდის საბიუჯეტო თანხების არაეფექტიანი და არაეკონომიური განკარგვის რისკებს“, – წერია აუდიტის ანგარიშში.

საგულისხმოა, რომ მსგავს დარღვევაზე აუდიტი გასული წლების ანგარიშებშიც მიუთითებდა.

### „მიკრობანკი „კრისტალის“ პორტფელი სწრაფად იზრდება“

მიკრობანკის ლიცენზიის მიღების შემდეგ „კრისტალის“ პორტფელი სწრაფად იზრდება, – განუცხადა BMG-ს „კრისტალის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა არჩილ ბაკურაძემ.

მიკრობანკი მომხმარებელს უკვე სთავაზობს ანგარიშის და დეპოზიტის გახსნას, ასევე, საინვესტიციო პროდუქტს. მომავალი წლიდან კი „კრისტალი“ ციფრული არხების დამატებას გეგმავს.

„პორტფელი საკმაოდ სწრაფად იზრდება. ჩვენ ვადარებთ ხოლმე, როგორ იზრდებოდა ჩვენი კონკურენტების პორტფელი მათი საბანკო ლიცენზირების მერე და ამაზე უფრო სწრაფად ვიზრდებით, რაც გასაგებია. იმიტომ, რომ „კრისტალი“ არის ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი ბრენდი ფინანსურ სექტორში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ აქტივების ძალიან მცირე მოცულობა გვაქვს დიდ ბანკებთან შედარებით, ჩვენ გვყავს ძალიან ბევრი მომხმარებელი, რომელიც წარსულშიც ჩვენი მომხმარებელი იყო.

ძალიან გვიხარია, რომ „კრისტალი“ თავისი მომსახურების სტანდარტებით და იმ შინაარსით, რომელსაც ამ მომსახურებაში დებს, რჩება სანდო და სასურველ პარტნიორად.

ჩვენი ძველი მომხმარებლები ბრუნდებიან და სარგებლობენ. შეიძლება, მათ არ სჭირდებოდეთ სესხი, მაგრამ გახსნან ანგარიში, დეპოზიტი. გვაქვს ასევე საინვესტიციო პროდუქტი. ჯერჯერობით, არ არის ისე განვითარებული, როგორც ჩვენ გვინდა, მაგრამ მომავალ წელს ეს აუცილებლად იქნება. იქნება ციფრული არხები, ინტერნეტბანკი და სხვა საშუალებები, რომ გაამარტივოს ურთიერთობა ბანკთან“, – ამბობს არჩილ ბაკურაძე.

ამ ეტაპზე ბაზარზე ორი მიკრობანკი ოპერირებს – „კრისტალი“ და MBC. მიკრობანკებს უფლება აქვთ ერთ მსესხებელზე მაქსიმუმ 1 მილიონი ლარის სესხი გასცენ.

### Fitch-მა ოთხი ქართული ბანკის რეიტინგის პერსპექტივა გააუმჯობესა

საერთაშორისო სააგენტო Fitch Ratings-მა ქართველი ბანკების საკრედიტო რეიტინგის შეფასებების პერსპექტივა გააუმჯობესა, – ამის შესახებ ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაშია აღნიშნული. ეს გადაწყვეტილებები საქართველოს სუვერენული რეიტინგის პროგნოზის გაუმჯობესებას მოჰყვა, რასაც საფუძვლად დაედო საერთაშორისო რეზერვების ზრდა და გარე ლიკვიდობის რისკების შემცირება.

• საქართველოს ბანკი – ბანკის გრძელვადიანი რეიტინგი „BB“-ზე შენარჩუნდა, ხოლო პროგნოზი „ნეგატიურიდან“ „სტაბილურამდე“ გაუმჯობესდა. Fitch-ის შეფასებით, Bank of Georgia-ს ძლიერი საბაზრო პოზიცია, მაღალი კაპიტალიზაცია და მდგრადი მოგება აქვს, რაც მის რეიტინგს ამყარებს.

• თიბისი ბანკი – სააგენტომ TBC Bank-ის გრძელვადიანი რეიტინგი „BB“-ზე დაადასტურა და პროგნოზი „ნეგატიურიდან“ „სტაბილურამდე“ გაუმჯობესა. Fitch-ი მიუთითებს ბანკის მყარ საბაზრო წილზე, სტაბილურ ფინანსურ შედეგებზე და კაპიტალის საკმარის დონეზე, თუმცა ხაზს უსვამს დოლარიზაციის შემცირების საჭიროებას.

• პროკრედიტ ბანკი – Fitch-მა ბანკის გრძელვადიანი რეიტინგი „BB+“-ზე დატოვა, ხოლო პროგნოზი „ნეგატიურიდან“ „სტაბილურამდე“ გაუმჯობესა. სააგენტო აღნიშნავს, რომ ბანკის პოზიციას ამაგრებს მისი აქციონერის, ProCredit Holding-ის მხრიდან მხარდაჭერის შესაძლებლობა, ასევე სტაბილური აქტივების ხარისხი და მოგებიანობა.

• ხალიკ ბანკი საქართველო – Fitch-მა ბანკის გრძელვადიანი რეიტინგი „BB+“-ზე შენარჩუნა და პროგნოზი „სტაბილურამდე“ გაუმჯობესა. სააგენტოს შეფასებით, მიუხედავად ბანკის შედარებით მცირე წილისა სექტორში, მისი კაპიტალიზაცია და ფინანსური სტაბილურობა საკმარისად ძლიერია, რაც „ხალიკ ბანკის“ ჯგუფის საერთაშორისო მხარდაჭერასაც უკავშირდება.

Fitch Ratings-ის თქმით, ყველა ბანკის მიმართულებით მიღებული გადაწყვეტილება ასახავს მაღალი ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებას, ბანკების მოგების სტაბილურობას და სექტორის საერთო ფინანსურ გამძლეობას.

### ბაღიაურიდან ბაკურციხემდე 32-კილომეტრიანი მაგისტრალის მშენებლობა 576 მილიონი ლარი დაჯდება

მთავრობა 2026 წელს ბაღიაური-ბაკურციხის 32-კილომეტრიანი მაგისტრალის მშენებლობის დაწყებას გეგმავს – ამის შესახებ მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტში არის აღნიშნული. მაგისტრალი მსოფლიო ბანკის კრედიტით უნდა დაფინანსდეს და მისი ჯამური ბიუჯეტი 576 მილიონ ლარს შეადგენს.

პროექტის ფარგლებში ტენდერი მომდევნო წელს უნდა გამოცხადდეს.

„აშენებული 32 კმ-იანი საავტომობილო გზით, გაუმჯობესდება ავტოტრანსპორტით მგზავრთა უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება, შემცირდება მგზავრობის დრო და ა.შ. საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის გაზრდილი კონკურენტუნარიანობა სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო კორიდორებში, ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფა“, – ნათქვამია 2026 წლის ბიუჯეტის კანონში.

ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, 2026 წელს უნდა დასრულდეს საგარეჯო-ბაღიაურის 17-კილომეტრიანი გზის მშენებლობა, რომელიც შემდგომ ბაღიაური-ბაკურციხის მონაკვეთით გაგრძელდება. გზის ამ მონაკვეთზე 2023 წლიდან თურქული საინჟინრო კომპანია Gocay Insaat Taahhut ve Ticaret-ი მუშაობს. აღნიშნული მონაკვეთის მშენებლობა 276.8 მილიონი ლარი ჯდება. პროექტის ფარგლებში შენდება 4 ხიდი, 8 გზაგამტარი და 86 წყალგამტარი მილი. პროექტით, ასევე, გათვალისწინებულია საპროექტო მონაკვეთის მიმდებარედ არსებული ადგილობრივი საგზაო ქსელის გაუმჯობესება და მისი აღნიშნულ მონაკვეთთან დაკავშირება.

2024 წელს უკვე გაიხსნა კახეთის ახალი ავტომაგისტრალის 35-კილომეტრიანი მონაკვეთი, რომლის მშენებლობაც 527 მილიონი ლარი დაჯდა.

2024 წელს ასევე გაიხსნა ბაკურციხე-წნორის 18-კილომეტრიანი საგზაო მონაკვეთიც, რომელიც ADB-ის მიერ 87.8 მილიონი ლარით დაფინანსდა.

### სადაზღვევო კომპანიების მოგების გადასახადით დაბეგვრის წესში ცვლილებები შევიდა

სადაზღვევო კომპანიების მოგების გადასახადით დაბეგვრის წესში ცვლილებები შევიდა, რაც ამ კომპანიების მიერ 2024 წლის პირველ იანვრამდე განხორციელებული დივიდენდების განაწილებას შეეხება.

„განხორციელებული ცვლილებით კოდექსის 309-ე გარდამავალ დებულებათა მუხლს დაემატა ახალი 103-ე ნაწილი, რომელიც ეხება სადაზღვევო ორგანიზაციების მიერ მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილების დაბეგვრას მოგების გადასახადის მიზნებისთვის. აღნიშნული ნაწილის თანახმად სადაზღვევო ორგანიზაციებისთვის მოგების განაწილებად მიიჩნევა 2015 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილება, ხოლო 2024 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული დივიდენდის შემდგომი განაწილება არ ჩაითვლება მოგების განაწილებად“, – ნათქვამია აუდიტური ფირმა BDO-ს სამართლებრივ მიმოხილვაში.

რაც შეეხება მოგების არსებულ მაჩვენებლებს, 2025 წლის 9 თვეში საქართველოში მოქმედმა სადაზღვევო კომპანიებმა 113 მილიონი ლარის წმინდა მოგება მიიღეს, რაც 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2 მილიონი ლარით ნაკლებია.

### სებ-ში დავების განხილვის ლიმიტი 100,000 ლარამდე გაიზარდა

ეროვნული ბანკის დავების განმხილველ კომისიაში განსახილველ საქმეებზე ლიმიტი 100,000 ლარამდე გაიზარდა – ამას ითვალისწინებს სების შესახებ კანონში შესული ცვლილებები. აქამდე ეს ზღვარი 50,000 ლარს შეადგენდა.

სების დავების განმხილველი კომისია განიხილავს ისეთ საქმეებს, რომლებიც უკავშირდება საგადახდო ბარათით ოპერაციებს, ინტერნეტბანკინგს, არაავტორიზებულ ოპერაციებსა და სხვა მსგავს დავებს. თუმცა, კომისია, რომელიც 2023 წლიდან მოქმედებს აქამდე უფლებამოსილი იყო მხოლოდ 50,000 ლარამდე მოცულობის დავები განეხილა, ახლა კი ზღვარი 100,000 ლარამდე გაიზარდა.

რა საკითხებს განიხილავს კომისია:

მომხმარებელი უფლებამოსილია საჩივრით მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიას, თუ მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდა საგადახდო ბარათით, ინტერნეტბანკიდან, მობაილ ბანკიდან და სხვა განხორციელებულ არაავტორიზებულ (მისი თანხმობის გარეშე განხორციელებულ) ოპერაციებს, გადახდის ოპერაციის შესრულების ვადის დარღვევას, არასწორად შესრულებულ ოპერაციას, ოპერაციის საკომისიოს არასწორად ჩამოჭრას და სხვა მსგავს შემთხვევას.

საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული დავების განმხილველი კომისია 2023 წლიდან მოქმედებს. კომისია დამოუკიდებელი ორგანოა და უზრუნველყოფს დავის განხილვის ალტერნატიულ მექანიზმებს. მომხმარებელი უფლებამოსილია საჩივრით მიმართოს კომისიას, თუ მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდა საგადახდო ბარათით, ინტერნეტბანკიდან, მობაილ ბანკიდან და სხვა განხორციელებულ არაავტორიზებულ (მისი თანხმობის გარეშე განხორციელებულ) ოპერაციებს, არასწორად შესრულებულ გადახდის ოპერაციას, ოპერაციის საკომისიოს არასწორად ჩამოჭრას და სხვა მსგავს შემთხვევას.

### ყველაზე მეტი მოცულობის ვადაგადაცილებული სესხები რესტორნების, კაფეების და სწრაფი კვების ობიექტების სექტორშია

2025 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, ქართული ბანკების მთლიანი საკრედიტო პორტფელი 68 მილიარდ ლარს შეადგენს, რაც წლიურად 12.7%-ით არის გაზრდილი.

სებ-ის სტატისტიკის თანახმად, მთლიან სესხებში 91 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული კრედიტების რაოდენობა 1.2 მილიარდ ლარს შეადგენს, რაც მთლიანი პორტფელის 1.8%-ია. შედარებისთვის 2024 წლის ანალოგიურ პერიოდში ქართული ბანკების საკრედიტო პორტფელის 1.7% იყო ვადაგადაცილებული, შესაბამისად ამ მიმართულებით მცირედი ზრდა აღინიშნება.

1.2 მილიარდის ვადაგადაცილებული სესხებიდან 355 მილიონი ლარი კორპორაციულ სექტორზე მოდის, 424 მილიონი ლარი მცირე და საშუალო ბიზნესზე, 185 მილიონი კი მიკრო ბიზნესზე მოდის. ფიზიკური პირების კრედიტებში კი ვადაგადაცილება მხოლოდ 266 მილიონი ლარია.


ბიზნეს-სექტორში ყველაზე მეტი ვადაგადაცილება რესტორნების, კაფეების და სწრაფი კვების სექტორში ფიქსირდება, სადაც პორტფელის 5.4% 3 თვეზე მეტად ვადაგადაცილებულია.

ასევე 5.4%-ის ვადაგადაცილებაა, ჯანდაცვის სექტორში, ხოლო მძიმე მრეწველობის სექტორში ვადაგადაცილება 4.1%-ია. მძიმე მრეწველობის სექტორში ვადაგადაცილების წილი 4,1%-ია. ვაჭრობის სექტორში, ისევე როგორც სასტუმროებსა და ტურიზმში ვადაგადაცილების წილი 4%-ს შეადგენს. დანარჩენ სექტორებში ვადაგადაცილების წილი შედარებით მცირეა.

რუბრიკის სპონსორი –

ა უ დ ი ტ უ რ ი კ ო მ პ ა ნ ი ა

შპს „მოორ ეიბისი“ / „Moore ABC“ LLC



MOORE

**კითხვა-პასუხი**

კითხვა-პასუხი - ამ რუბრიკით ჟურნალში ქვეყნდება პასუხები ჩვენი მკითხველების იმ შეკითხვებზე, რომლებიც ბუღალტრულ აღრიცხვას, საგადასახადო კანონმდებლობასა და სამოქალაქო სამართალს შეეხება. დასმულ შეკითხვებზე პასუხს გაცემენ შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს და შპს „ააფ ინტეგრითი“-ს აუდიტორები, შპს „ააფ-მენეჯმენტის“ მენეჯერები, შპს „ადვოკატთა და აუდიტორთა კორპორაციის“ იურისტები. მომზადებული პასუხების განხილვა მათ გამოქვეყნებამდე ხდება „კითხვა-პასუხის“ საბჭოს მიერ.

შეკითხვები მოგვაწოდეთ წერილობითი სახით, ფოსტით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა საშუალებით. სასურველია (თუმცა აუცილებელი არ არის) დასმული შეკითხვის ქვემოთმოყვანილი ფორმატით წარმოდგენა.

შეკითხვები მიიღება ელექტრონული ფოსტით: [info@aaf.ge](mailto:info@aaf.ge) ან ტელ.: 239-33-50.

შპს „ააფ-მენეჯმენტის“ გენერალურ დირექტორს ფრიდონ ალშიბაიას  
„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ მთავარ რედაქტორს გიორგი ცერცვაძეს

ჟურნალის ხელმომწერის -----

შ მ კ ი თ ხ ვ ა

„კითხვა-პასუხის“ რუბრიკის ფორმატში, გთხოვთ განმარტებას შემდეგ საკითხზე: -----

-----  
-----  
-----  
-----

თარიღი, ხელმოწერა, საკონტაქტო ტელეფონი ან ელ. ფოსტის მისამართი.

(კითხვის ავტორის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია ჟურნალში არ ქვეყნდება!)

წინამდებარე ნომერში მკითხველთა შეკითხვებს პასუხობდა შპს აუდიტური კომპანია „ააფ ინტეგრითის“ დირექტორი ნიკოლოზ ედიბერიძე.

კითხვა: რეზიდენტ ფიზიკურ პირს გახსნილი აქვს ანაბრები საქართველოში ქართულ ბანკში და უცხოეთში უცხოურ ბანკში. ამ ანაბრებიდან მიღებული სარგებლის თანხები წარმოქმნის თუ არა რაიმე საგადასახადო ვალდებულებებს რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის?

პასუხი: 1) საქართველოში, ქართულ ბანკებში გახსნილი ანაბრებიდან მიღებული სარგებელი არ წარმოშობს რაიმე საგადასახადო ვალდებულებებს რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის, რადგან სსკ 131-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით დადგენილია:

„5. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული პროცენტები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება. ამასთანავე, აღნიშნული პროცენტები მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება, თუ ამ პროცენტების მიმღები არ არის ასევე ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტი“.

2) უცხოეთში, უცხოურ ბანკებში გახსნილი ანაბრებიდან მიღებული სარგებლის თანხები რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის არ წარმოადგენს საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს! ეს გამომდინარეობს

სსკ 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ პუნქტიდან. შესაბამისად, მათზე გავრცელდება სსკ 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ფ“ პუნქტით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათი:

„1. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვისაგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:

ფ) რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი (მათ შორის, სარგებელი), რომელიც არ განეკუთვნება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს“.

აღვნიშნავთ ასევე, რომ მიღებული პროცენტები წარმოადგენს ფინანსური მომსახურების ერთ-ერთ სახეს და არ იბეგრება დღგ-ით სსკ 171-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად.

აღსანიშნავია ასევე, რომ სსკ მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს შემოსავალი არ ითვლება ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლად:

„2. ეკონომიკურ საქმიანობას არ მიეკუთვნება:...

ე) ფიზიკური პირის მიერ ფულადი სახსრების საბანკო დაწესებულებებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში დეპოზიტებსა და ანაბრებზე განთავსება“.

ანაბრებიდან მიღებული შემოსავალი გათვალისწინებული უნდა იქნეს ოჯახის წლიურ შემოსავალში იმის განსაზღვრავად, ეკუთვნის თუ არა საგადასახადო შეღავათი (40000 ლარამდე შემოსავლების შემთხვევაში) ფიზიკური პირის ქონების გადასახადის გასაანგარიშებლად, რადგან სსკ 202-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით განსაზღვრულია:

„6. ამ კარის მიზნებისათვის, ამ მუხლის მე-7 ნაწილის გათვალისწინებით, ფიზიკური პირის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავლებში შეიტანება ყველა შემოსავალი, მათ შორის, სარგებელი საგადასახადო შეღავათების გაუთვალისწინებლად, კერძოდ:...

ბ) ნებისმიერი შემოსავალი, მათ შორის, სარგებელი, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან“.

**პიტიხვა: კომპანია, რომელიც იყიდის კომერციულ ფართს ჩემგან ანუ დღგ-ის გადამხდელი არამეწარმე ფიზიკური პირისგან (მას შემდეგ რაც დაფრეგისტრირდება გადამხდელად), ამ ფართის შესყიდვიდან დღგ-ს ჩაითვლის? თუ კი, რა იქნება ამისთვის საჭირო?**

**პასუხი:** იმისათვის, რომ ახლად რეგისტრირებულმა დღგ-ის გადამხდელმა პირმა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოწეროს, აუცილებელია მას ჰქონდეს კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელი პირის სტატუსი. როგორც წესი, დასაწყისში მას ეძლევა არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელი პირის სტატუსი, ხოლო შემდეგ, როდესაც მას გაუჩნდება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციები, მიანიჭებენ კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელი პირის სტატუსს. ეს საკითხი მიმოხილულია შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 16 თებერვლის №3751 ბრძანებაში „ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის/დადასტურების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის უფლების შეზღუდვის და გადასახადის გადამხდელის მიერ გამოწერილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის განსაზღვრის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

ზემოაღნიშნულის გარდა, კომპანიის მიერ დღგ-ის ჩათვლა არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ იყო მისთვის საქონლის/მომსახურების მიმწოდებელი. მთავარია, რომ თავად ეს კომპანია იყოს დღგ-ის გადამხდელი და საქონლის/მომსახურების შეძენაზე ჰქონდეს ჩათვლის დოკუმენტი – ამ შემთხვევაში, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომელიც ექნება კიდევაც.

როცა ეს პირობები დაკმაყოფილებულია, მაშინ კომპანიას წარმოეშება დღგ-ის ჩათვლის უფლება იმ შემთხვევაში, თუ შეძენილი კომერციული ფართი მის მიერ გამოყენებული იქნება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციებში, ან დღგ-ის ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებში, ხოლო თუ გამოყენებული იქნება დღგ-ის ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულ ოპერაციებში, მაშინ დღგ-ს ვერ ჩაითვლის. იმ შემთხვევაში, თუ შეძენილი კომერციული ფართი კომპანიის მიერ გამოყენებული იქნება როგორც ისეთ ოპერაციებში, რომლებიც იძლევიან ჩათვლის უფლებას, ასევე ისეთ ოპერაციებში, რომლებიც დღგ-ის ჩათვლის უფლებას არ იძლევიან, გამოყენებული უნდა იქნეს დღგ-ის ჩათვლის პროპორციული წესი სსკ 177-ე მუხლის შესაბამისად.

**პიტიხვა: ჩვენი კომპანიის (საქართველოს შპს, რომელიც მსს ფასს-ით მუშაობს), 100%-იანი დამფუძნებელია ჩვეთვის რეზიდენტი კომპანია. მისგან 2023 წელს ავიღეთ უპროცენტო სესხი 40 000 ევრო, რომელიც დაგაბრუნეთ გასულ თვეში 2025 წლის სექტემბერში. მიღებული სესხის ეკვივალენტი ლარში ჩარიცხვის დღეს შეადგენდა 120 000 ლარს, ხოლო გადარიცხვის დროს – 128 000 ლარს (რიცხვები პირობითია). ეს სხვაობა (128000-120000=8000 ლარი) რაიმე გადასახადით ხომ არ უნდა დაიბეგროს?**

**პასუხი:** ფინანსური აღრიცხვის თვალსაზრისით, ეს 8000 ლარი წარმოადგენს საკურსო სხვაობას, მაგრამ საგადასახადო თვალსაზრისით, ეს ასე არ არის. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ საგადასახადო ორგანო ამ 8000 ლარს განიხილავს დამფუძნებლის მიერ საწარმოდან გატანილ მოგებას და დაბეგრავს შესაბამისად, როგორც მოგების განაწილებას. მას აქვს ასეთი გადაკვალიფიცირების უფლება სსკ 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად: „სამეურნეო ოპერაციის ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით შეცვალოს მისი კვალიფიკაცია, თუ ოპერაციის ფორმა არ შეესაბამება მის შინაარსს“. საგადასახადო ორგანომ ასეთი გადაწყვეტილება, მაგალითად, შეიძლება დაასაბუთოს იმით, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-7 ნაწილით დადგენილია:

„7. თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, 200 000 (ორასი ათას) ლარამდე სესხი უნდა გაიცეს მხოლოდ ლარით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხის გაცემის შედეგად მსესხებლის ჯამური ვალდებულებები ამავე გამსესხებლის მიმართ 200 000 (ორასი ათას) ლარს აღემატება. ამ ნაწილის მიზნებისათვის ლარით გაცემულ სესხად არ მიიჩნევა ნებისმიერი ფორმით უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული სესხი“.

ამ დებულებაზე დაყრდნობით, საგადასახადო ორგანო ჩათვლის, რომ თქვენმა კომპანიამ მიიღო 120000 ლარის სესხი, ხოლო შემდეგ დააბრუნა 128000 ლარი, ანუ 8000 ლარით მეტი. ამასთან, ბოლო წლებში საგადასახადო ორგანოს მიერ ინტერპრეტირებული პრაქტიკით (შენიშვნა: უფრო ვრცლად ამის შესახებ გვიწერია ჩვენი ჟურნალის 2025 წლის №01(301)-ში), ის ამ შემოსავალს, საგადასახადო მიზნით, არ მიიჩნევს დამფუძნებლისთვის პროცენტის სახით მიღებულ შემოსავლად სესხის არასაბაზრო პირობების გამო (რაც, ასეთად მიჩნევის შემთხვევაში, მხოლოდ 5%-ით დაიბეგრებოდა) და განიხილავს მას დამფუძნებლის მიერ კომპანიიდან მიღებულ მოგებად. ეს დაიბეგრება 5% საშემოსავლო გადასახადით გადახდის წყაროსთან და 15% მოგების გადასახადით (აქ შევნიშნავთ, რომ „საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგრვის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმება“, რომელიც მოქმედა, არ ათავისუფლებს საქართველოდან ჩეხეთის რეზიდენტისათვის გაცემულ დივიდენდებს გადახდის წყაროსთან დაბეგრვისაგან).

**პიომსკა: სამშენებლო კომპანია შპს 1-მა ბარტერული გარიგებით მიყიდა მშენებარე საცხოვრებელი ფართები სხვა არაურთიერთდამოკიდებულ შპს 2-ს (ორივე - დღგ-ის გადამხდელი პირებია), რომლის სანაცვლოდ მისგან მიიღო წილი სხვა შპს 3-ში. ეს მოხდა 2023 წელს და გაყიდული მშენებარე ფართი დარეგისტრირდა შპს 2-ის საკუთრებაში საჯარო რეესტრში. თუმცა, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურა შპს 1-ს არ გამოუწერია, ვინაიდან მიიჩნევის, რომ მისთვის არ დამდგარა დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის დრო, რადგან მშენებლობა არ დასრულებულა ჯერ, ხოლო მშენებლობის დასრულების ვალდებულება შპს 1-ზეა შენარჩუნებული.**

შპს 2-მა ეს საცხოვრებელი მშენებარე ფართი 2025 წელს საბაზრო ფასზე უფრო მცირე ფასად მიყიდა არაურთიერთდამოკიდებულ ფიზიკურ პირს, რომელმაც გარიგებით გათვალისწინებული ფასი ნაწილობრივ გადაიხადა (დარჩენილი ნაწილი გადასახდელია). გაყიდული მშენებარე ფართი უკვე დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში ამ ფიზიკური პირის საკუთრებაში.

**როდის და როგორ უნდა დაიბეგროს დღგ-ით შპს 2 და როდის უნდა მიიღოს მან დღგ-ის ჩათვლა შპს 1-სგან?**

**პასუხი:** როგორც ცნობილია, სსკ 160-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „5. თუ უძრავი ნივთის შემქმნე საკუთრების უფლება მარეგისტრირებელ ორგანოში მშენებარე ობიექტზე დარეგისტრირდა, ამ ნივთის მიწოდებასთან დაკავშირებით მისი მიმწოდებლის მიერ გაწეული სამშენებლო, სამონტაჟო ან/და სარემონტო მომსახურება უძრავი ნივთის მიწოდების ნაწილად განიხილება“, ხოლო დასაბეგრი დრო, თუ არ მოხდა ავანსის მიღება, სსკ 163-ე მუხლის მე-6 ნაწილის „დ“ პუნქტის მიხედვით განისაზღვრება „დ) ამ კოდექსის 160-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში – უძრავი ნივთის ექსპლუატაციაში მიღების მომენტში“.

დასმულ საკითხთან დაკავშირებით, პირველ რიგში შევნიშნავთ, რომ რადგან ბარტერული გარიგება გაფორმებულია 2023 წელს, როდესაც არაფულადი ავანსები არ იბეგრებოდა დღგ-ით (ეს წესი შეიცვალა 2024 წლის 1 იანვრიდან), ამიტომ 2023 წელს მომხდარი გაცვლის ოპერაციის გამო შპს 1 არ დაიბეგრება დღგ-ით (მიღებული წილი შპს 3-ში – ავანსია შპს 1-ისთვის). შპს 2 ასევე არ დაიბეგრება დღგ-ით, რადგან მის მიერ გაყიდულია წილი შპს 3-ში, რაც არ წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციას სსკ 171-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, როგორც ფინანსური ოპერაციის/ფინანსური მომსახურების ერთ-ერთი სახე (გათავისუფლებულია დღგ-ისაგან ჩათვლის უფლების გარეშე).

შესაბამისად, შპს 1 სწორად მოიქცა, რომ არ გამოუწერა შპს 2-ს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რადგან ჯერ მშენებლობა არ არის დამთავრებული მის მიერ, მშენებლობის დამთავრების ვალდებულება კი მასზე

შენარჩუნებულია. შპს 1 გამოუწერს შპს 2-ს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას მაშინ, როცა ეს მშენებლობა დასრულდება, ზემოაღნიშნული სსკ 163-ე მუხლის მე-6 ნაწილის „დ“ პუნქტის თანახმად.

რაც შეეხება შპს 2-ის დაბეგვრას, რომელმაც 2025 წლიდან უკვე დაიწყო ვერ კიდევ მშენებარე ფართების გაყიდვა (რომლებსაც აშენებს და უნდა დაასრულოს შპს 1-მა), აქ საკვანძო საკითხია, თუ ვის ეკისრება მყიდველი ფიზიკური პირების წინაშე გაყიდულ მშენებარე ფართებზე მშენებლობის დასრულების ვალდებულება? ანუ სხვა სიტყვებით, რაზე რომ მოხდეს და შეფერხდეს მშენებლობა, მყიდველი ვის მოსთხოვს პასუხს ამის გამო? სავარაუდოა, რომ ეს ვალდებულება მყიდველების წინაშე აკისრია შპს 2-ს. ასეთი დაშვების შემთხვევაში:

- თუ შპს 2 მშენებარე ბინების საფასურს (მთლიანად ან ნაწილობრივ) მიიღებს მყიდველებისაგან ავანსის სახით, მაშინ ეს ავანსები დაიბეგრება დღგ-ით, მოქმედი წესის მიხედვით;

- თუ მყიდველის მხრიდან ავანსი არ არის გადახდილი, მაშინ დღგ-ით დაბეგვრა უნდა მოხდეს მაშინ, როცა შპს 2 შეასრულებს მშენებარე ფართის დასრულების ვალდებულებას (რასაც ფაქტობრივად შპს 1 ახორციელებს) მყიდველის წინაშე, როგორც ამას განსაზღვრავს სსკ 163-ე მუხლის მე-6 ნაწილის „დ“ პუნქტი. იმავე თვეში შპს 2 ჩაითვლის დღგ-ს შპს 1-სგან მიღებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით;

თუ მყიდველი ნაწილ-ნაწილ იხდის ბინების საფასურს და ნაწილი ავანს(ებ)ის სახით აქვს გადახდილი, ნაწილი კი ბინის მშენებლობის დასრულების შემდეგ, მაშინ გადახდილი ავანს(ებ)ი იბეგრება დღგ-ით, ხოლო საფასურის დარჩენილი ნაწილი დაიბეგრება დღგ-ით ბინის მშენებლობის დასრულებისთანავე, იმისდა მიუხედავად, თუ როდის იგეგმება მათი გადახდა.

ნაკლებ სავარაუდოა, რომ შპს 2 ყიდდეს მშენებარე ფართებს მათი მშენებლობის დასრულების ვალდებულების გარეშე. თუმცა, თეორიულად ეს გამორიცხული არ არის და თუ ასეთი რამ მაინც მოხდება, მაშინ გამოდის, რომ შპს 2-მა მოიხსნა რა შემდგომი მოვალეობები მშენებლობის სამუშაოებზე, სრულად გადაყიდა უძრავი ქონება მყიდველზე, რაც უკვე დღგ-ით დასაბეგრია.

**პიიხპა: 2011 წლის ნოემბრის თვეში კომპანიამ შეიძინა აუქციონის საშუალებით მიწა, მასზე განლაგებული სასტუმროს შენობა, დამხმარე შენობა და არასაცხოვრებელი დანიშნულების ელ. ჯიხური. დღგ ჩათვლილია სრულად მთლიან ქონებაზე, მათ შორის მიწაზეც. კერძო აუდიტორის მიერ ქონების საერთო ღირებულებიდან გამოყოფილია პროპორციული თანხები თითოეული ქონებისთვის ცალ-ცალკე. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასტუმროს მომსახურება და არ აქვს დღგ-ის ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ბრუნგები.**

**2025 წლის სექტემბრის თვეში მწყობრიდან გამოვიდა აღნიშნული სასტუმრო შენობის მაღალი ძაბვის ელ. სადენი, რომელიც ამარაგებს ელ. ენერჯით აღნიშნულ სასტუმროს, რის გამოც სასტუმრო დარჩა ელ. ენერჯის გარეშე.**

სს „ენერჯო პრო ჯორჯია“-სთან კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ ზემოხსენებული მაღალი ძაბვის ელ. სადენი წარმოადგენდა კომპანიის საკუთრებას და შესაბამისად ის იყო მის აღდგენაზე პასუხისმგებელი. აქედან გამომდინარე, კომპანიამ აღადგინა ზემოხსენებული ელ. სადენი, რომელიც შეასრულა არაგადამხდელმა ფიზიკურმა პირმა (აღნიშნულ პირს დაუკავდა საშემოსავლო გადასახადი და საბენსიო დაზღვევის შენატანი). კომპანიას ძირითად საშუალებებში არ უფიქსირდება მაღალი ძაბვის ელ. სადენი.

კომპანიის მიერ სამომავლოდ იგეგმება ელ. ჯიხურისა და მაღალი ძაბვის ელ. სადენის უსასყიდლოდ გადაცემა სს „ენერჯო პრო ჯორჯია“-სთვის, ვინაიდან ელ. ჯიხურის გამოყენება სს „ენერჯო პრო ჯორჯია“-ს წარმომადგენლის გარეშე შეუძლებელია.

გთხოვთ, გვიპასუხოთ შემდეგ კითხვებზე:

1) მაღალი ძაბვის ელ. სადენის აღდგენაზე გადახდილი თანხა უნდა დაკაპიტალიზდეს ცალკე ძირითად საშუალებად თუ დაემატოს ელ. ჯიხურის ნარჩენ ღირებულებას?

2) ვინაიდან სამომავლოდ იგეგმება ელ. ჯიხურისა და მაღალი ძაბვის ელ. სადენის უსასყიდლოდ გადაცემა სს „ენერჯო პრო ჯორჯია“-სთვის, მის აღდგენაზე გაწეული დანახარჯი, ხომ არ ჩაითვლება სს „ენერჯო პრო ჯორჯია“-სთვის უსასყიდლოდ გაწეულ მომსახურებად და დაიბეგრება დღგ-ით? თუ ფაქტობრივად გადაცემის დროს დაიბეგრება დღგ-ით?

3) თუ მოხდა ელ. ჯიხურისა და მაღალი ძაბვის ელ. სადენის უსასყიდლოდ გადაცემა სს „ენერჯო პრო ჯორჯია“-სთვის, მაშინ შესაძლოა მოგვიწიოს მიწის იმ მცირე ნაწილის გადაცემაც, რომელზეც დგას აღნიშნული ელ. ჯიხური, ვინაიდან საჯარო რეესტრში სხგანაირად ვერ მოხდება მისი დარეგისტრირება. მიწის ეს მცირე ნაწილი თანსობრივად როგორ გამოგყოს? და მიწაზე ჩათვლილი დღგ უნდა აღვადგინოთ შესაბამის თვეში პროპორციულად?

პასუხი: 1) ზოგადად, როდესაც ხდება ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტი, გაწეული ხარჯები

ალიარდეს ძირითადი საშუალებად თუ მიმდინარე პერიოდის ხარჯად, წარმოადგენს პროფესიული განსჯის საგანს.

მოცემულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ მოხდა მაღალი ძაბვის ელ. სადენის აღდგენაზე, თან ეს სადენი თავის დროზე არც იყო აღრიცხული კომპანიის ბალანსზე, მიზანშეწონილად მივიჩნევთ, მაღალი ძაბვის ელ. სადენის აღდგენაზე გახარჯული თანხა დაკაპიტალიზდეს და ალიარდეს ცალკე ძირითად საშუალებად.

2) სადენის აღდგენაზე გაწეული დანახარჯი არ ჩაითვლება სს „ენერჯო პრო ჯორჯია“-სთვის უსასყიდლოდ გაწეულ მომსახურებად იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ეს სადენი მისი აღდგენის პროცესში კომპანიის საკუთრებაა და მის მიერვე გამოიყენებოდა.

მას შემდეგ, რაც ელ. ჯიხურისა და მაღალი ძაბვის ელ. სადენი გადაეცემა სს „ენერჯო პრო ჯორჯია“-ს, ეს უსასყიდლო მიწოდება დაიბეგრება დღე-ით, ვინაიდან დღე ჩათვლილია სასტუმროს მთლიან ქონებაზე.

3) როდესაც მოხდება ელ. ჯიხურის გადაცემა სს „ენერჯო პრო ჯორჯია“-სთვის, ცხადია, ეს გადაცემა თან „წაიყოლებს“ მიწის ნაწილსაც. ვინაიდან ელ. ჯიხური – ცალკე მდგომი ნაგებობაა, საჯარო რეესტრის ამონაწერების მიხედვით, დადგინდება, თუ მიწის რა ფართობი იყო მისი წილხვედრი, ანუ რა ფართობით შემცირდება თქვენი კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი. გადაცემული და საკუთრებაში დარჩენილი მიწის ფართობების პროპორციის მიხედვით, გაანგარიშდება გადაცემული მიწის ღირებულება.

ამასთან, მიწაზე ჩათვლილი დღე არ უნდა აღადგინოთ, რადგან სს „ენერჯო პრო ჯორჯია“-სთვის ზემოაღნიშნული ქონების გადაცემა – დღე-ით დასაბეგრი ოპერაციაა.

**პიიხ 33: დღე-ისგან გათავისუფლებულია იმპორტი (სამედიცინო დანიშნულების სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემები, გლუკომეტრები), რომელიც არის არასამედიცინო ორგანიზაციის მიერ იმპორტირებული. მისი შემდგომი მიწოდება: ა) ფიზიკურ პირებს; ბ) აფთიაქებს; გ) სამედიცინო კლინიკებს, იბეგრება თუ არა დღე-ით?**

**პასუხი:** სამედიცინო დანიშნულების სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემებისა და გლუკომეტრების იმპორტი გათავისუფლებულია დღე-ისგან სსკ 173-ე მუხლის „საქონლის იმპორტის დღე-ისგან გათავისუფლება“ „გ“ პუნქტის მიხედვით:

დღე-ისგან გათავისუფლებულია: „გ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული სეს ესნ-ის 2844 კოდით გათვალისწინებული რადიოფარმპრეპარატების, სეს ესნ-ის 8419 20 000 00, 9001 30 000 00, 9001 40 და 9001 50 კოდებით, სეს ესნ-ის 9018–9022 კოდებით (გარდა 9022 29 000 00 კოდისა), 9025 11 200 00 და 9402 90 000 00 კოდებით გათვალისწინებული საქონლის, სეს ესნ-ის 8713 და 8714 20 000 00 კოდებით გათვალისწინებული ეტლებისა და მათი ნაწილების და საკუთნობის, სამედიცინო დანიშნულების რენტგენის ფირების, სამედიცინო დანიშნულების სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების, გლუკომეტრების (რომელთა ტესტ-სისტემები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერაა რეგისტრირებული) იმპორტი“.

მათი შემდგომი მიწოდება ასევე გათავისუფლებულია დღე-ისგან, რადგან სსკ 171-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ლ“ პუნქტის თანახმად განსაზღვრულია:

„1. დღე-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულია:...

ღ) ამ კოდექსის 173-ე მუხლის „ა“-„ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება“.

**პიიხ 33: საქართველოში დაფუძნებული შპს უწევს იურიდიულ მომსახურებას კვიპროსში დაფუძნებულ იურიდიულ პირს. საქმე არ ეხება უძრავ ქონებას და ასევე კვიპროსში დაფუძნებულ კომპანიას არ აქვს მუდმივი დაწესებულება საქართველოში. მაგრამ ამ ორივე კომპანიის – როგორც ქართულის, ასევე უცხოურის დამფუძნებელი არის ერთი და იგივე საქართველოს მოქალაქე. დაბეგრის რა ვალდებულებებს გამოიწვევს ეს მომსახურება?**

**პასუხი:** სახეზეა მხარეთა ურთიერთდამოკიდებულება. ზოგადად, ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის ოპერაციებმა კი შეიძლება წარმოშვას დამატებით დასაბეგრი ოპერაციები როგორც დღე-ში, ასევე მოგების გადასახადში, რადგან გარიგებები განხორციელებული უნდა იყოს საბაზრო ფასით.

დღე-ის მიზნებისთვის, ამ საკითხს არეგულირებს სსკ 164-ე მუხლის მე-7 ნაწილი. ეს შინაარსობრივად კი გავრცელდება ამ გარიგებაზე, თუ გაწეული მომსახურების ფასი საბაზრო ფასზე უფრო ნაკლებია, მაგრამ რადგან ეს მომსახურება დღე-ით არ იბეგრება (სსკ 162<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის მიხედვით, ვინაიდან ის გაწეულია არარეზიდენტი დასაბეგრი პირისთვის, რომელსაც აქ არ აქვს ფიქსირებული დაწესებულება საქართველოში), დღე-ში დამატებით არაფერი წარმოიშობა.

სხვაგვარად არის საქმე მოგების გადასახადის შემთხვევაში. თუ გაწეული მომსახურების ფასი საბაზრო

ფასზე უფრო ნაკლებია, მაშინ სხვაობა ჩაითვლება მოგების განაწილებად და დაიბეგრება შესაბამისად. ეს გამომდინარეობს ერთი მხრივ სსკ 98<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტიდან, მეორე მხრივ კი ამავე მუხლის ამავე ნაწილის „ბ“ პუნქტიდან, რადგან მხარეები ურთიერთდამოკიდებულები არიან (და თან, ერთ-ერთი მათგანი კვიპროსის – შეღავათიანი დაბეგვის მქონე ქვეყნის რეზიდენტია):

„4. მოგების განაწილებად ითვლება:

ა) საწარმოს მიერ ურთიერთდამოკიდებულ პირთან (რომელიც მოგების გადასახადით არ იბეგრება ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვის ობიექტების მიხედვით) განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისაგან და მათი ურთიერთდამოკიდებულება გავლენას ახდენს გარიგების შედეგზე. ასეთ შემთხვევაში განაწილებული მოგების ოდენობა შეადგენს:

ა.ა) გარიგების საბაზრო ფასსა და მიღებულ/მისაღებ შემოსავალს შორის სხვაობას, თუ გარიგების საბაზრო ფასი აღემატება მიღებულ/მისაღებ შემოსავალს;

ა.ბ) გარიგების შედეგად გაწეულ ხარჯსა და გარიგების საბაზრო ფასს შორის სხვაობას, თუ გარიგების შედეგად გაწეული ხარჯი აღემატება გარიგების საბაზრო ფასს;

ბ) კონტროლირებული ოპერაციის განხორციელება, თუ ამ ოპერაციის დადგენილი პირობები არ შეესაბამება საბაზრო პრინციპს. ასეთ შემთხვევაში განაწილებული მოგების ოდენობა განისაზღვრება ამ კოდექსის XVII თავით დადგენილი წესით გამოანგარიშებული კორექტირების თანხით“.

თუ საქართველოს რეზიდენტი შპს-ის მიერ არარეზიდენტი პირისთვის გაწეული მომსახურების ფასი საბაზრო ფასზე უფრო მეტია, მაშინ მოგების გადასახადით დამატებით (ფასთა სხვაობის გამო) დასაბეგრი ობიექტი არ წარმოიშობა.

**პიი)სმპ: 1) ქონების შპს-ის კაპიტალში შეტანა, ქონების შპს-ის საწესდებო კაპიტალში შეტანა და ქონების შპს-ის განთავსებულ კაპიტალში შეტანა არის თუ არა ერთი და იგივე ცნება/ქმედება?**

2) ჩემს შემთხვევაში, უძრავი ქონების შპს-ის კაპიტალში შეტანა ამ შპს-ის 33% წილის სანაცვლოდ ჩაითვლება მიწოდებად, ანუ მართლაც რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს, რომ მე ფიზიკურმა პირმა ჩემი ქონება მივიყიდე შპს-ს, სწორად მესმის? და თუ ასეა, ნიშნავს თუ არა ეს, რომ ამ შემთხვევაში მე, ფიზიკურმა პირმა, უნდა გადავიხადო დღე ანუ უნდა დავრეგისტრირდე დღე-ის გადამხდელად, რადგან საუბარია კომერციულ ფართზე 100000 ლარზე მეტი ღირებულებით? თუ ეს ასე არ არის, გთხოვთ განმიმარტოთ, რატომ და კონკრეტულად რა გადასახადის გადახდა მომიწევს მე როგორც ფიზიკურ პირს და როდის?

3) ის, რომ შპს-ს შეუძლია საკუთარი ქონების გასხვისება, გასაგებია, მაგრამ შპს-ის კაპიტალში (საწესდებო კაპიტალში, განთავსებულ კაპიტალში) არსებული ქონების გაყიდვაც ასევე შეუძლებელია?

4) თუ შპს-ს უპრობლემოდ შეუძლია კაპიტალში განთავსებული ქონების გასხვისება, გასხვისების შემდეგ კომპანია გადაიხდის მხოლოდ დღე-ს, ასეა? და თუ დამფუძნებლები (ფიზიკური პირები) გადაწყვეტენ დარჩენილი თანხის სრულად გატანას/განაწილებას, ამ შემთხვევაში იქნება საჭირო მოგების გადასახადის და დივიდენდზე გადასახადის გადახდა 15% +5%?

**პასუხი:** 1) ტერმინი „საწესდებო კაპიტალი“ ამოღებული იქნა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონიდან, ამ კანონში შეტანილი ცვლილებების ძალით, როდესაც ძალაში შევიდა 2008 წლის 14 მარტის №5913-IX კანონი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“. ამ ცვლილებების თანახმად, მაშინდელი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის „გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი“ მე-6 ნაწილის ასე იქნა ჩამოყალიბებული:

„6. საქართველოს კანონმდებლობაში ტერმინი „საწესდებო კაპიტალი“ შეიძლება გამოყენებული იყოს საზოგადოების დაფუძნებისას მისი კაპიტალის (შენატანების ჯამი), საზოგადოების საკუთარი კაპიტალის, საზოგადოების აქციების ნომინალური ღირებულების აქციების რაოდენობაზე ნამრავლის, საწარმოს პარტნიორთა ხმების სრული რაოდენობის მნიშვნელობით. საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით საქართველოს მთავრობამ 2008 წლის 10 აგვისტომდე საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს კანონპროექტები შესაბამის კანონებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელთა საფუძველზედაც ტერმინი „საწესდებო კაპიტალი“ ჩანაცვლება სათანადო ტერმინით“.

შევნიშნავთ, რომ ამ ცვლილების არსი ჩვენთვის გაუგებარია. „საწესდებო კაპიტალი“ იყო გასაგები, ბუნებრივი ტერმინი.

რაც შეეხება ცნებებს: „ქონების შპს-ის კაპიტალში შეტანა“ და „ქონების შპს-ის განთავსებულ კაპიტალში შეტანა“ – ეს ერთი და იგივეა.

2) ღიახ, თქვენს შემთხვევაში „უძრავი ქონების შპს-ის კაპიტალში შეტანა ჩაითვლება მიწოდებად, ანუ

მარტივად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს, რომ ფიზიკურმა პირმა თავისი ქონება მიყიდა შპს-ს“, – ეს ასეა, რადგან, ჯერ ერთი, უძრავ ქონებაზე შეიცვალა მესაკუთრე (საგადასახადო მიზნებისთვის) სსკ მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით:

„1. საქონლის მიწოდებად ითვლება პირის მიერ სხვა პირისათვის საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა სასყიდლოთ (მათ შორის, საქონლის რეალიზაცია, გაცემა, ხელფასის ან ნატურალური ფორმით ანაზღაურება) ან უსასყიდლოდ“;

მეორეც, სსკ 151-ე მუხლის მიხედვით მიწოდებად არ ჩაითვლებოდა, თუ კაპიტალში ქონების შეტანის სანაცვლოდ მოიპოვებდით ამ შპს-ის 50% ან მეტ წილს, თქვენ კი 33% წილის მფლობელი გახდით. ეს აღნიშნულია ამ მუხლის 1-ლ და მე-7 ნაწილებში:

„მუხლი 151. იურიდიულ პირში წილის (აქციების) სანაცვლოდ აქტივების შეტანა

1. პირის (პირთა) მიერ იურიდიული პირისათვის მასში 50 პროცენტის ან მეტი წილის (აქციების) სანაცვლოდ აქტივების გადაცემა (დავალიანებით ან მის გარეშე) არ არის აქტივების მიწოდება...

7. ამ მუხლის დებულებები არ გამოიყენება, თუ ოპერაციის მონაწილე რომელიმე მხარე მოგების გადასახადით იბეგრება ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იურიდიულ პირს მასში 50 პროცენტის ან მეტი წილის/აქციების სანაცვლოდ აქტივებს გადასცემს ფიზიკური პირი“.

თუმცა, დღე-ით დაბეგვრა აქ არაფერ შუაშია, რადგან აქტივების შეტანა კაპიტალში დღე-ით არ იბეგრება, რადგან ამის თაობაზე საგადასახადო კოდექსში არსებობს სპეციალური დათქმა 160-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ბ“ პუნქტის სახით:

„7. საქონლის მიწოდებად არ განიხილება:..

ბ) საწარმოს კაპიტალში ან ამხანაგობაში აქტივის შეტანა...

შენიშვნა: ამ ნაწილის მიზნისთვის, პირი, რომელმაც აქტივი მიიღო, განიხილება ამ აქტივის მიწოდების უფლებამონაცვლედ“.

საშემოსავლო გადასახადის თანხა ამ გასხვისებიდან (რადგან ქონების სანაცვლოს მხოლოდ 33% წილი იქნა მოპოვებული) გადახდილი უნდა იქნეს არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა, რადგან სსკ 135-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, „5. არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქონების/აქტივის მიწოდებით ფიზიკური პირის მიერ მიღებული ნამეტის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე“, ხოლო სსკ 153-ე მუხლის მე-12 ნაწილის მიხედვით:

„არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ“.

3) დიახ, შპს-ს ნამდვილად შეუძლია კაპიტალში განთავსებული ქონების გასხვისება (თუ რამე განსხვავებული არ წერია თავად შპს-ის წესდებაში). ამის ამკრძალავი კანონისმიერი ნორმა არ არსებობს!

4) შპს-ს შეუძლია კაპიტალში განთავსებული ქონების (მათ შორის, კომერციული დანიშნულების ფართის) გასხვისება და გასხვისების შემდეგ, ეს კომპანია გადაიხდის დღე-ს ამ გაყიდვიდან. ამის შემდეგ, თუ შპს-ის პარტნიორები (ფიზიკური პირები) გადაწყვეტენ დარჩენილი თანხის სრულად გატანას/განაწილებას, ამ შემთხვევაში იქნება საჭირო გაცემულ დივიდენდზე 5% საშემოსავლო გადასახადისა და 15% მოგების გადასახადის (ფორმულით  $[0.85 \times 15\%]$ ) გადახდა. თუმცა შევნიშნავთ, რომ ფართის გაყიდვიდან მიღებული თანხა (დღე-ის გარეშე) და კომპანიის მოგება ერთმანეთის ტოლი არ იქნება! ჯერ ერთი, კომპანიის მოგება ამ გაყიდვიდან უფრო ნაკლებია, ვიდრე მიღებული თანხა, რადგან გაყიდული ფართის თვითღირებულება აღიარდება ხარჯად, ხოლო მეორეც, ზოგადად, კომპანიის მოგება (ან ზარალი) მრავალი შემადგენელი კომპონენტისგან ფორმირდება და არა მხოლოდ ერთი გაყიდვის ოპერაციიდან.

შევნიშნავთ ასევე, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 2 აგვისტოს კანონის 145-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ავალდებულებს შპს-ების ხელმძღვანელ პირებს გარკვეული სიფრთხილის გამოჩენას მოგების განაწილებისას, კერძოდ:

„1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ფინანსური ანგარიშგების მონაცემების გათვალისწინებით ამზადებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დივიდენდის პარტნიორებზე განაწილების შესახებ წინადადებას და მას პარტნიორებს წარუდგენს. ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია პარტნიორებს დივიდენდის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებზე განაწილების შესახებ წინადადებასთან ერთად წარუდგინოს განცხადება საზოგადოების გადახდისუნარიანობის შესახებ, რომლითაც დასტურდება, რომ დივიდენდის განაწილების დღიდან მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში ეს საზოგადოება შეძლებს ვადამოსული ვალდებულებების ჩვეულებრივი ან/და დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში შესრულებას“.

**პიიხ მპა: კაზინოში მომხმარებლებისგან პერსონალისთვის დატოვებული ე.წ. „თიფი“ (ტოვებენ „ფიშკების“ სახით), რომელიც გროვდება თვის განმავლობაში და თვის ბოლოს ნაწილდება შესაბამისი თანხა თანამშრომლებზე, იბეგრება საშემოსავლო გადასახადით და საპენსიო ფონდში შენატანებით?**

**პასუხი:** სსკ 101-ე მუხლის თანახმად:

„1. ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური ან სარგებელი, მათ შორის, წინა საშუალო ადგილიდან პენსიის ან სხვა სახით მიღებული შემოსავალი, ან შემოსავალი მომავალი საშუალო ადგილიდან.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნებისათვის სარგებლის ღირებულებად ითვლება ქვემოთ მითითებული თანხა, რომელიც მცირდება დაქირავებულის მიერ ამ სარგებლის მიღებისას დამქირავებლისათვის გადახდილი თანხით:...

ი) სხვა შემთხვევაში – სარგებლის საბაზრო ფასი ამ კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით“.

მოცემულ შემთხვევაში, კაზინოს მომხმარებლების მიერ ამ სახით დატოვებული ფული („ფიშკების“ სახით) მართალია განკუთვნილია მომსახურე პერსონალისთვის, მაგრამ რადგან ეს ფული მოქცეულია კაზინოს განკარგვაში, აღრიცხულია მის ბუღალტერიაში (სავარაუდოდ) და მის მიერვე ნაწილდება თანამშრომლებზე, ეს უნდა შეფასდეს როგორც ამ თანამშრომლების მიერ მიღებული დამატებითი საზღაური დაქირავებით შესრულებული საშუალოდან. შესაბამისად, ეს საზღაური უნდა დაიბეგროს როგორც ხელფასი, საშემოსავლო გადასახადით და საპენსიო სავალდებულო დაზღვევის შენატანებით.

კითხვის ავტორისთვის, შეიძლება საინტერესო იყოს მსგავს საკითხზე შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს 2025 წლის 15 ივლისის №15966 გადაწყვეტილება – <https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/9449fa8f-46ef-4229-871b-ecdbe3ed18a2>, ასევე საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-795(2კ-21) – <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/33274/0>.

ჩვენი ეს პასუხი, ისევე როგორც საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება, ეფუძნება კაზინოს საქმიანობის სპეციფიკას. ის არ უნდა იქნეს გაგებული განზოგადებული სახით სხვა სახის საქმიანობისთვის, რადგან ყველა კონკრეტულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ბიზნესის სპეციფიკა, თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები და ა.შ.

**პიიხ მპა: ელექტრომომწოდებელი კომპანიისათვის რაღაც მოცულობის ელექტროენერჯის მიწოდება მოხდა უსასყიდლოდ.**

**საგადასახადო მიზნებისთვის აღბათ არ დაიბეგრება, რადგან რამე ხარჯის გაწევას ადგილი არ ჰქონია.**

**ამ მიწოდებიდან წარმოქმნილი ფინანსური სარგებელი საბაზრო ფასით უნდა იქნეს აღიარებული? თუ ასეთი ფასით: საბალანსო ელექტროენერჯის ფასი, რომელიც დგინდება ყოველთვიურად და ამ ტარიფით ხდება ესკოს (ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორი) მიერ ელექტროენერჯის იმ ნაწილის მიწოდება, რომელიც პირდაპირი ხელშეკრულებებით არ შესყიდულა?**

**რა მოსაზრება გექნებათ ფინანსური აღრიცხვის მიზნებისთვის? კომპანია იყენებს სრულ ფასს-ებს.**

**პასუხი:** ელექტროგამანაწილებელი კომპანიისათვის შესყიდული ელექტროენერჯია ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით წარმოადგენს საქონელს (მარაგს). იგივეა საგადასახადო აღრიცხვის მიზნებისთვისაც, რაც აღნიშნულია სსკ მე-13 მუხლის 1-ლ ნაწილში:

„1. საქონელი არის მატერიალური ან არამატერიალური ქონება, მათ შორის, ელექტრო- და თბოენერჯია, გაზი და წყალი“.

შესაბამისად, შესყიდული ელექტროენერჯის ბუღალტრული აღრიცხვისთვის გამოყენებული უნდა იყოს ბასს 2 „მარაგები“ (ვინაიდან კომპანია სრულ ფასს-ებს იყენებს), კერძოდ კი მისი მე-9 მუხლი „მარაგის შეფასება“:

„9. მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ელექტროგამანაწილებელმა კომპანიამ მისთვის უსასყიდლოდ მიწოდებული ელექტროენერჯია (აქ ვგულისხმობთ, რომ მიწოდება ნამდვილად უსასყიდლო იყო და შეფარულ ბარტერულ გარიგებას არ აქვს ადგილი) უნდა აღრიცხოს მხოლოდ რაოდენობრივად, ნულოვანი ღირებულებით, რადგან ამ ელექტროენერჯის შესყიდვის ღირებულება – 0 ლარია.

*რედაქციაში შემოსულ სხვა შეკითხვებს პასუხი გაეცემათ ჟურნალის შემდეგ ნომერში.*

რუბრიკის სპონსორები:



**www.aafcapital.ge**

**შპს „ააფ-კაპიტალი“**

**AAFC — სასწავლო-სასერტიფიკაციო პროგრამები ფინანსებში**



**საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერი“**

**შრომის ბირჟა ფინანსისტიკისათვის / თბილისი**

შრომის ბირჟა ფინანსისტიკისათვის - ამ რუბრიკის მეშვეობით „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“ ეხმარება სასწავლო ცენტრი „ააფ-კაპიტალი“ მსმენელებს ან/და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა „ინფო ბუღალტერი“ მცოდნე ფინანსური სფეროს სპეციალისტებს მათი კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაოს შოვნაში, ხოლო საწარმოებს - კადრების შერჩევაში. ნებისმიერი სახის ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ ჟურნალის რედაქციაში: ტელ. 239-33-50 ან 239-33-47.

განცხადებების განთავსება უფასოა, თუმცა გამოქვეყნების ჯერადობა შეზღუდულია. აუცილებელი მითხვანაა, რომ უფასო განცხადებების გამოქვეყნების მსურველმა გაიაროს ერთჯერადი გასაუბრება ჟურნალის მთავარ რედაქტორთან.

**ამ რუბრიკის მეშვეობით სამსახური იშოვა 69 განმცხადებელმა!**

- ბანკი. 040010. კაცი, 24 წლის, AAFC-1/ AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - სასაუბრო. კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 289026. ქალი, 34 წლის, AAFC-1/ AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 098901. ქალი, 35 წლის, AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 228501. ქალი, 39 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 058018. ქალი, 44 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 070015. ქალი, 24 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 139402. ქალი, 30 წლის, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 139303. ქალი, 31 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 089026. ქალი, 33 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 049712. კაცი, 26 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - საშუალო, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 029402. კაცი, 29 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - საშუალო, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 099702. კაცი, 26 წლის, AAFC-2 კურსები, ინგლისური - კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 137323. ქალი, 50 წლის, „ბიჯისი“ კურსები, რუსული - ძალიან კარგად, ინგლისური - საშუალო, კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 040010. კაცი, 23 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 125931. ქალი, 59 წლის, AAFC-2 კურსები, კომპიუტერი - საშუალო. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 39121. კაცი, 31 წლის, მსმენელი/AAFC-2 კურსები, ინგლისური - ძალიან კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.



## საზღვარგარეთის ამბავი

საზღვარგარეთის ამბავი - ამ რუბრიკით საქართველოს ფარგლებს გარეთ მომხდარ სხვადასხვა სახსრებს და მნიშვნელოვან ამბებს გაგაცნობთ.

რუბრიკას უძღვება „ააფის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ფრიდონ კერვალიშვილი.

# ერდოღანის დიდი თურანი – მითი თუ რეალობა

თურქეთის ლიდერი რეჯეფ თაიფ ერდოღანი ამბიციურ პროექტს ახორციელებს, რომლის მიზანი ბალკანეთიდან ციმბირამდე გადაჭიმულ უზარმაზარ სივრცეზე ანკარას გავლენის გაფართოება გახლავთ. ულტრანაციონალისტების ლიდერის დევლეთ ბაჰჩელი მთელი მისთვის წარდგენილი „თურქული სამყაროს“ რუკა უბრალოდ სიმბოლოა კი არა, სტრატეგიული გზამკვლევიცაა. იგი თურქეთს, აზერბაიჯანს, ცენტრალური აზიის ქვეყნებს და რუსეთს, ჩინეთსა და ირანის თურქულ რეგიონებსაც მოიცავს. რა იმალება ამ იდეის უკან და რამდენად რეალისტურია მისი განხორციელება? შევეცდებით ამ ერთგვარ ფანტასტიკის სფეროში პრეზიდენტ ერდოღანის

გააქტიურებულ მოძრაობებს მივყვეთ.

### პანთურქიზმისა და თურანის რუკის რაობა

რა აერთიანებთ რუსეთის ალტაის მხარის მკვიდრთ, ჩინელ უიღურებს, მონღოლებს, ყაზახებს და უზბეკებს? ამ კითხვას თურქეთის დღევანდელმა ლიდერმა ერდოღანმა „მისდაუნებურად“ რესპუბლიკის 100 წლისთავის საიუბილეო მიტინგზე გამოსვლისას უპასუხა: **თურქეთს, როგორც დიდებულ მრავალწლოვან ჭაღარს, საკმაოდ ღრმა ფესვები აქვს.** ბაჰჩელის მთელი ერდოღანის რუკით „დასაჩუქრება“ კი, რამდენიმე წლის წინ, 2021 წლის ნოემბერში მოხდა.



თურქეთის ნაციონალისტური მოძრაობის პარტიის თავმჯდომარე დევლეთ ბაჰჩელი და თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეფ თაიფ ერდოღანი

სხვათა შორის, თურქულ, აზერბაიჯანულ და ყაზახურ სასკოლო პროგრამაში (VIII კლასი) ფაკულტატურ საწყისებზე უკვე იკითხება „ზოგადი თურქული ისტორია“. პირველად სწორედ ამ პროგრამის მსმენელებმა 2018 წელს იხილეს დიდი თურქის პირობითი მასშტაბები.

ბაჰჩელის მიერ ერდოღანისთვის წარდგენილი თურქული სამყაროს ფერადი კოდირებით შედგენილი რუკა გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს. როგორც ჩანს, წითელი ფერი თურქულ სახელმწიფოებს აღნიშნავს, ყვითელი – თურქულ ავტონომიებს, ხოლო ნარინჯისფერი – ტერიტორიებს მნიშვნელოვანი თურქული მოსახლეობით. მაგალითად, რუსეთში, ალტაის რესპუბლიკის გარდა, ყვითელი ფერით აღინიშნება ბაშკირეთი (ბაშკორტოსტანი), თათრეთი (თათარსტანი), ხაკასია, ტუვა და სხვა. ჩინეთში ეს ფერი სინძიანი-უილურეთის ავტონომიურ ოლქს აღნიშნავს და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ თურქულენოვანი სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭოს სამიტი 2021 წლის 12 ნოემბერს სტამბოლში გაიმართა. გადაწყდა მისი სახელწოდების შეცვლა თურქულენოვანი სახელმწიფოების ორგანიზაციად (OTS – Organization of Turkic States). ასევე დამტკიცდა 2040 წლამდე თურქული სამყაროს კონცეფცია. ორგანიზაციაში შედიან აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, თურქეთი და უზბეკეთი. დამკვირვებლების სტატუსით მონაწილეობენ თურქმენეთი, უნგრეთი და ჩრდილოეთი კვიპროსი.

**პანთურქიზმი** (პანთურანიზმი) არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აზერბაიჯანსა და თურქეთში, რომელიც მიზნად ისახავს ყველა თურქი ხალხის კულტურულსა და პოლიტიკურ კონსოლიდაციას ერთი სახელმწიფოს, ან კონფედერაციის შიგნით. ერთიანი თურქული სახელმწიფოს ან კონფედერაციის ტერიტორია კი, პანთურქიზმის იდეების მიმდევართა წარმოდგენით, უნდა გადაიშლებოდეს ერთი მხრივ ბალკანეთიდან ყირიმამდე, ხოლო მეორე მხრივ აღმოსავლეთ ციმბირიდან დასავლეთ ჩინეთამდე. ანუ ამ თურქულმა სახელმწიფომ უნდა მოიცვას მთელი თურქულენოვანი ხალხები მათი განსახლების სივრცეებითურთ.

XIX საუკუნის დასასრულს რუსეთის თათრობაში გაიღვივა ეროვნულმა ცნობიერებამ. მათ აღმოაჩინეს საერთო ღირებულებები თურქულენოვან ხალხებთან. 1839 წელს დაარსდა „თურანული საზოგადოება“, რომელსაც ეს სახელი შუა აზიაში მდებარე თურანის დაბლობის მიხედვით ეწოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ გეოგრაფიული სივრცის სახელწოდება ერთ-ერთი ირანული დიალექტიდან უნდა შემოსულიყო და დამკვიდრებულიყო თურქულ ენებში.

თურანული საზოგადოების წევრთა განცხადებების თანახმად, მათი მთავარი მიზანი ე.წ. „თურანული წარმოშობის“ ნიშნით გაერთიანებული ხალხების ერთი

სახელმწიფოს ქვეშ გაერთიანება იყო. თურანული სახელმწიფოს საგარეო საზღვრებში ისინი ხედავდნენ სივრცეს ბალკანეთიდან დაწყებული ანატოლიის ჩათვლით ციმბირამდე და დღევანდელ ჩინეთამდე. თურქულენოვან ხალხთაგან შემდგარი თურანის იმპერიის შექმნის ოცნებას თურანიზმი დაერქვა.

### მოდოღანი თურქული ოცნების ახდენის ფერხ ულში

მაინც რას წარმოადგენს ქვეყანა, რომელსაც ერთდროულად შეუძლია იმეგობროს და ივაჭროს ყველასთან – ნატოდან რუსეთამდე და მოილაპარაკოს მათთან, ვინც ერთმანეთს ეომება? რა არის „თურქული სამყარო“ და ვის სჭირდება იგი? შეიძლება თუ არა იმპერიის აშენება ულტიმატუმების და ოკუპაციის გარეშე?

მოდოღანი, ჯერ გავიხსენოთ, როგორი იყო თურქეთი 2000-იანების დასაწყისში. ერდოღანი – მერი, პრემიერი, სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ლიდერი, არჩევანს ისლამურ იდენტურობასა და ეკონომიკის განვითარებაზე აკეთებს. მეორე ფლანგზეა დევლეთ ბაჰჩელი – ნაციონალისტური მოძრაობის პარტიის ლიდერი მის „რუხ მგლებთან“ ერთად და ზღვიდან მთებამდე მოცულ „თურქულ სამყაროზე“ ოცნებით შეპყრობილი. ისინი მრავალი წელი ერთმანეთს მტრობდნენ, მაგრამ 2015-2016 წლებში პუტინისა და სირიის ომის შემდეგ ყველაფერი იცვლება. ერდოღანის რეიტინგი ეცემა და მან ულტრანაციონალისტებთან ერთობა გადაწყვიტა. ლოზუნგი „სამამულო და ნაციონალისტური“ უკვე თურქული პოლიტიკის საფუძველი ხდება. ოდესღაც მარგინალური მგლური ჟესტი მენისტრიმად იქცევა – მას ხშირად ხედავენ მიტინგებზე, სატელევიზიო ეთერში. ოფიციალური ვიზიტებისას, სკოლებში, კინოთეატრებსა და სერიალების ჩვენებისას აქტიურად ხდება „ერთი ხალხი – ექვსი სახელმწიფო“ კონცეფციის გაპიარება. საინტერესოა, როგორ უყურებენ ამ პრინციპს თავად ეს თურქულენოვანი სახელმწიფოები?

ყოველი ქვეყანა თურქეთში რაღაც საკუთარს ხედავს – თათრეთს, იაკუტიას და რუსეთის სხვა რეგიონებს თურქეთთან მეტწილად კულტურული კავშირები აქვთ; აქ ანკარა ნათესავი და არა პოლიტიკური ცენტრია. აზერბაიჯანში ლოზუნგი „ერთი ხალხი“ პირდაპირი გაგებით აღიქმება; აქ საერთო ენასთან ერთად, მსგავსი ისტორიაცაა და ხშირად საერთო ეკონომიკური ინტერესებიცაა. ყაზახეთში საგარეო პოლიტიკა ზომიერ ბალანსზეა დაფუძნებული: მეგობრულად და არა დიქტატით მოსული ნებისმიერი პარტნიორი, აქ მისიანად ითვლება. უზბეკეთში, ყირგიზეთსა და თურქმენეთში პრაგმატულობა ფასობს. თუ თურქეთი აშენებს გზებს, ხსნის სკოლებს ან სესხებს იძლევა – ეს იწვევს ინტერესს.

ამ ქვეყნების ნაწილი მსოფლიო პოლიტიკის ნაცრისფერ ზონაში იმყოფება. დიდ თამაშში ისინი

როგორც ჭადრაკის დაფაზე განთავსებული თავისუფალი ფიგურებია. მათი საკუთარ კონტროლქვეშ აყვანა ჯერ ვერ მოასწრეს ისეთმა მსხვილმა მოთამაშეებმა, როგორიც აშშ, ჩინეთი და რუსეთია. და სწორედ აქ, ალიანსებს შორის გამოთავისუფლებულ სივრცეში, თურქეთი განსაკუთრებული სითამამით, მკაცრი ულტიმატუმების, ძველი კავშირების გაწყვეტის მოთხოვნების გარეშე შემოდის. გაერთიანებაში სხვებთან დაპირისპირების გარეშე „რბილი“ შესვლა – რეალურია თუ არა ეს?

სსრკ-ის დაშლის შემდეგ ევრაზიის რუკაზე გაჩნდა ქვეყნების სარტყელი, რომლებიც ვერ მოხვდნენ ვერც რუსეთის, ვერც დასავლურ და ვერც ჩინურ ორბიტაზე. მათ სასიცოცხლოდ ესაჭიროებათ იყვნენ მოქნილები და თურქეთი ასეთ შანსს ხელიდან არ უშვებს.

თუ რუკას დააკვირდებით, მთელი ეს ნაცრისფერი სარტყელი კასპიიდან ჩინეთის საზღვრამდე ტერიტორიას მოიცავს. აქაა ქვეყნები, რომლებსაც არ აქვთ სურვილი მთლიანად მიენდონ ერთ საყრდენს. ანკარასთვის კი ესაა შესაძლებლობათა სარკმელი. მოდით მივყვეთ თანმიმდევრობით.

ყაზახეთი ცენტრალური აზიის გასაღებია. აქ არის უზარმაზარი ტერიტორია, უამრავი ნავთობი, ბუნებრივი აირი და ურანი. საბჭოეთის დროიდან ამ ქვეყნის ეკონომიკა მჭიდრო კავშირში იყო რუსეთთან, მაგრამ 2014 წლის შემდეგ ასტანა აქტიურად ცდილობს საგარეო კავშირების გაფართოებას. თურქეთიც აქვეა და სთავაზობს სატრანსპორტო დერეფნების განვითარების პროგრამას, რომელიც იმავდროულად შესაბამისობაშია ჩინურ პროექტთან „ერთი სარტყელი – ერთი გზა“ და საკუთარ „შუა დერეფანთან“;

უზბეკეთი რეგიონში ყველაზე მეტი მოსახლეობისა (38 მლნ მცხოვრები) და ძლიერი სამრეწველო ბაზის მქონე ქვეყანაა. ისლამ კარიზმის მმართველობის ხანაში ხანგრძლივი იზოლაციის წლების შემდეგ ტაშკენტი უცებ გაიღო გარე ინვესტიციებისთვის. თურქეთმა აქ საკუთარი დასაყრდენი იპოვა – ასე გაჩნდა უზბეკეთში ახალი სამრეწველო ზონები, უნივერსიტეტები და ერთობლივი საწარმოები.

ყირგიზეთს მოკრძალებული ეკონომიკა აქვს, მაგრამ მას გააჩნია სტრატეგიული ადგილმდებარეობა – ჩინური და ცენტრალური აზიის სატრანსპორტო მარშრუტების კვეთა. აქ თურქული კომპანიები აშენებენ გზებს, შემოაქვთ სხვადასხვა დანიშნულების სამრეწველო ტექნიკა და მონაწილეობენ ინფრასტრუქტურულ პროექტებში. ანკარა აქ ჰუმანიტარული პროგრამების მეშვეობითაც ამყარებს კავშირებს.

თურქმენეთი პოსტსაბჭოთა სივრცის ერთ-ერთი ყველაზე ჩაკეტილი ქვეყანაა. თუმცა ბუნებრივი აირით მდიდარი საბადოები და კასპიის ზღვაზე გასასვლელი, მას რეგიონში ლამის უმთავრეს „მოთამაშედ“ წარმოაჩენს. თურქეთი ამ ქვეყანასთანაც ნახულობს საერთო ინტერესს – შეღავათიანი კრედიტებით, სამშენებლო კონტრაქტებითა და ინფრასტრუქტურული პროექტებით. და ეს ყველაფერი – აშხაბადისთვის

ჩვეული რუსული და ირანული არხების გვერდის ავლით.

თვით რუსეთის შიგნითაც არის ტერიტორიები, რომელთაც ანკარა კულტურული წრის ნაწილად მიიჩნევს. მაგალითად, ვოლგისპირეთის სამრეწველო „გული“ თათრეთი (თათარსტანი) აქტიურად ინარჩუნებს თურქეთთან კულტურულ და საგანმანათლებლო კავშირებს. ვინ წარმოიდგენდა, მაგრამ თურქეთის ნაწილი იაკუტიაშიც არის. იქ რეგულარულად იმართება თურქული ფესტივალები, წახალისებულია თურქული ენის შენარჩუნების სტუდენტური გაცვლითი პროგრამები.

ასეთია თანამედროვე ალტერნატივის ნორმალიზაცია. ქვეყნებს შეუძლიათ იყვნენ თურქეთის ორბიტაზე, მაგრამ აუცილებელი არაა სხვებს ზურგი აქციონ. თუმცა ნაცრისფერ ზონაში შესვლა საქმის მხოლოდ ნაწილია. ასეთი განსხვავებული მოთამაშეების ყურადღების კონცენტრაცია და მისი შენარჩუნება კიდევ უფრო რთული ამოცანაა. აქ ერთს ერთი უნდა დაჰპირდე, მეორეს სხვა და ამასთან, უნდა შეინარჩუნო „საქმიანი“ იმიჯი. ამ საქმეში კი, როგორც ჩანს თურქეთს ბადალი არ ჰყავს.

ერთდროულად იყო ყველგან – ასეთი ნიჭი ყველა ქვეყანას არ აქვს. ვინ წარმოიდგენდა, რომ NATO-ს შემადგენლობაში შესაძლებელია რუსეთისგან იყიდო შორსმოქმედი საზენიტო-სარაკეტო C-400 კომპლექსები – იარაღი, რომელიც კატეგორიულად შეუთავსებელია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სტანდარტებთან. ვაშინგტონს არ შეეძლო ასეთ გაბედულ ნაბიჯზე რეაქცია არ ჰქონოდა – შესაბამისად თურქეთმა დაკარგა F-35 გამანადგურებლები. იგი ანკარასთვის დროებით ამოიღეს წარმოების პროგრამიდან, როგორც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. თუმცა თურქეთს უკან არ დაუხვეია და C-400 კვლავ მის შეიარაღებაშია, ხოლო რუსეთთან გარიგება გახდა იმის სიმბოლო, რომ ერდოლანი ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაშია თავისუფალი, რომლებიც მოკავშირის პოზიციებთან შეუთავსებელია.

არც უკრაინასთან სიტუაციაშია ყველაფერი ერთგვაროვანად. ერთი მხრივ, ნატოს წევრი თურქეთი კიევის მხარდამჭერია: რუსეთთან ომამდე ანკარა უკრაინისთვის საბრძოლო დრონების „ბაირაქტარის“ მიმწოდებელი იყო; მეორე მხრივ, ერდოლანი აგრძელებს პირდაპირ დიალოგს კრემლთან მარცვლეულის მიწოდებაზე გარიგებების ჩათვლით და მეტიც – თურქეთი ზღემა ტყვეების გაცვლის თემაზე მოლაპარაკებათა ერთ-ერთი მთავარი მოედანი. ამდენად, როცა მავანს მიაჩნია, რომ ერთბაშად ორ სკამზე ვდომა შეუძლებელია, ანკარა ამას წარმატებულად ახერხებს. მისთვის მნიშვნელოვანია კონფლიქტის ორივე მხარისთვის იყოს საჭირო.

ეკონომიკურ ფრონტზეც თურქეთი მრავალვექტორულ პრინციპს ინარჩუნებს. ქვეყანას ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი 1999 წლიდან

აქვს. მოლაპარაკებები მიდის ნელა და პაუზებით, მაგრამ ფორმალურად მისთვის კარი ჯერ არ დაუკეტავთ. კარების ხელახლა გახსნის ლოდინის გარეშე, 2023 წელს ანკარამ BRICS-ში გაწევრებაზე განაცხადი გააკეთა. გზავნილი ასე იკითხება – თუ ბრიუსელში დროს აჭიანურებენ, თურქეთი მზად არის ემბოს თანამშრომლობის ახალი გაერთიანებები.

ძალიან მგრძობიარე საკითხებშიც კი, თურქეთი ცდილობს არ გადაეშვას უკიდურესობის მორევში. მაგალითად გამოდგება უიღურების პრობლემა ჩინეთში. 2009 წელს ამ ქვეყნის დასავლეთში მდებარე სინძიანის პროვინციაში მომხდარი სისხლიანი დაპირისპირებების შემდეგ ერდოლანი ჰეკინის ქმედებების მიმართ მკვეთრი კრიტიკით გამოვიდა. ერდოლანმა ჩინეთი უმოქმედობაში დაადასმა ულა და ქვეყნის ხელისუფლება უიღურთა გენოციდში დაადასმა ულა.

2024 წლისთვის ერდოლანის რიტორიკა გაცილებით ფრთხილი გახდა. თურქ დიპლომატთა განცხადებებიდან ჩანს, რომ უიღურელი თურქები მათთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ აუცილებლად უნდა მოხდეს მთლიანი ჩინეთის სუვერენიტეტის პატივისცემა. დღეს თურქეთი შემოიფარგლება მოწოდებებით – აღმოიფხვრას ვნებათაღელვის მიზეზები თურქულ და ისლამურ სამყაროში სანქციებისა და ეკონომიკური კავშირების გაწყვეტის გარეშე.

**TIKA – თურქული სამედიცინო-კულტურული მისიონის მთავარი იარაღი**

თურქეთში 1992 წლიდან მოქმედებს თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო (Türk İşbirliği ve Koordinasyon Ajansı – TIKA). თავდაპირველად ეს იყო სსრკ-ის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბებული ახალი დამოუკიდებელი თურქულენოვანი სახელმწიფოებისადმი დახმარების ინსტრუმენტი, დღეს კი ესაა გლობალური ქსელი. იგი აერთიანებს 50-ზე მეტ უცხოურ ოფისს, ითვლის 30 ათასზე მეტ განხორციელებულ პროექტს.

TIKA-ს პროექტები აგებულია თურქული ტიპის განვითარების სფეროში თანამშრომლობის მოდელზე, პარტნიორი ქვეყნების პრიორიტეტების გათვალისწინებით. ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ჯანდაცვა.

მივყვეთ უფრო კონკრეტულად სად, რას და როგორ აკეთებს თურქეთის საინვესტიციო დესპანი.: 7500-ზე მეტი ოპერაციის დაფინანსება და 100 ათასზე მეტი დიაგნოსტიკური კვლევა აფრიკაში; მოლდოვას შემადგენლობაში მყოფი გაგაუზის ავტონომიურ წარმონაქმნში თანამედროვე დიაგნოსტიკური ცენტრი გაიხსნა; ღაზას სექტორში, 180 საწოლზე გათვლილი პალესტინის უდიდესი საავადმყოფო 35 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე მოეწყო; ყირგიზეთში კარდიოლოგიისა და გასტროენტეროლოგიის სამედიცინო ცენტრი 72 საწოლზე; საქართველოში,

კერძოდ კი ბათუმში, ინფექციური საავადმყოფოს მოდერნიზება მოხდა, რომელიც თავის დროზე ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კოვიდ-ცენტრი გახდა.

2020 წელს, როცა მსოფლიო COVID 19-ის პანდემიამ მოიცვა, TIKA-მ 100-ზე მეტ ქვეყანას 40 ათასი სპეციალური დამცავი სამოსი, ასიათასობით პირბადე, რესპირატორი და ხელოვნური სუნთქვის აპარატი დაუგზავნა. ბოლოს კი, სამედიცინო მოწყობილობათა ლოკალური წარმოებები მოაწყო.

მეორე საყრდენი, რის ხელშეწყობასაც თურქეთი „თურანის სამყაროში“ უმთავრეს ყურადღებას აქცევს, განათლება და კულტურაა. ბოლო 30 წლის განმავლობაში რეალიზებულია 5000 საგანმანათლებლო პროექტი მსოფლიოს 30 ქვეყანაში.

საგანმანათლებლო და სამედიცინო ექსპანსია „წარმოდგენის“ მხლოდ ნაწილია. ყაზახეთმა, თურქმენეთმა და უზბეკეთმა აზერბაიჯანის მაგალითზე (სადაც თურქეთის მხრიდან „ცოცხალი“ ძალით ჩარევის გარეშე გადაწყდა ყარაბახის საკითხი – ფ.კ.) დაინახეს, რომ სამხედრო სუვერენიტეტის მიღწევა რუსეთზე, ჩინეთზე ან აშშ-ზე სრული დამოკიდებულების გარეშე შესაძლებელია.

თურქეთმა საკუთარი თავი ისეთ პარტნიორად წარმოაჩინა, რომელიც თითქოს არაფრით არ გავალდებულებს, მაგრამ მზადაა გაგიზიაროს ტექნოლოგიები, გამოცდილება და იარაღი. არ გაუშვა ასეთი შესაძლებლობა ყაზახეთმაც. ბოლო წლებში ქვეყანამ საგრძნობლად გაზარდა ანკარასთან სამხედრო ურთიერთმოქმედება. 2018 წელს ხელი მოეწერა თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შეთანხმებას. იგი ითვალისწინებს სამხედრო კადრების მომზადებას, ერთობლივ სწავლებებს და სამეცნიერო-ტექნიკურ პროექტებს. მას შემდეგ ყაზახური სპეცდანიშნულების რაზმები მონაწილეობენ მანევრებში „მარადიული ძმობა“, „ზამთარი“ და „ანადოლუ 2025“. მათში თურქეთისა და ყაზახეთის გარდა 33 ქვეყანა მონაწილეობს – მათ შორის NATO-ს წევრებიც.

ყარაბახის კონფლიქტში აზერბაიჯანის გამარჯვებამ ზანგეზურის დერეფნის საკითხიც წინ წამოსწია. ეს სატრანსპორტო მარშრუტი კასპიის ზღვას თურქეთთან აკავშირებს სომხეთისა და ნახიჩევანის გავლით. ანკარასთვის ეს ცენტრალურ აზიაზე პირდაპირი სახმელეთო გასასვლელია. სულ ახლახანს ამ დერეფანმა მიიღო სახელწოდება „ტრამპის მარშრუტი საერთაშორისო მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის“. დერეფანი აშშ-ს 99 წლით გადაეცა. ეს საკვანძო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ვაშინგტონში გამართულ სამხრეთ შეხვედრაზე ალიევს, ფაშინიანსა და ტრამპს შორის. პრაქტიკულად, ასე დაესვა წერტილი ამ ორი კავკასიური ქვეყნის დაპირისპირებას.

**სატრანსპორტო დერეფანი – თურქეთის „თავის ტკივილი“**

თურქეთი აქაც მოგებული დარჩა, როცა

გარანტირებულად მიიღო პირდაპირი სახმელეთო კავშირი აზერბაიჯანთან და ცენტრალურ აზიაში თურქული სამყაროს სხვა სახელმწიფოებთან. ეს გაზრდის რეგიონში მის სავაჭრო-ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ გავლენას. ანკარას ხომ გეგმაში აქვს გახდეს მთავარი სატრანსპორტო ჰაბი ევროპასა და აზიას შორის.

ერდოღანს საკუთარი გეოპოლიტიკური პოზიციების გამყარება ე.წ. „შუა დერეფნის“ განვითარებით სურს. იგი 2017 წელს ისტორიული „აბრეშუმის გზის“ ასაღორძინებლად გაიხსნა. დერეფანი ჩინეთიდან ევროპისკენ ყაზახეთის, კასპიის ზღვის აკვატორიის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის გავლით მიემართება. ეს მარშრუტი იქმნებოდა როგორც სხვა გზების ალტერნატივა, არის მაგალითად Trans-Siberian Railway (ტრანსსიბირიის სარკინიგზო მაგისტრალი), სადაც რუსეთი დომინირებს.

ერთი შეხედვით, იდეა ძალიან წარმატებული ჩანს. ამ ალტერნატივის ტვირთნაკადი 2020 წლის 350 ათასი ტონიდან, 2024 წლისთვის 4 მილიონ ტონამდე გაიზარდა. მიწოდების დრო 2 კვირამდე შემცირდა, მაშინ როცა სუეცის არხით თვეზე მეტია საჭირო. თუმცა, ყველაფერი ლამაზად ეს პრეზენტაციაზე ჩანს. თურქეთი „შუა დერეფანს“ ასე აქტიურად იმიტომაც უწევს „პედალირებას“, რომ გლობალურ ლოგისტიკაში საკუთარი როლი წინ წამოწიოს.

ესაა, რომ ანკარა ნამდვილად არ არის მოედანზე ერთადერთი მოთამაშე. მას ჩინეთის სახით სერიოზული მეტოქე ჰყავს. პეკინის ტვირთების ნაწილი ჩრდილოეთიდან რუსეთის გავლითაც და სამხრეთიდან ირანისა და სპარსეთის ყურის გავლით მიემართება. შედეგად, არცერთი მარშრუტი არაა მთავარი.

არსებობს სუფთა ტექნიკური ბარიერებიც. დერეფნის ყველაზე ვიწრო ყელი კასპიის ზღვა გახლავთ. აქ შეზღუდულია ბორნები აქტაუში, ქურიკსა და ალიათში, ხანგრძლივი რიგები ჩატვირთვისას, ჩინეთისა და ყაზახეთის საზღვართან ტრასების გადაწყობა – ეს დროს, ტექნიკასა და ადამიანურ რესურსებს საჭიროებს. სარკინიგზო ხაზი ბაქო-თბილისი-ყარსი შესაძლებელია ამ დერეფნის მნიშვნელოვანი არტერია გახდეს, მაგრამ მისი გამტარუნარიანობა და განსაკუთრებით ქართული ინფრასტრუქტურა იდეალურისგან საკმაოდ შორსაა.

კიდევ ერთი წინაღობა სატარიფო მოზაიკაა. მიმდინარე სიტუაციით, ჩინეთიდან ევროპამდე მთელი მარშრუტის განმავლობაში არ არსებობს ერთიანი „ყველაგანმავალი“ ბილეთი. გზაზე შემხვედრი ყველა ქვეყანა საკუთარ პირობებს და ფასს აწესებს. ჰორიზონტზე კი, ზემოთნახსენები ტრანსსიბირიის სარკინიგზო მაგისტრალია. პოლიტიკური რისკების მიუხედავად, იგი ბევრისთვის ნაცნობია და დაწესებული სანქციების პირობებშიც შეუძლია კონკურენტულ ბრძოლაში ჩაბმა.

და ეს ყველაფერი მარშრუტის მონაწილე ქვეყნების

შიდა პოლიტიკის გათვალისწინების გარეშე. ყაზახეთი, საქართველო და აზერბაიჯანი თურქეთის ფილიალები კი არა, პროექტის დამოუკიდებელი მონაწილეები არიან, რომლებიც ვაჭრობენ ტარიფებზე, კონტროლსა და ინვესტიციებზე. ასევე ჩანს ევროკავშირთან კონკურენციის შუქ-ჩრდილები. ბრიუსელის ინიციატივა Global Gateway ამ ბრძოლაში საკუთარ მილიარდებს დებს და სტანდარტების დაცვასაც ითხოვს.

მარშრუტი ორიოდ წელიწადში შეიძლება გაიყვანო, მაგრამ საერთო წესებზე შეთანხმებას ათეულობით წლები სჭირდება. აქ ისმის მთავარი კითხვა: ეყოფა თუ არა თურქეთს რესურსები „შუა დერეფნის“ ბოლომდე მისაყვანად?

### თურქული პრობლემატიკა და სამომავლო პერსპექტივები

თურქეთის ეკონომიკა უკვე მრავალი წელი ცხოვრობს ქრონიკული ინფლაციის პირობებში. 2025 წლის თებერვალში ინფლაციამ 39% მიაღწია. თურქული ლირის კურსს რეზერვებიდან 50 მილიარდი აშშ დოლარის გაყიდვით, დოლარში 38 ერთეულის ნიშნულზე ინარჩუნებენ. აპრილში, ცენტრალურმა ბანკმა 42,5-დან 46%-მდე ასწია რეფინანსირების განაკვეთი (ამჟამად ის 38% გახდა – ფ.კ.). მყარი და იაფი ფული ანკარას ცოტა აქვს, ხოლო ენერგორესურსების იმპორტზე დამოკიდებულება ქვეყნის საფინანსო სისტემას კიდევ უფრო მგრძობიარეს ხდის.

დასკვნა აშკარაა – ლოგისტიკა პირდაპირ კავშირშია პოლიტიკასთან. „შუა დერეფანი“ რომ ნამდვილად თურქული გახდეს, საკმარისი არაა ლიანდაგების დაწყობა და პორტების აშენება; საჭიროა საერთო წესები, გრაფიკის გარანტიები, ერთიანი ტარიფები და გრძელვადიანი ინვესტიციები.

ანკარა ცდილობს როგორმე „შეკეროს“ ეს პოლიტიკური სარჩული სულიერად ახლო მყოფ მეზობლებთან ერთად. აქ კი სცენაზე თურქულენოვანი სახელმწიფოების ორგანიზაცია (OTS) გამოდის. OTS-ი ფორმალურად ეკონომიკური და კულტურული კლუბი გახლავთ, რეალურად კი იგი ასპარეზია, სადაც თურქეთი ცდილობს გაამყაროს თამაშის საკუთარი წესები. შეძლებს კი ასეთი კავშირი ერდოღანის ამბიციური პროექტების განხორციელებას?

ეს ისტორია სათავეს 2009 წელს, ნახიჩევანში იღებს. მაშინ თურქეთმა, აზერბაიჯანმა, ყაზახეთმა და ყირგიზეთმა ხელი თურქულენოვანი ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს შექმნის შეთანხმებას მოაწერეს. თავიდან ყველაფერი „რბილად“ იყო – თანამშრომლობა კულტურაში, ეკონომიკაში, ტრანსპორტში. არავითარი ხმაძალალი განცხადებები. წლები გადიოდა და ამბიციებიც თანდათან გაიზარდა. სწორედ ამის გამო მოხდა საბჭოს OTS-ად (დამფუძნებლებს უზბეკეთი დაემატათ – ფ.კ.) გარდაქმნა 2021 წელს.

ქალაქზე OTS-ი ეკონომიკური და კულტურული

კავშირია – გამარტივებული ვიზები, საერთო სტანდარტები, გაცვლითი პროგრამები, ტრანსპორტის განვითარება. რაც ყველაზე მთავარია, მიზანი – 2040 წლისთვის თურქული სამყარო. წარმოდგინეთ, საერთო საგანმანათლებლო სივრცე, უნიფიცირებული სახელმძღვანელოები, ერთობლივი თავდაცვითი პროექტები. მაგრამ ეს არც NATO და არც ევროკავშირი გახლავთ – არაა კოლექტიური არმია ან საერთო პარლამენტი. უფრო ესაა პლატფორმა, სადაც ანკარა, ასტანა და ბაქო ტესტავენ თამაშის წესებს და წინა პლანზე გააქვთ საკუთარი ინტერესები. თურქეთს სურს პოლიტიკური მხარდაჭერა „საშუალო დერეფნისთვის“, ყაზახეთი ანკარას, მოსკოვსა და პეკინს შორის ბალანსირებს, ხოლო აზერბაიჯანი იმყარებს პოზიციებს სამხრეთ კავკასიაში. ორგანიზაციის შიგნით არაა ერთიანი იდეოლოგია, მაგრამ არის საერთო ენა. ეს საშუალებას იძლევა უმოკლეს ვადაში გაემყაროს პროექტები, უნიფიცირებული იყოს საბაჟოები, ერთობლივი სამხედრო წვრთნები.

გახდება კი OTS-ი ნამდვილი მექანიზმი, რომელიც თურქული ამბიციების თანხლებით ორგანიზაციას გრძელვადიან პერსპექტივაში შეანარჩუნებს ერთობას? და შეიქმნება თუ არა ეს „თურქული სამყარო“? სწორედ ამასვე ოცნებობს ანკარა – აშენებს მარშრუტებს,

კავშირებს, კულტურულ ხიდებს, მაგრამ თავად თურქეთში არაერთი გამოწვევაა, რამაც შესაძლოა ერდოლანს ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანაში შეუშალოს ხელი. მათ შორის არის ქურთებთან კონფლიქტი, რომელიც ყოველგვარ რესურსებს ისრუტავს.

ერთბაშად სამ ბოვირზე ბალანსირება რთული საქმეა – ეკონომიკური ღონის შენარჩუნება, ულტრანაციონალისტების დაკმაყოფილება და კონფორტაციის თავიდან აცილება, რასაც ყველა გემის „წყალში ჩაყრა“ მოყვებს. პარადოქსია, იგივე ძალებმა (ულტრანაციონალისტები), რომლებიც ანკარას გაფართოებისკენ უბიძგებენ, შეიძლება ყველაფრის დასამარება გამოიწვიონ. ქვეყნისშიდა ხმამაღალი ლოზუნგები თურქეთის კონფლიქტში ჩათრევის საფრთხეს შეიცავს – პროექტებს, რომელსაც ეკონომიკა შეიძლება ვერ გასწვდეს, პარტნიორთა მხრიდან ზურგშექცევაა მოსალოდნელი.

მთავარი საკითხი კი ასეთია – ეყოფა თუ არა თურქეთს დრო, რესურსი და ნებისყოფა, რათა „თურქული სამყაროს“ შექმნის იდეა ბოლომდე მიიყვანოს. თუ ყველაფერი ახალი პოლიტიკური ხელისუფლების მოსვლით შეიცვლება?

**ფრიდონ კერვალიშვილი**

**დიდი ბრიტანეთი პოლიტიკაში კრიპტოვალუტის გამოყენების აკრძალვას განიხილავს**

დიდი ბრიტანეთის მმართველი პარტიის, ლეიბორისტების კანონმდებლები გამოდიან ინიციატივით, რომ საარჩევნო პროცესებში კრიპტოვალუტის დაშვება შეიზღუდოს, პარტიებს კი დაფინანსების ციფრულ ვალუტაში მიღება სრულად აეკრძალოთ. როგორც დეპუტატები განმარტავენ, ინიციატივა იმ საფრთხეებთან არის დაკავშირებული, რაც თავად კრიპტოვალუტის გავრცელებას უკავშირდება. როგორც ცნობილია, მათი შემონახვა ტრადიციულ საბანკო გადარიცხვებზე გაცილებით უფრო რთულია, შესაბამისად, არსებობს უცხოური ჩარევისა და პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენის რისკი.

ლეიბორისტული პარტიის ინიციატივას განსაკუთრებით ეწინააღმდეგებიან ნაიჯელ ფარაჟის პარტია Reform UK-ში, სადაც აცხადებენ, რომ საარჩევნო სუბიექტებისა თუ პირადად კანდიდატების დაფინანსება კრიპტოვალუტით არათუ უნდა შეიზღუდოს, არამედ მეტად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში ყველაზე დიდი შემოსავლები კრიპტოვალუტით სწორედ ფარაჟის პარტიამ მიიღო.

ულტრამემარჯვენე პოლიტიკოსი პირობას დებს, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში კრიპტოვალუტაში ინვესტირებიდან მიღებულ შემოსავალზე დაწესებულ გადასახადს 24%-დან 10%-მდე შეამცირებს, ბრიტანეთის ცენტრალურ ბანკში კი სპეციალურ რეზერვს შექმნის, რომელიც ბიტკოინზე იქნება მიმდგრებული. ამასთან, ადგილობრივ ბანკებს დაავალდებულებს, კრიპტოვალუტაზე ყველა მომხმარებლისთვის გახადონ შესაძლებელი.

**დიდი ბრიტანეთი \$10.6 მილიარდის რუსული აქტივების უკრაინისთვის გადაცემისთვის მზადაა**

ბრიტანული The Times-ის ინფორმაციის, გაერთიანებული სამეფოს მთავრობა ქვეყანაში არსებული გაყინული რუსული აქტივების უკრაინისთვის გადაცემისთვის მზადაა. საუბარია 8 მილიარდ გირვანქა სტერლინგზე, ანუ \$10.6 მილიარდ დოლარზე, რომელიც ომში მყოფი მოკავშირის თავდაცვითი საჭიროებებისა და პოსტ-საომარი რეკონსტრუქციის პროექტებისთვის უნდა დაიხარჯოს.

როგორც Times-ი წერს, გამოყოფილი თანხები საკმარისი იქნება, რომ უკრაინის მომდევნო ორი წლის ფინანსური მოთხოვნილებების 2/3 სრულად დაიფაროს. შესაბამისად, ოფიციალური კიევი როგორც სამხედრო მარაგების შევსებას, ისე განადგურებული ობიექტების აღდგენას შეძლებს.

აღსანიშნავია, რომ დიდი ბრიტანეთი არ არის ომში მყოფი ქვეყნის ერთადერთი მოკავშირე, რომელიც რუსული აქტივების უკრაინისთვის გადაცემას განიხილავს. მსგავსი გადაწყვეტილების მიღებისთვის ევროკავშირშიც აქტიურად მსჯელობენ, თუმცა სახელმწიფოების ნაწილი, მათ შორის ბელგია, სადაც მილიარდობით დოლარის გაყინული აქტივებია განთავსებული, ინიციატივას კრიტიკულად უყურებს.

# ნობელის პრემია ეკონომიკაში ფელსაც სამა მეცნიერმა მიიღო

## ეკონომიკის ზრდისთვის რღვევა და ქაოსია საჭირო



ჯოელ მოკირი



ფილიპ აჟიონი



პიტერ ჰოვიტი

ნობელის პრემია ეკონომიკაში მიენიჭათ აშშ-ის, საფრანგეთისა და კანადის მეცნიერებს – ჯოელ მოკირს, ფილიპ აჟიონს და პიტერ ჰოვიტს. მათ პრემია „ინოვაციებზე ორიენტირებული ეკონომიკური ზრდის ასწინისთვის“ გადაეცათ. ეკონომისტებმა სხვადასხვა გზით აჩვენეს, თუ როგორ უწყობს ხელს ინოვაციებითა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვით გამოწვეული შემოქმედებითი რღვევა მდგრად ეკონომიკურ ზრდას და ხელს უშლის სტაგნაციაში ჩავარდნას.

„ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში მსოფლიო ისტორიაში პირველად იხილა მდგრადი ეკონომიკური ზრდა. ამან უამრავ ადამიანს საშუალება მისცა, თავი დაეღწია სიღარიბისგან და საფუძველი ჩაუყარა ჩვენს კეთილდღეობას“, – განაცხადა შვედეთის მეცნიერებათა აკადემიამ წლევეანდელი პრემიის გაცემის დასაბუთებაში.

### განვითარებისთვის მხოლოდ ინოვაციები არ კმარა

ჯილდო განსაკუთრებით აქტუალურია ახლა, რადგან მსოფლიო იმედოვნებს, რომ ხელოვნური ინტელექტის უახლეს ტექნოლოგიებს განვითარებისა და კეთილდღეობის კვანთური ნახტომი მოჰყვება. ეს კი, თავის მხრივ თავსებადია ინტერნეტის გამოგონების გავლენასთან.

„ტექნოლოგიები სწრაფად ვითარდება და გავლენას ახდენს ყველა ჩვენგანზე: ახალი პროდუქტები და წარმოების მეთოდები ცვლის ძველებს. ეს დაუსრულებელი ციკლი მდგრადი ეკონომიკური ზრდის საფუძველია, რაც აუმჯობესებს შემოსავლებსა და ცხოვრების ხარისხს მთელი მსოფლიოს ადამიანებისთვის“, – ნათქვამია წლევეანდელ ნობელიანტთა წარდგენის პრეს-რელიზში. თუმცა, ყოველთვის ასე არ იყო. წარსულში

მნიშვნელოვანი აღმოჩენები მხოლოდ დროებით აუმჯობესებდა ცხოვრებას, შემდეგ კი კეთილდღეობის ზრდა ყოველთვის ქრებოდა. რატომ?

ორმაგი მოქალაქეობის (აშშ, ისრაელი) მქონე ჯოელ მოკირმა (Joel Mokyr) ამ კითხვას უპასუხა, რისთვისაც მან პრემიის ნახევარი მიიღო. იგი აჩვენებს, რომ რაღაცის გაკეთების ახალი გზის პოვნა საკმარისი არ არის; აუცილებელია მეცნიერულად დასაბუთდეს, თუ რატომ მუშაობს ეს მომგებიანად. და ახსნა მეორე განსხვავება შუა საუკუნეებისა და თანამედროვე პირობებს შორის: იმისათვის, რომ ინოვაციებმა ერთმანეთი ჩაანაცვლონ ცხოვრების გაუმჯობესების დაუსრულებელ ციკლში, საზოგადოება ღია უნდა იყოს ახალი იდეებისთვის და მზად იყოს ცვლილებებისთვის.

ინდუსტრიულ რევოლუციამდე (1760-1840-იანი წლები), ტექნოლოგიური ზრდის პერიოდები ხანმოკლე იყო და მათ სტაგნაციის ხანგრძლივი პერიოდები მოსდევდა. თუმცა, მოკირმა დასვა კითხვა: „რატომ ვახდა ზრდა მდგრადი 1800 წლის შემდეგ?“ ეკონომისტი მიიჩნევს, რომ კაცობრიობამ გარღვევა სამი ფაქტორის წყალობით მიაღწია:

### მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ერთობლივი განვითარება:

მოკირმა შემოიღო ძირითადი განსხვავება ცოდნის ორ ტიპს შორის:

– ბუნების კანონების ფუნდამენტური გაგება – რატომ მუშაობს რაღაც? ეს არის მეცნიერება, თეორიები და დაკვირვებები;

– პრაქტიკული ინსტრუქციები – როგორ გავაკეთოთ ეს? ეს არის ტექნოლოგიები და ხელოსნობა.

ინდუსტრიულ რევოლუციამდე ამ ორ ტიპის ცოდნას შორის არანაირი კავშირი არ არსებობდა. გამოგონებები

იქმნებოდა ცდისა და შეცდომის მეთოდით, ძირითადი პრინციპების გაგების გარეშე და, შესაბამისად, სწრაფად იწურებოდა მათი პოტენციალი.

განმანათლებლობის ეპოქაში მეცნიერები ინტერესდებიან პრაქტიკული პრობლემებით, ხოლო ინჟინრებმა და ხელოსნებმა დაიწყეს სამეცნიერო ნაშრომების კითხვა. შედეგად, მეცნიერებამ ტექნოლოგია გააძლიერა და ტექნოლოგიურმა მიღწევებმა მეცნიერებისთვის ახალი კითხვები წამოჭრა. ამ პროცესმა ინოვაციების უწყვეტი ნაკადი გამოიწვია.

**მექანიკური კომპეტენცია:**

მე-18 საუკუნის ბრიტანეთში გაჩნდა მაღალკვალიფიციური ხელოსნების, მექანიკოსებისა და ინჟინრების კლასი, რომლებსაც შეეძლოთ ნახაზების, მასშტაბური მოდელების წაკითხვა და გამოგონებების დახვეწა. სწორედ ისინი ეხმარებოდნენ მეცნიერებს თავიანთი იდეების განხორციელებაში.

**ცვლილებებისადმი ღია საზოგადოება:**

მოკირმა აჩვენა, რომ ისტორიის განმავლობაში საზოგადოება წინააღმდეგობას უწევდა მეცნიერებასა და ტექნოლოგიას. განმანათლებლობის ეპოქამ წარმატებით დაძლია ეს ჩვევა. განმანათლებლობამ ხელი შეუწყო „ზრდის კულტურის“ ჩამოყალიბებას – შესაბამისად, ინოვაცია და პროგრესი დაფასდა.

მანც რატომ არის ასე მნიშვნელოვანი ეს კვლევა და რის გამო გახდა იგი მსოფლიოს ერთ-ერთი პრესტიჟული ეკონომიკური ჯილდოს ღირსი? მოკირმა შეძლო თანამედროვე ეკონომიკური ფენომენის (მდგრადი ზრდა) ღრმა და ყოვლისმომცველი ისტორიული ახსნა. მან ყურადღება ეკონომიკური ფაქტორებიდან (კაპიტალი, ვაჭრობა) იდეებისა და ცოდნის როლზე გადაიტანა. საბოლოო ჯამში, მისმა ნაშრომმა გააერთიანა ეკონომიკური ისტორია, ტექნოლოგიებისა და მეცნიერების ისტორია, რამაც შექმნა კაცობრიობის ეკონომიკური ზრდის ყოვლისმომცველი სურათი.

**აჟიონისა და ჰოვითის ალიარშის მთავარი მიზეზები**

ეკონომიკაში წლებანდელი ნობელის პრემიის ფულადი ჯილდოს ნახევრის მფლობელი გახდა მეცნიერთა დუეტი. ფილიპ აჟიონი (Philippe Aghion) ფრანგი ეკონომისტი და ჰარვარდის უნივერსიტეტში რობერტ ვაგონერის სახელობის ეკონომიკის კათედრის პროფესორია. პიტერ ჰოვითს (Peter Howitt) რაც შეეხება, იგი კანადელია და 2013 წლიდან ბრაუნის უნივერსიტეტში (აშშ), ლინ კროსტის სახელობის კათედრაზე სოციოლოგიისა და ეკონომიკის ემერიტ-პროფესორია.

1992 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში მათ შეიმუშავეს ეკონომიკური ზრდის თეორია „შემოქმედებითი რღვევის“ გზით, რომელიც აჩვენებდა, თუ როგორ შეუძლია მცირე ინოვაციებსაც კი ეკონომიკის ტრანსფორმაცია.

მოკირისგან განსხვავებით, აჟიონი და ჰოვითი

თანამედროვე განვითარებულ ეკონომიკებს აკვირდებოდნენ. მათ შენიშნეს პარადოქსი: ფირმები მუდმივად ჩნდებიან და ქრებიან, ახალი პროდუქტები ძველებს ანაცვლებენ, სამუშაო ადგილები იქმნება და ნადგურდება. მიუხედავად ამისა, ეკონომიკა მანც აგრძელებს ზრდას.

დუეტის ერთობლივმა ნაშრომმა უპასუხა კითხვას: „როგორ გარდაიქმნება ფირმის დონეზე ქაოსი მთლიანობაში ეკონომიკის თანდათანობით ზრდად“. მათ შექმნეს მათემატიკური მოდელი, რომლის უმთავრესი განმსაზღვრელია „შემოქმედებითი რღვევის“ იდეა და სადაც:

– **შემოქმედებითი ნაწილია:** მეწარმეები და ფირმები ინვესტირებას ახდენენ, რათა შექმნან წინა პროდუქციაზე უკეთესი ინოვაცია ან პროდუქტი;

– **რღვევის ნაწილი:** წარმატებული ინოვაცია ახალ ფირმას საშუალებას აძლევს, დაიპყროს ბაზარი და „წაიღოს ბიზნესი“ მოქმედი ფირმისგან, რომლის პროდუქტიც მოძველებულია. შედეგად, მოქმედი ფირმა ზარალდება და იხურება.

ამის ნათელი მაგალითია კომპანია Blockbuster-ის ისტორია, რომელიც აშშ-ში DVD-დისკების გაქირავების ბიზნესის ლიდერი იყო. Netflix-ის გაჩენისა და სტრიმინგსერვისის მოდელის დანერგვის შემდეგ, Blockbuster-მა ოპერირება 2014 წელს შეწყვიტა.

ნობელიანტთა მოდელის საყრდენია დაუსრულებელი ციკლი: ინოვაცია → ბაზარზე შესვლა → შემოსავლის წყვეტა → შემდგომი ინოვაცია. ესაა გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ერთადერთი წყარო. ბუნებრივია, რომ მოდელი ინტერესთა ფუნდამენტურ კონფლიქტს იწვევს. ახალბედებს ინოვაციების ბაზარზე შესვლა სწადიათ, ხოლო უკვე დამკვიდრებულ ფირმებს საკუთარი პოზიციის დაცვა პოლიტიკის ლობირებით სურთ, რომელიც „მომხდურთ“ ბაზარზე შესვლას გაურთულებს.

აჟიონი და ჰოვითი პირველები იყვნენ, ვინც „შემოქმედებითი რღვევის“ პროცესის მათემატიკური მოდელირება მოახდინეს. ეს მოდელი ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზისთვის ფუნდამენტური გახდა. ის საშუალებას იძლევა შევისწავლოთ რა გავლენას ახდენს საპატენტო უფლებები, ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, სუბსიდიები და მშრომელთა უფლებების დაცვა ეკონომიკურ ზრდაზე. მათ აჩვენეს, რომ კონკურენციასა და ინოვაციას შორის კავშირი არასწორხაზოვანი და ძალიან სუსტია. თუმცა, ძალიან დიდ კონკურენციას ინოვაციების შენელებაც შეუძლია.

დასკვნის სახით, შეიძლება შევაჯამოთ: ეკონომიკაში ნობელის პრემიის 2025 წლის ყველა ლაურეატის წვლილი მდგრადი ზრდის ყოვლისმომცველ სურათს ქმნის. მოკირმა ახსნა, თუ როგორ დაადგა კაცობრიობა მდგრადი ზრდის გზას მეცნიერების, ტექნიკისა და ღია საზოგადოების კავშირის წყალობით. აჟიონმა და ჰოვითმა კი ახსნეს, თუ როგორ მუშაობს ამ ზრდის „ძრავა“ თანამედროვე ეკონომიკაში – ინოვაციების

მუდმივი პროცესისა და მიკროლონზე „შემოქმედებითი რევევის“ მეშვეობით.

**რატომ არ არის ეკონომიკაში „ნობელის პრემია“ სინამდვილეში ნობელის პრემია?**

თავდაპირველად, ალფრედ ნობელის ანდერძის თანახმად, პრემიები უნდა გაცემულიყო ქიმიის, ფიზიკის, მედიცინის, ლიტერატურისა და მშვიდობის დარგში მიღწეული წარმატებებისთვის. ეკონომიკურ მეცნიერებათა დარგში ნობელის პრემია შვედეთის ბანკის ინიციატივით 1968 წელს დაარსდა. მას ეწოდება „ალფრედ ნობელის ხსოვნის შვედეთის სამეფო ბანკის პრემია ეკონომიკურ მეცნიერებათა დარგში“. მას გასცემს შვედეთის სამეფო მეცნიერებათა აკადემია. მას

სხვა ნობელის პრემიებთან ერთად ადმინისტრირებას და მხარდაჭერას უწევს ნობელის ფონდი.

ეკონომიკაში ნობელის პრემია ერთადერთი ნობელის პრემიაა, რომელიც დაარსების დღიდან ყოველწლიურად, უწყვეტად გაიცემა. ბოლო 56 წლის განმავლობაში (1969 წლიდან) ის 96 ადამიანს მიენიჭა.

ნობელის თითოეულ პრემიაზე წლეულს ლაურეატები 11 მილიონ შვედურ კრონს (მიმდინარე კურსით, 1.162.700 აშშ დოლარი – ფ.კ.) მიიღებენ. ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ამჟამინდელ გამარჯვებულთა შორის ეს თანხა ასე განაწილდება: ნახევარი ჯოელ მოკირს გადაეცემა, ხოლო დანარჩენს ფილიპ აჟიონი და პიტერ ჰოვიტი გაიყოფენ.

**ფრიდონ კერვალიშვილი**

**ჩინეთმა \$1-ტრილიონიან სავაჭრო პროფიციტს მიაღწია**

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო ბალანსმა მიმდინარე წლის პირველ 11 თვეში ისტორიულ პროფიციტს, 1 ტრილიონ დოლარს მიაღწია, რაც ქვეყნის ისტორიაში დაფიქსირებული უმაღლესი ნიშნულია.

პროფიციტის არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანამ ექსპორტზე \$1 ტრილიონით მეტი ღირებულების საქონელი გაიტანა, ვიდრე იმპორტის სახით უცხოეთიდან შემოიტანა. ტრადიციულად, ჩინეთი ნეტო ექსპორტიორი სახელმწიფოა და მისთვის პროფიციტის არსებობა უჩვეულო არ არის, განსხვავებით აშშ-ისგან, რომელიც ნეტო იმპორტიორია.

მიუხედავად ტარიფების გამო აშშ-ში ექსპორტის შემცირებისა, ჩინეთის სავაჭრო პროფიციტის საერთო ზრდა ძირითადად ევროპასთან, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასთან და განვითარებად ბაზრებთან ვაჭრობის გააქტიურებით არის განპირობებული.

გარდა ამისა, ენერგომატარებლებზე და სხვა ტიპის სტრატეგიულ ნედლეულზე ფასების კლებამ ჩინეთის იმპორტის ღირებულება შეამცირა, რამაც საბოლოო ჯამში პროდუქცია გააიაფა და ექსპორტი გაზარდა.

ექსპერტთა ნაწილის შეფასებით, ამ დინამიკაში უდიდესი როლი რუსეთის ფედერაციას აქვს, რომელიც ჩინეთს იაფი ნავთობით ამარაგებდა, რაც გლობალურ ბაზარზე ქვეყანას კონკურენტულ უპირატესობას აძლევდა.

**იაპონიის ეკონომიკა მკვეთრად შემცირდა**

იაპონიის სტატისტიკის ეროვნული სამსახური განსაკუთრებით არასახარბიელო მონაცემებს ასაჯაროებს – მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ქვეყნის ეკონომიკის მოცულობა წლიურად 2.3%-ით შემცირდა, რაც წინასწარ პროგნოზირებულზე გაცილებით უარესი შედეგია.

მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირებას, ძირითადად, კერძო სექტორის ბრუნვის შემცირება, ექსპორტის კლება, ეროვნული ვალუტის მერყეობა და ეკონომიკური აქტივობის შენელება განაპირობებს. განსაკუთრებით დიდი დარცმვა იაპონიის ეკონომიკამ აშშ-ის ტარიფების გამო მიიღო, რადგან ამომავალი მზის ქვეყანა ყველაზე მეტად სწორედ ამერიკაში ექსპორტზე იყო დამოკიდებული.

ექსპერტების შეფასებით, იაპონიის ეკონომიკა რეცესიის სერიოზული რისკის წინაშე დგას, რომლის დასაძლევად ქვეყნის მთავრობამ და ცენტრალურმა ბანკმა ერთიანი ძალებით უნდა იმოქმედონ. სწორედ ამიტომ, ახალმა პრემიერ-მინისტრმა, სანაე ტაკაჩიმი ეკონომიკური აქტივობის წასახალისებელი პაკეტი დაამტკიცა და აშშ-ის პრეზიდენტთან ახალი სავაჭრო შეთანხმება გააფორმა.

**„ინტერპოლმა“ კრიპტო თაღლითობა გლობალურ საფრთხედ გამოაცხადა**

კრიპტოვალუტების გარშემო არსებული თაღლითური სქემები გლობალურ საფრთხედ გამოაცხადდა. საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაციამ, იგივე INTERPOL-მა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ კრიპტოინდუსტრიაში განხორციელებული კრიმინალური აქტივობები სერიოზულ გამოწვევას უქმნის გლობალურ უსაფრთხოებასა და ფინანსურ სტაბილურობას.

„ინტერპოლის“ ცნობით, კრიპტო თაღლითობები სულ უფრო დახვეწილ და ფართო მასშტაბებს იძენს. დამნაშავეები აქტიურად იყენებენ კრიპტოვალუტების დეცენტრალიზებულ ბუნებას, რათა შეუმჩნეველად გადარიცხონ მოპარული თანხები და დაფარონ თავიანთი კვალი. ამასთან, დაფიქსირებულია შემთხვევები, სადაც მილიარდობით დოლარის ზარალიც დადგა.

თაღლითური დაჯგუფებები ხშირად საერთაშორისო მასშტაბით ოპერირებენ, რაც საქმის გამოძიებას უკიდურესად ართულებს. ხელოვნური ინტელექტისა და Deepfake-ების გამოყენება სულ უფრო ართულებს მსხვერპლისთვის რეალური და ყალბი პროექტების გარჩევას. ამასთან, ინდუსტრიის დიდი ნაწილი კვლავაც დაურეგულირებელი რჩება, რაც თაღლითებისთვის ხელსაყრელ ნიადაგს წარმოადგენს.

ორგანიზაციამ წვერი ქვეყნების პოლიციის დეპარტამენტებს მოუწოდა, გააძლიერონ თანამშრომლობა და გაცვალონ ინფორმაცია კრიპტო დანაშაულის შესახებ. ინტერპოლის გენერალური მდივნის განცხადებით, ამ საფრთხის აღმოსაფხვრელად აუცილებელია გლობალური ძალისხმევა, სპეციალიზებული საგამოძიებო ერთეულების შექმნა და კიბერუსაფრთხოების სფეროში ტრენინგების გაძლიერება. ორგანიზაცია ასევე გეგმავს სპეციალური პლატფორმის შექმნას, სადაც წვერი ქვეყნები შეძლებენ სწრაფად გააზიარონ მონაცემები საეჭვო კრიპტო ტრანზაქციების და თაღლითური სქემების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს დანაშაულის პრევენციასა და უკვე ჩადენილი დანაშაულის კვალის მიგნებას.

### Amazon-ი იტალიაში \$580 მილიონის ჯარიმას გადაიხდის

საგადასახადო დარღვევასთან დაკავშირებით გამოძიების დასრულების მიზნით, Amazon-ი იტალიის მთავრობას \$580 მილიონის ჯარიმას გადაუხდის.

გავრცელებული ინფორმაციით, იტალიის ფინანსურმა პოლიციამ და საგადასახადო სააგენტომ ამერიკულ ტექნოლოგიურ კომპანიასთან მიაღწიეს შეთანხმებას იმ საკითხზე, რომელიც ეხებოდა კომპანიის მიერ იტალიაში მიღებული შემოსავლების არასწორად დაბეგვრას 2011-დან 2017 წლამდე პერიოდში.

იტალიელი მარეგულირებლები ამტკიცებდნენ, რომ Amazon-მა თავისი რეალური საოპერაციო შემოსავალი გადაიტანა იტალიიდან ისეთ ოფშორულ იურისდიქციაში, სადაც შედარებით დაბალი გადასახადები იყო, რითაც ადგილობრივი გადასახადები თავიდან აირიდა და ქვეყნის ბიუჯეტს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

აღსანიშნავია, რომ გასული წლების განმავლობაში მსგავსი საგადასახადო შეთანხმებები იტალიასთან სხვა გლობალურმა ტექნოლოგიურმა კომპანიებმაც გააფორმეს, რადგან ზემოხსენებულ პერიოდში თითქმის ყველა მსხვილი კომპანია სწორედ ამ ოფშორულ სტრატეგიას მიმართავდა, რაც, როგორც ირკვევა, კანონდარღვევა იყო.

### რუსეთში ინფლაცია შემცირდა

რუსეთის ფედერაციის მასშტაბით წლიური ინფლაციის დონე 6.6%-მდე შემცირდა, რაც ომის დაწყების შემდეგ დაფიქსირებული ერთ-ერთი მინიმალური მაჩვენებელია.

ეკონომიკის სამინისტროს განცხადებით, ქვეყანაში სამომხმარებლო ფასების ზრდის ტემპი შენელებულია, რაც მონეტარული პოლიტიკის ეტაპობრივი შემსუბუქების საშუალებას იძლევა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ კომიტეტი მომდევნო შეხვედრაზე მონეტარულ პოლიტიკას შეამსუბუქებს და განაკვეთი 16.5%-იან ნიშნულს ჩამოსცდება.

ბოლო პერიოდში რუსეთში ინფლაციის შემცირება ეროვნული ვალუტის გამყარებით არის განპირობებული, რასაც გეოპოლიტიკური ვითარება განაპირობებს. ამასთან, ენერგორესურსები გაიაფებულია, რაც ინფლაციურ წნეხს ამცირებს.

### ინდოეთმა და ჩინეთმა რუსული ნავთობის შესყიდვა გაზარდეს

აშშ-ის და ევროკავშირის სანქციების მიუხედავად, ინდოეთმა და ჩინეთმა რუსული ნავთობის შესყიდვა გაზარდეს. Kpler-ის ანგარიშის თანახმად, დეკემბრის განმავლობაში დღიური საშუალო შესყიდვის მოცულობა ინდოეთში 1.85 მილიონ ბარელს მიაღწევს, რაც 6-თვიანი მაქსიმუმი იქნება.

ანალიტიკოსების შეფასებით, Lukoil-ისა და Rosneft-ის დასანქცირებით მხოლოდ ერთი რამ შეიცვალა – რუსეთმა სხვა ბრენდების ქვეშ დაიწყო ნავთობის ექსპორტზე გატანა.

ჩინეთის შემთხვევაში მოსალოდნელი საშუალო შესყიდვის მოცულობა 1.36 მილიონ ბარელს შეადგენს, რაც 140 000 ბარელით მეტი იქნება, ვიდრე ნოემბრის მაჩვენებელი.

Kpler-ის შეფასებით, სანქციების ამოქმედებას რეალური ზეგავლენა არ ჰქონია და ინდოეთმა და ჩინეთმაც რუსული ნავთობის შესყიდვა ჩვეული ტემპით გააგრძელეს.

### თურქეთის ცენტრალურმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი შეამცირა

თურქეთის ცენტრალურმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთის 150 საბაზისო პუნქტით შემცირების გადაწყვეტილება მიიღო, რის შედეგად ქვეყანაში ძირითადი განაკვეთი 39.5%-დან 38%-მდე შემცირდა.

ცენტრალური ბანკის მხრიდან 1.5%-იანი ინტერვენცია შემცირებული ინფლაციითაა განპირობებული, რომელიც 31%-ის ფარგლებშია, რაც მარეგულირებელ ორგანოს მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქების საშუალებას აძლევს.

განაკვეთის შემცირების ფონზე, ეროვნული ვალუტა ახალ ანტირეკორდულ ნიშნულამდე გაუფასურდა და ერთი ამერიკული დოლარის გაცვლითმა კურსმა 42.7 ლირა შეადგინა.

### ევროკავშირმა რუსული აქტივები განუსაზღვრელი ვადით გაყინა

ევროკავშირი რუსეთის ცენტრალური ბანკის აქტივების განუსაზღვრელი ვადით გაყინვაზე შეთანხმდა.

„ევროკავშირმა გადაწყვიტა, რუსეთის ცენტრალური ბანკის აქტივები განუსაზღვრელი ვადით გაყინული დატოვოს. აკრძალვა, რომელიც ეკონომიკური საგანგებო სიტუაციების შესახებ დებულებას ეფუძნება, ენინალმდებება გარე მცდელობებს, 210 მილიარდი ევროს ოდენობის აქტივები მანამ გათავისუფლდეს, სანამ უკრაინა კომპენსაციას არ მიიღებს“, – ამის შესახებ Euronews წერს.

აქტივების გრძელვადიან გაყინვაზე ელჩები ევროკავშირის ხელშეკრულებების 122-ე მუხლის საფუძველზე შეთანხმდნენ. აღნიშნული მუხლი წევრი სახელმწიფოების მხოლოდ კვალიფიციურ უმრავლესობას მოითხოვს და ევროპარლამენტის გვერდის ავლით მოქმედებს. აღნიშნული აქტივები უკრაინისთვის განკუთვნილი სარეპარაციო სესხის ცენტრალური ელემენტია, რომელზეც ჯერ კიდევ ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

კანონი კრძალავს 210 მილიარდი ევროს ღირებულების აქტივების რუსეთის ცენტრალური ბანკისთვის დაბრუნებას. აქტივების ძირითადი ნაწილი, 185 მილიარდი ევრო, ფასიანი ქაღალდების სახით, ბრიუსელში ინახება. დარჩენილი 25 მილიარდი ევრო კი კერძო ბანკებშია განთავსებული.

აქამდე თანხები სანქციების სტანდარტული რეჟიმის ფარგლებში იყო გაყინული, რაც 27-ვე წევრის ერთსულოვან გადაწყვეტილებას მოითხოვს. თუმცა გასულ კვირას ევროკომისიამ წამოაყენა წინადადება 122-ე მუხლის ამოქმედების შესახებ, რათა აქტივები რუსეთისთვის ხელმიწვდომელი განუსაზღვრელი ვადით დარჩეს.

აკრძალვის თანახმად, 210 მილიარდი ევრო მაშინ გათავისუფლდება, როდესაც რუსეთის ქმედებები ევროპული ეკონომიკისთვის „არსებითი რისკების შექმნას შეწყვეტს“ და მოსკოვი უკრაინას რეპარაციებს გადაუხდის, ბლოკისთვის „ეკონომიკური და ფინანსური შედეგების გარეშე“.

აქტივების გათავისუფლების პროცესის დასაწყებად საჭირო იქნება ახალი კვალიფიციური უმრავლესობა.

### რუსეთის ცენტრალური ბანკის განცხადებით, აქტივების ჩამორთმევა კანონდარღვევაა და EU-სთან დავას დაიწყებს

რუსეთის ცენტრალური ბანკის ოფიციალური განცხადებით, ევროკავშირის ახალი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც რუსული აქტივების განუსაზღვრელი ვადით გაყინვას ან მათ ჩამორთმევას და უკრაინისთვის გადაცემას მოიცავს, წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევას.

როგორც მოსკოვში აცხადებენ, თუკი ევროკავშირი ამ კანონპროექტს დაამტკიცებს და მის აღსრულებას შეუდგება, რუსეთი ყველა საერთაშორისო სასამართლოს მიმართავს და ევროკავშირის წინააღმდეგ რამდენიმე საკითხზე დავას დაიწყებს.

განცხადების თანახმად, ევროკავშირის იურისდიქციაში შენახული აქტივები რუსეთის სუვერენული საკუთრებაა, რომელთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა Euroclear-მა აიღო, ამიტომ ნებისმიერი ქმედება, რომელიც აქტივების სამუდამოდ გაყინვას ან ჩამორთმევას უკავშირდება, წარმოადგენს ევროკავშირის კანონმდებლობის დარღვევას და ის შესაბამისად იქნება გასაჩივრებული.

### ევროკავშირი რუსული გაზის იმპორტს 2027 წლიდან სრულად შეწყვეტს

ევროკავშირში შეთანხმდნენ, რომ 2027 წლის ბოლოდან რუსული გაზის იმპორტს შეწყვეტენ.

შეთანხმების მიხედვით, გაზსადენით მიღებული რუსული გაზის იმპორტს ბლოკი 2027 წლის ბოლოდან შეწყვეტს, გათხევადებული გაზის (LNG) შემთხვევაში კი აკრძალვა 2026 წლის ბოლოს შევა ძალაში.

როგორც Reuters წერს, რუსული ნავთობის ევროკავშირში იმპორტი 2027 წლის ბოლოს შეწყდება და იმპორტის შეჩერების პირობებზე ევროკომისია ოფიციალურ დოკუმენტს 2026 წლის დასაწყისში გამოაქვეყნებს.

წინასწარ შეთანხმებული გეგმით, 2025 წლის 17 ივნისამდე გაფორმებული მოკლევადიანი კონტრაქტების შემთხვევაში, LNG-ის იმპორტის აკრძალვა ძალაში შევა 2026 წლის 25 აპრილიდან, ხოლო მილსადენებით ტრანსპორტირებული გაზისთვის – 2026 წლის 17 ივნისიდან.

3 დეკემბერს მიღწეული შეთანხმებით, წევრი ქვეყნები მარტამდე ევროკომისიას წარუდგენენ გაზისა და ნავთობის „ეროვნული დივერსიფიკაციის“ გეგმას. ასევე ვალდებულები იქნებიან ევროკავშირს მიაწოდონ ინფორმაცია რუსული გაზის არსებული კონტრაქტების შესახებ. ამ ინფორმაციის საფუძველზე კი ევროკომისია ცალკეული ქვეყნებისთვის რეკომენდაციებს შეიმუშავებს.

როგორც Reuters წერს, ოქტომბრის მდგომარეობით რუსეთის წილი ევროკავშირის გაზის იმპორტში 12%-ს აღწევდა, მაშინ როცა 2022 წელს (უკრაინის ომამდე) ეს მაჩვენებელი 45%-ს აღწევდა. ამ ეტაპზე რუსული გაზის მთავარი მომხმარებელი ბლოკის შიგნით უნგრეთი, საფრანგეთი და ბელგია არიან. უნგრეთი სლოვაკეთთან ერთად აქტიურად ენინალმდებება რუსული ენერგორესურსების იმპორტის აკრძალვას.

ევროკავშირში მიღებულ ამ გადაწყვეტილებას უკვე უპასუხეს კრემლში. დმიტრი პესკოვის განცხადებით, თუ ევროპა რუსულ გაზს აღარ იყიდის, უფრო ძვირი ბუნებრივი გაზის იმპორტზე დამოკიდებული გახდება

## უცხოური ვალუტის კურსები

ნომბრის თვის ევროს საშუალო კურსი: **1 EURO=3,0248** ლარი

ვალუტა	ნომბერი, 2025 წელი															
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	
1 ბულგარული ლევი	1,6046	1,6046	1,6046	1,5967	1,5951	1,5916	1,5950	1,5986	1,5986	1,5986	1,6002	1,6013	1,6010	1,6087	1,6090	
10 დანიური კრონი	4,2029	4,2029	4,2029	4,1819	4,1788	4,1693	4,1780	4,1882	4,1882	4,1882	4,1907	4,1941	4,1929	4,2130	4,2129	
1 ევრო	3,1386	3,1386	3,1386	3,1231	3,1197	3,1127	3,1193	3,1272	3,1272	3,1272	3,1293	3,1321	3,1310	3,1461	3,1462	
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3,5623	3,5623	3,5623	3,5607	3,5448	3,5314	3,5446	3,5493	3,5493	3,5493	3,5612	3,5557	3,5507	3,5633	3,5606	
100 ისლანდიური კრონი	2,1703	2,1703	2,1703	2,1413	2,1455	2,1203	2,1306	2,1418	2,1418	2,1418	2,1405	2,1425	2,1326	2,1401	2,1431	
100 სერბიული დინარი	2,6766	2,6766	2,6766	2,6642	2,6611	2,6542	2,6604	2,6670	2,6670	2,6670	2,6697	2,6719	2,6710	2,6843	2,6845	
10 ნორვეგიული კრონი	2,6889	2,6889	2,6889	2,6799	2,6589	2,6526	2,6630	2,6532	2,6532	2,6532	2,6757	2,6819	2,6895	2,6959	2,6884	
10 პოლონური ზლოტი	7,3735	7,3735	7,3735	7,3440	7,3297	7,3081	7,3301	7,3589	7,3589	7,3589	7,3894	7,3990	7,4021	7,4383	7,4334	
10 რუმინული ლეი	6,1718	6,1718	6,1718	6,1399	6,1337	6,1205	6,1344	6,1481	6,1481	6,1481	6,1534	6,1600	6,1577	6,1881	6,1872	
100 უნგრული ფორინტი	0,8091	0,8091	0,8091	0,8067	0,8036	0,8029	0,8069	0,8108	0,8108	0,8108	0,8166	0,8112	0,8122	0,8195	0,8183	
10 შვედური კრონი	2,8712	2,8712	2,8712	2,8523	2,8451	2,8288	2,8389	2,8316	2,8316	2,8316	2,8463	2,8515	2,8642	2,8788	2,8624	
1 შვეიცარიული ფრანკი	3,3816	3,3816	3,3816	3,3581	3,3538	3,3418	3,3468	3,3542	3,3542	3,3542	3,3584	3,3733	3,3858	3,4055	3,4190	
10 ჩეხური კრონა	1,2904	1,2904	1,2904	1,2834	1,2814	1,2781	1,2804	1,2847	1,2847	1,2847	1,2885	1,2895	1,2911	1,2996	1,3008	
1 აშშ დოლარი	2,7127	2,7127	2,7127	2,7117	2,7109	2,7102	2,7089	2,7075	2,7075	2,7075	2,7065	2,7064	2,7059	2,7091	2,7085	
1 კანადური დოლარი	1,9358	1,9358	1,9358	1,9311	1,9269	1,9175	1,9215	1,9184	1,9184	1,9184	1,9307	1,9289	1,9300	1,9359	1,9293	
1 ავსტრალიური დოლარი	1,7744	1,7744	1,7744	1,7756	1,7632	1,7568	1,7635	1,7561	1,7561	1,7561	1,7679	1,7651	1,7672	1,7796	1,7659	
10 ეგვიპტური გირვანქა	0,5743	0,5743	0,5743	0,5738	0,5732	0,5717	0,5721	0,5718	0,5718	0,5718	0,5730	0,5729	0,5732	0,5743	0,5739	
1 თურქული ლირა	0,0645	0,0645	0,0645	0,0645	0,0644	0,0644	0,0643	0,0641	0,0641	0,0641	0,0641	0,0641	0,0641	0,0641	0,0640	
100 იაპონური იენი	1,7598	1,7598	1,7598	1,7590	1,7656	1,7638	1,7618	1,7656	1,7656	1,7656	1,7556	1,7544	1,7477	1,7521	1,7509	
10 არაბეთის გაერთიანებული სამეფოს დირჰამი	7,3855	7,3855	7,3855	7,3830	7,3808	7,3791	7,3756	7,3714	7,3714	7,3714	7,3686	7,3694	7,3670	7,3757	7,3741	
10000 ირანული რიალი	0,6459	0,6459	0,6459	0,6456	0,6455	0,6453	0,6450	0,6446	0,6446	0,6446	0,6444	0,6444	0,6443	0,6450	0,6449	
10 ისრაელის შეკელი	8,3553	8,3553	8,3553	8,3388	8,3016	8,2812	8,3364	8,3157	8,3157	8,3157	8,3611	8,4003	8,4549	8,4556	8,3671	
1 სინგაპურული დოლარი	2,0854	2,0854	2,0854	2,0803	2,0773	2,0736	2,0750	2,0779	2,0779	2,0779	2,0770	2,0786	2,0751	2,0828	2,0803	
1 ქუვეითური დინარი	8,8390	8,8390	8,8390	8,8271	8,8217	8,8165	8,8180	8,8192	8,8192	8,8192	8,8102	8,8128	8,8083	8,8302	8,8282	
10 ჩინური იუანი	3,8134	3,8134	3,8134	3,8078	3,8048	3,8026	3,8034	3,8019	3,8019	3,8019	3,8013	3,8013	3,8016	3,8172	3,8150	
10 ჰონკონგური დოლარი	3,4904	3,4904	3,4904	3,4885	3,4870	3,4858	3,4840	3,4811	3,4811	3,4811	3,4814	3,4819	3,4820	3,4862	3,4845	
100 ინდური რუპია	3,0558	3,0558	3,0558	3,0544	3,0578	3,0570	3,0567	3,0536	3,0536	3,0536	3,0514	3,0557	3,0529	3,0554	3,0521	
1 ახალზელანდიური დოლარი	1,5527	1,5527	1,5527	1,5508	1,5371	1,5304	1,5330	1,5216	1,5216	1,5216	1,5278	1,5275	1,5302	1,5363	1,5382	
100 რუსული რუბლი	3,3552	3,3552	3,3552	3,3487	3,3417	3,3361	3,3402	3,3424	3,3424	3,3424	3,3438	3,3255	3,3353	3,3584	3,3432	
1 აზერბაიჯანული მანათი	1,5955	1,5955	1,5955	1,5949	1,5943	1,5940	1,5933	1,5923	1,5923	1,5923	1,5921	1,5918	1,5915	1,5934	1,5930	
1 ბელარუსული რუბლი	0,9112	0,9112	0,9112	0,9105	0,9105	0,9110	0,9098	0,9093	0,9093	0,9093	0,9083	0,9098	0,9078	0,9090	0,9128	
10 თურქმენული მანათი	7,7506	7,7506	7,7506	7,7477	7,7454	7,7434	7,7397	7,7357	7,7357	7,7357	7,7329	7,7326	7,7311	7,7403	7,7386	
10 მოლდოვური ლეი	1,5945	1,5945	1,5945	1,5929	1,5881	1,5817	1,5809	1,5854	1,5854	1,5854	1,5919	1,5933	1,5955	1,6002	1,6012	
1000 სომხური დრამი	7,0902	7,0902	7,0902	7,0892	7,0869	7,0851	7,0775	7,0784	7,0784	7,0784	7,0784	7,0758	7,0746	7,0742	7,0872	7,0879
10 ტაჯიკური სომონი	2,9168	2,9168	2,9168	2,9161	2,9176	2,9159	2,9145	2,9062	2,9062	2,9062	2,9116	2,9186	2,9102	2,9136	2,9221	
1000 უზბეკური სუმი	0,2259	0,2259	0,2259	0,2263	0,2268	0,2265	0,2253	0,2246	0,2246	0,2246	0,2250	0,2256	0,2260	0,2260	0,2251	
10 უკრაინული გრივნა	0,6477	0,6477	0,6477	0,6449	0,6442	0,6444	0,6437	0,6441	0,6441	0,6441	0,6452	0,6435	0,6436	0,6438	0,6438	
100 ყაზახური ტენგე	0,5131	0,5131	0,5131	0,5152	0,5174	0,5163	0,5150	0,5151	0,5151	0,5151	0,5171	0,5153	0,5158	0,5180	0,5172	
100 ყირგიზული სომი	3,1091	3,1091	3,1091	3,1080	3,1070	3,1062	3,1001	3,0956	3,0956	3,0956	3,0973	3,0972	3,0966	3,1003	3,0995	
10 სამხრეთ აფრიკული რანდი	1,5648	1,5648	1,5648	1,5675	1,5552	1,5502	1,5590	1,5626	1,5626	1,5626	1,5739	1,5760	1,5789	1,5967	1,5817	
1 ზრაზილიური რიალი	0,5041	0,5041	0,5041	0,5043	0,5059	0,5018	0,5057	0,5059	0,5059	0,5059	0,5074	0,5105	0,5131	0,5119	0,5111	
10 კატარული რიალი	7,4416	7,4416	7,4416	7,4373	7,4355	7,4352	7,4320	7,4280	7,4280	7,4280	7,4252	7,4331	7,4230	7,4316	7,4301	
1000 სამხრეთ კორეული ვონი	1,9005	1,9005	1,9005	1,8970	1,8858	1,8755	1,8711	1,8566	1,8566	1,8566	1,8595	1,8471	1,8449	1,8491	1,8577	

**უცხოური ვალუტის კურსები**

ნომბრის თვის აშშ დოლარის საშუალო კურსი: **1 USD=2,7076** ლარი.

ვალუტა	ნომბერი, 2025 წელი														
	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30
1 ბულგარული ლევი	1,6090	1,6090	1,6066	1,6040	1,6024	1,5951	1,5940	1,5940	1,5940	1,5964	1,5954	1,6011	1,6012	1,5981	1,5981
10 დანიური კრონი	4,2129	4,2129	4,2079	4,2000	4,1963	4,1776	4,1735	4,1735	4,1735	4,1803	4,1777	4,1921	4,1935	4,1839	4,1839
1 ევრო	3,1462	3,1462	3,1424	3,1367	3,1342	3,1203	3,1173	3,1173	3,1173	3,1223	3,1204	3,1310	3,1319	3,1248	3,1248
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3,5606	3,5606	3,5656	3,5599	3,5514	3,5401	3,5340	3,5340	3,5340	3,5422	3,5503	3,5610	3,5759	3,5697	3,5697
100 ისლანდიური კრონი	2,1431	2,1431	2,1318	2,1338	2,1348	2,1254	2,1205	2,1205	2,1205	2,1239	2,1227	2,1444	2,1277	2,1085	2,1085
100 სერბიული დინარი	2,6845	2,6845	2,6827	2,6759	2,6725	2,6606	2,6575	2,6575	2,6575	2,6610	2,6585	2,6676	2,6681	2,6624	2,6624
10 ნორვეგიული კრონი	2,6884	2,6884	2,6833	2,6699	2,6750	2,6615	2,6353	2,6353	2,6353	2,6439	2,6422	2,6453	2,6561	2,6571	2,6571
10 პოლონური ზლოტი	7,4334	7,4334	7,4365	7,4046	7,3895	7,3734	7,3333	7,3333	7,3333	7,3770	7,3775	7,3923	7,4108	7,3709	7,3709
10 რუმინული ლეი	6,1872	6,1872	6,1802	6,1681	6,1586	6,1314	6,1250	6,1250	6,1250	6,1375	6,1319	6,1507	6,1531	6,1392	6,1392
100 უნგრული ფორინტი	0,8183	0,8183	0,8183	0,8153	0,8173	0,8163	0,8120	0,8120	0,8120	0,8158	0,8167	0,8197	0,8206	0,8195	0,8195
10 შვედური კრონი	2,8624	2,8624	2,8705	2,8515	2,8517	2,8377	2,8233	2,8233	2,8233	2,8369	2,8282	2,8393	2,8510	2,8449	2,8449
1 შვეიცარიული ფრანკი	3,4190	3,4190	3,4059	3,3979	3,3753	3,3569	3,3588	3,3588	3,3588	3,3547	3,3398	3,3549	3,3564	3,3510	3,3510
10 ჩეხური კრონა	1,3008	1,3008	1,2999	1,2971	1,2959	1,2907	1,2859	1,2859	1,2859	1,2909	1,2919	1,2949	1,2966	1,2931	1,2931
1 აშშ დოლარი	2,7085	2,7085	2,7080	2,7078	2,7073	2,7067	2,7062	2,7062	2,7062	2,7056	2,7052	2,7047	2,7039	2,7029	2,7029
1 კანადური დოლარი	1,9293	1,9293	1,9310	1,9292	1,9336	1,9261	1,9202	1,9202	1,9202	1,9178	1,9165	1,9203	1,9252	1,9242	1,9242
1 ავსტრალიური დოლარი	1,7659	1,7659	1,7653	1,7593	1,7560	1,7553	1,7409	1,7409	1,7409	1,7451	1,7467	1,7570	1,7640	1,7628	1,7628
10 ეგვიპტური გირვანქა	0,5739	0,5739	0,5754	0,5740	0,5720	0,5711	0,5704	0,5704	0,5704	0,5674	0,5656	0,5668	0,5678	0,5673	0,5673
1 თურქული ლირა	0,0640	0,0640	0,0640	0,0639	0,0639	0,0639	0,0638	0,0638	0,0638	0,0637	0,0637	0,0637	0,0637	0,0636	0,0636
100 იაპონური იენი	1,7509	1,7509	1,7495	1,7430	1,7334	1,7205	1,7264	1,7264	1,7264	1,7264	1,7300	1,7291	1,7301	1,7294	1,7294
10 არაბეთის გაერთიანებული საამიროების დირჰამი	7,3741	7,3741	7,3727	7,3722	7,3710	7,3694	7,3680	7,3680	7,3680	7,3664	7,3653	7,3641	7,3620	7,3592	7,3592
10000 ირანული რიალი	0,6449	0,6449	0,6448	0,6447	0,6446	0,6445	0,6443	0,6443	0,6443	0,6442	0,6441	0,6440	0,6438	0,6435	0,6435
10 ისრაელის შეკელი	8,3671	8,3671	8,3772	8,3005	8,2965	8,3056	8,2245	8,2245	8,2245	8,2526	8,2753	8,2320	8,2506	8,2825	8,2825
1 სინგაპურული დოლარი	2,0803	2,0803	2,0802	2,0784	2,0757	2,0712	2,0686	2,0686	2,0686	2,0737	2,0776	2,0829	2,0833	2,0816	2,0816
1 ქუვეითური დინარი	8,8282	8,8282	8,8295	8,8173	8,8128	8,8051	8,8064	8,8064	8,8064	8,8044	8,8060	8,8072	8,8046	8,8014	8,8014
10 ჩინური იუანი	3,8150	3,8150	3,8102	3,8075	3,8070	3,8044	3,8057	3,8057	3,8057	3,8068	3,8179	3,8205	3,8172	3,8199	3,8199
10 ჰონკონგური დოლარი	3,4845	3,4845	3,4837	3,4780	3,4769	3,4764	3,4759	3,4759	3,4759	3,4762	3,4783	3,4772	3,4764	3,4723	3,4723
100 ინდური რუპია	3,0521	3,0521	3,0551	3,0559	3,0560	3,0513	3,0240	3,0240	3,0240	3,0318	3,0320	3,0297	3,0277	3,0214	3,0214
1 ახალზელანდიური დოლარი	1,5382	1,5382	1,5352	1,5334	1,5234	1,5204	1,5141	1,5141	1,5141	1,5168	1,5163	1,5344	1,5439	1,5423	1,5423
100 რუსული რუბლი	3,3432	3,3432	3,3332	3,3394	3,3534	3,3723	3,4250	3,4250	3,4250	3,4355	3,4218	3,4365	3,4627	3,4719	3,4719
1 აზერბაიჯანული მანათი	1,5930	1,5930	1,5928	1,5926	1,5923	1,5918	1,5917	1,5917	1,5917	1,5912	1,5911	1,5908	1,5903	1,5898	1,5898
1 ბელარუსული რუბლი	0,9128	0,9128	0,9119	0,9106	0,9102	0,9130	0,9145	0,9145	0,9145	0,9261	0,9256	0,9249	0,9254	0,9271	0,9271
10 თურქმენული მანათი	7,7386	7,7386	7,7371	7,7366	7,7351	7,7334	7,7320	7,7320	7,7320	7,7303	7,7291	7,7277	7,7254	7,7226	7,7226
10 მოლდოვური ლეი	1,6012	1,6012	1,5986	1,5960	1,5921	1,5824	1,5759	1,5759	1,5759	1,5733	1,5746	1,5863	1,5910	1,5901	1,5901
1000 სომხური დრამი	7,0879	7,0879	7,0910	7,0954	7,0872	7,0951	7,0899	7,0899	7,0899	7,0903	7,0928	7,0999	7,0954	7,0916	7,0916
10 ტაჯიკური სომონი	2,9221	2,9221	2,9187	2,9185	2,9130	2,9116	2,9164	2,9164	2,9164	2,9157	2,9167	2,9134	2,9125	2,9129	2,9129
1000 უზბეკური სუმი	0,2251	0,2251	0,2253	0,2266	0,2267	0,2272	0,2262	0,2262	0,2262	0,2259	0,2264	0,2274	0,2272	0,2265	0,2265
10 უკრაინული გრივნა	0,6438	0,6438	0,6439	0,6433	0,6431	0,6420	0,6401	0,6401	0,6401	0,6381	0,6379	0,6397	0,6398	0,6393	0,6393
100 ყაზახური ტენგე	0,5172	0,5172	0,5178	0,5200	0,5222	0,5217	0,5207	0,5207	0,5207	0,5205	0,5219	0,5218	0,5243	0,5281	0,5281
100 ყირგიზული სომი	3,0995	3,0995	3,0989	3,0957	3,0977	3,0938	3,0933	3,0933	3,0933	3,1010	3,0925	3,0968	3,0958	3,0964	3,0964
10 სამხრეთ აფრიკული რანდი	1,5817	1,5817	1,5878	1,5733	1,5769	1,5728	1,5596	1,5596	1,5596	1,5622	1,5689	1,5770	1,5751	1,5753	1,5753
1 ბრაზილიური რიალი	0,5111	0,5111	0,5112	0,5082	0,5085	0,5075	0,5074	0,5074	0,5074	0,5007	0,5019	0,5022	0,5069	0,5048	0,5048
10 კატარული რიალი	7,4301	7,4301	7,4287	7,4284	7,4268	7,4260	7,4252	7,4252	7,4252	7,4232	7,4225	7,4213	7,4171	7,4145	7,4145
1000 სამხრეთ კორეული ვონი	1,8577	1,8577	1,8532	1,8477	1,8435	1,8429	1,8346	1,8346	1,8346	1,8312	1,8454	1,8340	1,8498	1,8376	1,8376